

0809 გეგელია

ნათელი დაუღამებელი
(ცხოვრება და ლვაწვლი
დეკანოზ ანტონ კეკელიასი)

ქუთაისი
2020

ნაშრომი მიზნად ისახავს მკითხველს გააცნოს თვალსაჩინო სასულიერო და საზოგადო მოღვაწის - ანტონ კეკელიას ცხოვრება და დვაწლი, მისი ბიოგრაფიის კონკრეტული, აქამდე უცნობი ეპიზოდები. აღნიშნულია, რომ ამ პიროვნების სახელთან არის დაკავშირებული სამეგრელოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ბევრი წარუშლელი ფურცელი XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში.

რედაქტორი: ქეთევან კეკელია

რეცენზენტები: შუქია აფრიდონიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ლატავრა ბუკია, ისტორიის დოქტორი
კახაბერ ქებულაძე, ისტორიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი**

შინათქმა

„იმედი მაქვს, შთამომავლობამ დღოცეა-კურთხევით მოიხსენიოს
თავისი წინაპარი, რომელსაც თავისი სიცოცხლის მიზნად
მიაჩნდა სამშობლოსა და მშობელი ერის საკეთილდღეოდ
გარჯა და შრომა და გააკეთა ის, რის გაკეთებაც ძალებია“.
თეოდო სახოკია

ოდიშის (სამეგრელოს) ერთ-ერთ ისტორიულ სათავადოში -
საფალავოში, მდ. აბაშასა და ცხენისწყალს შორის მდებარე სოფე-
ლი ბანძა ძველი დროიდანვე იქცევდა უცხოელ თუ ქართველ მოგზა-
ურთა და სწავლულთა ყურადღებას. ამ კუთხით დაინტერესებას გა-
ნაპირობებდა მასზე გამავალი მნიშვნელოვანი სტრატეგიული, პო-
ლიტიკური თუ ეკონომიკური საგზაო კომუნიკაციები. ამ სოფლის
ყოველი სახლი და ეზო-ყურე, ნატაძრალი თუ ნაციხარი წარსულით
სუნთქავს. ადამიანებივით, შენობებსაც - ხან მშვიდი და ხან მშვით-
ვარე, ხან სევდიანი და ხანაც ნათლითმოსილი, საკუთარი ისტორია
გააჩნია.

XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ბანძის ისტორიის
მკვლევართათვის უაღრესად საყურადღებო წყაროა პერიოდული
პრესის მასალები. უამთა სვლით გაყვითლებული უერნალ-გაზეთე-
ბის - „ივერიის“, „დროების“, „ცნობის ფურცლის“, „მწყემსის“ ფურ-
ცლებს შემოუნახავს არაერთი მნიშვნელოვანი ცნობა სოფლის მო-
სახლეობის ყოფა-ცხოვრების, სახალხო განათლების, კულტურისა
და თეატრალური ცხოვრების შესახებ. კორესპონდენციები განსა-
კუთრებულ ინტერესს იწვევს აგრეთვე სოფლის ისტორიულ-გეოგ-
რაფიული აღწერის თვალსაზრისით. ავტორები აღწერენ ბანძის
მდებარეობას, საზღვრებს, ეკლესიებს, მდინარეებს, ხიდებისა და
გზების მდგომარეობას და ა. შ.

ამჯერად მიზნად დავისახე ერთი კონკრეტული სოფლის ის-
ტორიული წარსულიდან სახალხო განათლებისა და კულტურის სა-
კითხებზე საგანგებო გამოკვლევის შექმნა. ეს ისტორია ორგანული,
განუყოფელი ნაწილია უკანასკნელი ასწლეულის მანძილზე სამეგ-
რელოში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო მდინარეებისა.

ამ ოცდაათიოდე წლის წინ ცნობილი მთარგმნელის, პედაგო-


გისა და საზოგადო მოღვაწის - ვასილ აბდუშელიშვილისადმი მიძღვნილ სტატიაში ქართველი ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი სარგის ცაიშვილი წერდა: „თუ გავიხსენებთ ჩვენი ქვეყნის არცთუ ისე შორეულ წარსულს, ერთი შეხედვით უცნაურ რასმე შევამჩნევთ: როგორც ცნობილია, XIX საუკუნეში, განსაკუთრებით კი მისი ბოლო მეოთხედიდან, რუსეთსა და მთელს ცივილიზებულ ევროპას, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მოედვნენ“ სწავლამოწყურებული ქართველი ახალგაზრდები. სად არ ნახავთ მათ, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში? ხოლო ასეთ ადგილებში რამდენიმე ქართველი მაინც თუ მოიყრიდა ერთად თავს, მყისვე იქმნებოდა პატარა საქართველოები, ე. წ. ქართველთა სათვისტომოების სახით... მაგრამ ნიშანდობლივი აქ უფრო სხვა რამ იყო. როგორც წესი, მათში არ იღვიძებდა რაიმე განსაკუთრებული პატივმოყვარეობა. ისინი არ თაკილობდნენ სულ უბრალო თანამდებობასაც კი, როგორც ქალაქად, ისე საქართველოს მივარდნილ კუთხეებში, ოდონდ თავისი წვლილი შეეტანათ ჩვენი ქვეყნის აღორძინების საქმეში. სხვათა შორის, ასე გრძელდებოდა შემდეგაც, როცა ჩვენში უკვე არსებოდა მაღალი რანგის კულტურული თუ სამეცნიერო ცენტრები... ბევრი მათგანის სახელი ჩვენ არც კი ვიცით, თუმცა ცხადია, რომ სწორედ მათ მხრებზე გადაიარა იმ მძიმე ტვირთმა, რომლის ზიდვაც აუცილებელი იყო მშობლიური ქვეყნის შემდგომი აღორძინებისათვის“¹.

სწორედ ერთ ასეთ პიროვნებად შემორჩა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართული კულტურის ისტორიას მამა ანტონ კეკელიას სახელი. ის იყო სამეგრელოში ცნობილი სასულიერო პირი, განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე; ოდონდ ერთი განსხვავებით: სარგის ცაიშვილის მიერ დახასიათებული, სწავლამოწყურებული ქართველი ახალგაზრდების მსგავსად, უმაღლესი განათლება მას ევროპის ქალაქებში არ მიუღია. სწავლობდა მარტვილის სასულიერო სასწავლებელსა და ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს და გააჩადა ენერგიული მუშაობა კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი დაწესებულებების დასაარსებლად.

ამ წიგნში მკითხველი იპოვის პასუხს მისთვის საინტერესო

¹ ს. ცაიშვილი, წინამორბედნი და თანამედროვენი. თბ., 1989, გვ. 274.

არაერთ კითხვაზე. გაეცნობა დეკანოზ ანტონ კეკელიას ცხოვრება-
სა და ლვაწლს, კონკრეტულ, აქამდე უცნობ ეპიზოდებს იმ ადამია-
ნის ბიოგრაფიიდან, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული
ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ბევრი წა-
რუშლელი ფურცელი XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX
საუკუნის პირველ ოცწლეულში.



ზოგი რამ ბანძის ფარსულიდან

რას წარმოადგენდა ბანძა XVII-XIX საუკუნეებში? ეს სოფელი წერილობით წყაროებში პირველად მოხსენიებულია 1639-1640 წლებში, ოდიშის სამთავროში რუსეთის ელჩების აღწერილობაში. მოსკოვის მთავრობის ელჩობის შემადგენლობაში შედიოდნენ ფედოტ ელჩინი და მღვდელი პავლე ზახარიევი: „Марта въ 28 де въ Панзу пришли Марта въ 29 де пошли из Панзи“², - ვკითხულობთ აღწერილობაში. 1642 წლით დათარიღებულ საისტორიო დოკუმენტში მოხსენიებული ბორბა, საფიქრებელია, ბანძის დამახინჯებული ფორმა იყოს. დოკუმენტის მიხედვით აქ მცხოვრები ბუძოლეი ქვაშია ლევან დადიანს მამამისის - მანუჩარის სულის საოხად (მ)თაწმიდის ხარების დვთისმშობლის ეკლესიისთვის შეუწირავს³.

იტალიელი მეცნიერ-მოგზაურის - არქანჯელო ლამბერტის რუკაზე, მდ. აბაშის მარცხენა მხარეს დატანილია პუნქტი **Pansas**, რაც ამჟამინდელი სოფ. ბანძაა. იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის მიერ 1737 წელს შედგენილ რუკაზე აღნიშნულია **ბანძა-ფალაოს სასახლე**.

ცხენისწყლის ხეობაში მდებარე დასახლებულ პუნქტთა შორის ვახუშტი ბატონიშვილი პირველად ბანძას ასახელებს: „...ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი“. ვახუშტი XVII ს-ის ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ცხოვრების ეპიზოდების აღწერისას ბანძას არაერთხელ მოიხსენიებს.

XVIII ს-ის გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი სამეგრელოს ორ ნაწილად ყოფს. დასავლეთ ნაწილს ოდიშს უწოდებს, ხოლო აღმოსავლეთს - სამეგრელოს. ამ უკანასკნელში იგი თავის მხრივ ორ მხარეს არჩევს: **ბანძას და (ვ)აბაშას**. გიულდენშტედტი იქვე ჩამოთვლის ბანძასა და აბაშაში შემავალ სოფლებს⁴. ამ ცხობაზე ყურადღება გაამახვილა მკვლევარმა შ. ჯლარკავამ და შენიშნა, რომ სოფლების ჩამონათვალის არათანმიმ-

² გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მსალები. 1636-1640 წლები. თბ., 2014, გვ. 450.

³ მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, თბ., 1964, გვ. 46.

⁴ იოჰან ანტონ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, თბ., 1962, გვ. 323.

დევრულობის გამო თითქმის შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანი მიეკუთვნებოდა ბანბის მხარეს, მაგრამ ერთი რამცხადია: ბანბის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია ბანბის შემადგენლობაში იყო, ხოლო სამხრეთი ვაბაშას ანუ აბაშას ეკუთვნოდა⁵. მკვლევარი თავის მოსაზრებას იმ ფაქტით ამყარებს, რომ 1819 წელს შედგენილ საქართველოს გენერალურ რუკაზე, რაც. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, ბანბის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას აწერია „**ანაშის**“⁶.

ეკატერინე ჭავჭავაძის მდივანი (შემდეგ სენაკის მაზრის უფროსი) კორნელი ბოროზდინი, თავის მოგონებებში სამეგრელოს ყოფა-ცხოვრების შესახებ, გადმოგვცემს XIX ს.-ის I ნახევრის ბანბის გეოგრაფიულ მდებარეობას და წერს, რომ სოფელს ეჭირა აბაშასა და ცხენისწყალს შუა მდებარე, 40 ვერსის სივრცე ადგილი, სადაც 75-ზე მეტი კომლი თავადი ფალავა და 800 კომლი აზნაური და გლეხი მოსახლეობდა. „ამ სახით, ბანბა სენაკის ოლქში Status in status-ს (სახელმწიფო სახელმწიფოში) პგვანდა, ხოლო მებატონე ფალავები ცალკე ელემენტს, ცალკე ძალას“, - წერს კ. ბოროზდინი⁷. მისივე თქმით, ცხენისწყლის ნაპირას მდებარე სოფლები ლეხაინდრო და ნაგვაზუ, ფალავების საყმოს წარმოადგენდა⁸.

ბანბის ისტორიის მკვლევარი ალ. გაბუნია სოფლის ისტორიულ-გეოგრაფიულ მდებარეობას შემდეგ საზღვრებში გადმოგვცემს: „კოლხეთის გული, მისი ცენტრალური ნაწილი, გაშლილი ველია, რომლის ჩრდილოეთი ნაწილის მეტად მნიშნელოვანი ტერიტორიული მონაკვეთია მდინარე აბაშასა და ცხენისწყალს შორის დაცემული ველი, რომელიც ჩრდილოეთით უნაგირასა და მარტვილის ბორცვებით იზღუდება, აღმოსავლეთით ცხენისწყლისპირები ეკვრის, ხოლო დასავლეთით უნაგირას ზოლი საზღვრავს, სამხრეთით ეს ველი სეფიეთისა და სამიქაოს გაშლილ ველებში გადადის. მას ძველთაგანვე ბანბას ეძახიან. იგი მეტად საინტერესო რელიეფური წარმონაქმნია, ქვიშნარმიწა, წყაროსწყლებით უხვი, ხეხილისა და

⁵შ. ჯდარგავა, სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება). თსუ შრომები, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, გ. 113 (V), თბ., 1965, გვ. 274.

⁶ იქვე.

⁷ კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. ტფ., 1934, გვ. 248-249.

⁸ იქვე, გვ. 250.

ბაღნარის გასაშენებლად ოდითგანვე ცნობილი და აღიარებული. ეს მზისგული ველი, ეტყობა, ძველთაგანვე ყოფილა კოლხეთის სამეურნეო ცხოვრების ერთ-ერთი მეტად საინტერესო, მეტად განვითარებული უბანი”⁹.

ბანძის სოფლის საზოგადოება საკმაოდ დიდი მოცულობის აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა მოგვიანებითაც, XIX-XX სს-ში. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ, 1838 წლის დოკუმენტში სამეგრელოს ეპარქიის სოფლებს შორის დასახელებულია სოფ. ბანძა, მთავარანგელოზის ეპლესით. ეს უნდა იყოს ამჟამინდელი ვედიდკარის მთავარანგელოზთა სახელობის ეპლესია. იქვე დასახელებულია კარის წმ. გიორგის ეპლესია, რაც, საგარაუდოდ, ჯებებარის, ან შაურკარის ეპლესია უნდა იყოს (ორივე ბანძაში შედიოდა)¹⁰. 1864 წლით დათარიღებული საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გაბუნიას საბლადოჩინოში შედიოდა სოფელი ბანძა, ურიასკარის წმ. გიორგის ეპლესია, სადაც მდგდლები ყოფილან მარკოზ და საბა გაბუნიები, ხოლო „პრიჩეტნიკები“ - სიმეონ კეკელია და დიმიტრი გაბუნია. იქვე დასახელებულია ბანძა-ვედიდკარის მთავარანგელოზის ეპლესის მდგდლები - იოანე ფოჩეუა და მოსე ურიდია, ხოლო „პრიჩეტნიკებად“ - იოანე ფანცულაია და ნიკოლოზ ურიდია¹¹.

XIX საუკუნის შუა ხანებში დავით დადიანის (1840-1856 წწ.) მიერ ოდიშ-ლეჩხემი რვა მაზრად დაიყო. მაზრებისა და მათში გაერთიანებული სოფლების შესახებ ცნობებს გვაწვდის გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია. მისი ცნობით, ბანძა სუჯუნის მაზრაში შედიოდა¹². 1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალებში სენაკის მაზრის სოფლებს შორის დასახე-

⁹ ალ. გაბუნია, სოფელ ბანძის ისტორიისათვის. გეგეჭვორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო სესია (თემისები). გეგეჭვორი, 1971, გვ. 12.

¹⁰ ს. ც. ს. ა., ფონდი 489, აღწერა 1, საქმე 65509.

¹¹ დ. ჭითანავა, ეპლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010, გვ. 67; 1857 წლის მეტრიკული ჩანაწერების წიგნში „ვედიდის კარის ბანძის სოფლის მთავარანგელოზის და ზედ მიწერილის ნაჩილაჩოუს სოფლის წმიდის გიორგის ეპლესის“ მდგდელია იოანე ფოჩეუა, ხოლო პრიჩეტნიკია იოანე ფანცულაია.

¹² ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939, გვ. 112.

ლებულია ს. ბანძა (ბონზო, ბანზო), ერთი ეკლესიით¹³.

ბანძის შაურკარის წმ. გიორგის ეკლესიის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „ეკლესია აქაც ახალია, ქვისა, წმიდის გიორგის სახელზედ აშენებული. ხატი წმიდა გიორგისა, 27x21 სანტიმეტრი, ვერცხლის არის, ქართულის ხელობისა. წმიდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი, ვეშაპს გმირავს შუბით... ხატს უზის ცხრა ძვირფასი ქვა ზემო ნაწილზე.“

მეორე გვერდზე მხედრული წარწერაა:

„წელსა ჩყმზ-სა ივლისის კზ-სა. წმინდა გიორგი, ჩვენ მოსავმან შენმან თავადმან ფაღავამ კაციამ და მეცხედრემან ჩემან ზეფისშვილის ასულმან ელისაბედმან გავაჭედინეთ ხატი ესე შენი საფასითა ჩვენითა სულისა ჩვენისა საოხად და ძეთა ჩვენთა წარსამართებლად“.

ეკლესიას დიდი ეზო აქვს ჩვეულებრივი დიდრონი ხეებით შემკობილი... ფაღავას გვარი უმეტესად ეხლაც ბანძაში ცხოვრობს“¹⁴.

XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესასწავლად საინტერესო მონაცემებია დაცული რუსეთის იმპერიის მიერ 1886 წელს განხორციელებულ ამიერკავკასიის კომლობრივი აღწერის მასალებში, რაც 1893 წელს რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოიცა. აღწერის მასალებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრაში ერთიანდებოდა აბაშის, მარტვილისა და ნოქალაქევის უბნები. ამასთანავე, თითოეული უბანი იყოფოდა რამდენიმე სასოფლო საზოგადოებად. ბანძის საზოგადოება აერთიანებდა ოთხ სოფელს - ბანძას, ვედიდკარს, მახათს და მუხურჩას. ბანძა 372-კომლიანი სოფელი იყო, 2212 სულით. საზოგადოებაში გაერთიანებულ ოთხივე სოფელში კომლთა რაოდენობა 588-ს შეადგენდა, ხოლო სულთა რაოდენობა - 3559-ს¹⁵.

¹³ დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010, გვ. 76.

¹⁴ ქ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. კრ. „ძველი საქართველო“, გ. III, ტფ., 1913-1914, გვ. 38-39.

¹⁵ იხ. ი. კეკელია, ბანძის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება. სამეცნიერო სტატიების კრებული „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“, გ. I, თბ., 2019, გვ. 49-50.



შაურკარის წმიდა გიორგის ეკლესია. აგებული XIX საუკუნის I ნახევარში. დაანგრიეს 1931 წელს. ეს ფოტო 1894 წელს არის გადაღებული. მასზე ვხედავთ (მარცხნიდან): მიხეილ ანტონის ძე პეტერიას, ერუ მაქსიმეს ძე პეტერიას, სამუელ ანტონის ძე პეტერიას, ანდრი სესის ძე პეტერიას, გაბუნიას (სახელი უცნობია), ბესო ივანეს ძე პეტერიას, გიგო პატარაიას (მნათე), ბესარიონ გაბუნიას (მღვდელი) და ექვთიმე გახანიას (დიაკვანი).

ბანძას მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირიდან ემიჯნებოდა აბედათის სოფლის საზოგადოება (სოფლები: აბედათი, ჯოლევი, კვაუთი), 676 კომლით (4562 სული). გეჯეთის სოფლის საზოგადოება აერთიანებდა ორ სოფელს - საკუთრივ გეჯეთს და წყემს, 411 კომლით (22120 სული), ლეხაინდრავო-ონოდიის საზოგადოებაში შემავალ ოთხივე სოფელში (ლეხაინდრავო, ნაგიბეროვუ, ნაჯახოვუ, ონოდია) კომლთა რაოდენობა 695 იყო, ხოლო სულთა რაოდენობა - 4669; ნაქალაქევის სასოფლო საზოგადოებაში ცხოვრობდა 371 კომლი, 2002 სულით და ა. შ.¹⁶ ბანძის მყიდველთა და მოვაჭრეთა ძირითად მასას სწორედ ამ სოფლების მოსახლეობა შეადგენდა.

¹⁶ იხ. ი. კეკელია, დ. ოდიშარია, სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2012, გვ. 111-112.

საქართველოს სსრ 1925 წლის ადმინისტრაციული დაყოფის ცნობარის მიხედვით სენაკის მაზრაში შემავალი ბანბის თემი აერთიანებს შემდეგ სოფლებს: ბანძას, ვედიდკარს, მუხრანას, ორქას, მახათს, ლევახანეს და ლევოჩხუეს. თემის ფართობი მოიცავდა 28,08 კმ²-ს, ხოლო რადიუსი - 5,01 კმ-ს. კომლთა და სულთა რაოდენობის მიხედვით ცალკეულ სოფლებში შემდეგი სურათია ნაჩვენები: ბანძა - 711 კომლი, 3484 სული, ვედიდკარი - 232 კომლი, 1067 სული, მუხრანა - 133 კომლი, 593 სული, ორქა - 89 კომლი, 368 სული, მახათი - 30 კომლი, 152 სული, ლევახანე - 52 კომლი, 250 სული, ლევოჩხუე - 111 კომლი, 508 სული¹⁷.

ბანძა, როგორც სამეგრელოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი, XIX ს-ის II ნახევრიდან აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული ბაზრის განმტკიცების, ძირითადად აღმოსავლეთ სამეგრელოს სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის საქმეში. ბანბის სავაჭრო ცენტრად გარდაქმნას ხელს უწყობდა მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. იგი სენაკის მაზრის შუა ადგილზე მდებარეობდა, რისი წყალობითაც აქ ბაზრობას საფუძველი ჩაეყარა XIX ს-ის 60-იანი წლებიდან. 70-90-იან წლებში იგი დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ფურადღების ცენტრში მოექცა.

საგულისხმოა გამოქვეყნებული კორესპონდენცია, რომლის ავტორიც - კონსტანტინე ფალავა, სოფ. ბანძის შესახებ წერს: „ბანძა მდებარეობს ახალ-სენაკიდან ოცდა-ხუთი ვერსის მანძილზე. ამ სოფლის მკვიდრს მცხოვრებლებს შეადგენებ ორასამდე კომლი თავადაზნაურობა და სასულიერო წოდება და ხუთასი კომლი საბატონო გლეხები; გლეხებს ეკუთვნიან აგრეთვე უხსოვარ დროიდან აქ გადმოსახლებულნი სხვადასხვა ადგილებიდან ორმოც-და-ათი მოსახლე ებრაელნი, რომელნიც თავ. ფალავების ყმები იყვნენ. ებრაელნი უფრო ეტანებიან ვაჭრობას და ბევრი მათგანი საკმაოდ შეძლებულია“¹⁸.

იმავე გაზეთის #330-ში გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნულია, რომ „ბანძაში განსაკუთრებით მეგრელები ცხოვრობენ და

¹⁷ სსსრ დაყოფა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა. ტფ., 1925, გვ. 95.

¹⁸ „ცნობის ფურცელი“, #359, 2 ნოემბერი, 1897.

ერთს პატარა უბანზე კი ებრაელნი არიან ძველთაგანვე დასახლებულნი. სოფლის ვაჭრობა და აღებ-მიცემა ამ ებრაელთა ხელშია“¹⁹.

აქვე იყო სამამასახლისო ცენტრი, 1875 წლიდან აქვე მოქმედებდა საშინაო სკოლა²⁰, სადაც დადიოდნენ ბავშვები ბანდის საზოგადოების სოფლებიდან. ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამდეც ბანდაში გაჩაღებული ვაჭრობა აქაურ მედუქნებს დიდ შემოსავალს აძლევდა. სოფლის ცენტრში, სახმელეთო გზის გასწვრივ ჩამწკრივებული იყო სავაჭრო და საბაზრო ნაგებობანი. ბანდა წარმოადგენდა ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ცენტრს, სახელოსნო და სავაჭრო საწარმოებით, ბაზრით, მწკრივად განლაგებული ფიცრული ნაგებობებით და ათეულობით კერძო მობინადრეთა შენობებით. სოფელი თვალსაჩინო როლს თამაშობდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. სოფელს სიცოცხლეს ჰმატებდა საკვირაო ბაზრობა. აქ იყო ახლომახლო სოფლების მცხოვრებთა სავაჭრო ადგილი. აქ მოდიოდნენ ვაჭრები სენაკიდან, მარტვილიდან, ხონიდან, სუჯუნიდან და სხვ.

ბანდაში არსებობდა რამდენიმე ქრისტიანული სალოცავი. სოფლის საკულტო ნაგებობათაგან შეგვიძლია დავასახელოთ შაურკარის²¹, ჯეგეეკარისა²² და ნაჩილაჩაოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გაჩაღებულ ანტირელიგიურ კამპანიას შეეწირა²³.

¹⁹ ბ-ია თ., სოფ. ბანდა (სამეგრელო). წრეს გადასული ებრაელთა მევახშეობა. გაზ. „ცნობის ფურცელი“, #330, 4 ოქტომბერი, 1897.

²⁰ ე. ხოფერია, სოფ. ბანდა (სამეგრელო). გაზ. „ცნობის ფურცელი“, #172, 1897.

²¹ შაურკარის წმ. გიორგის ეკლესია დაანგრიეს 1931 წელს. აგრაფინა (ბუცა) გიორგის ასულმა კეკელიამ მიამბო: „მოსე სართანია კომუნისტებმა მოწამეთაში გაგზავნეს იმის გასაგებად, იყო თუ არა იქ დავით და კონსტანტინე მხეიძეების თავის ქალები. იქიდან რომ დაბრუნდა, შაურკარის ეკლესიის საკურთხევლის ქვაზე შემდგარმა მოსახლეობას განუცხადა, რომ ეს სიცრუეა და მოწამეთაში სანთლების მეტი არაფერი მინახავსო. სართანიამ მოსახლეობას მოუწოდა, რომ მონაწილეობა მიეღოთ ეკლესიის დანგრევაში. სალოცავს სახურავი გადააძვრეს. სახურავზე პირველად ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული ყურაშვილი (ყურუა) ავიდა, რომელმაც ჯვარი ჩამოაგდო. მისი მეუღლე იყო პედაგოგი ივლიანე გაბუნიას ძმისშვილი ნუცა გაბუნია. ყურაშვილი ჯარში წაიყვანეს და იქ დაიკარგა. მის მეუღლეს ცეცხლი წაეციდა და დაიწვა, ქალიშვილი კი ჭკუიდან შეიშალა. მერე ამბობდნენ, ეს იმის ბრალია, რომ ეკლესიის დანგრევაში მონაწილეობდათ“ (ჩემი მასალებიდან, ჩაწერილია 1998 წლის 15 ნოემბერს).

²² ჯეგ(ლ)ეკარის წმ. გიორგის ზედმიწერილი ეკლესია ხისა ყოფილა. მის დანგრევაში მონაწილეობა მიუღიათ ქოსტა მანჯგალაძეს, ლუკა და ლაზარე კიკალიშვილებს.

²³ ნაჩილაჩაოს ეკლესია დაურღვევის სამსონ ვახანიას (აღრე ურიადნიკი (რუს.Урядник) ყოფილა), ხოლო ელისე ურიდიას საეკლესიო ზარები ჩამოუხსნია და რუსეთში გაუგზავნია.

სამოთხე-კარის ეკლესიის ეზოში (სოფ. ლევახანე) ოდითგანვე მდგარა მუხის ხის მცირე სენაკი, რაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თავის ეზოში გადაუტანია კიკუ ფაღავას. აღნიშნული ნაგებობა, როგორც ხეზე კვეთის საინტერესო ნიმუში (მცენარეთა შესანიშნავი რელიეფური კვეთით და გრეხილი გონიოებით), შემონახული იყო გასული საუკუნის 70-იან წლებამდე. სამწუხაროდ, სენაკი ამჟამად პირწმინდად განადგურებულია და მისგან უმნიშვნელო დეტალსაც კი ჩვენამდე არ მოუღწევია.

XIX ს-ის უკანასკნელი მეოთხედისა და XX ს-ის 10-იანი წლების ქართული პრესა ხშირად ბეჭდავდა ინფორმაციებს სოფელ ბანძის მოსახლეობის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ. ბანძელებს ძლიერ აწუხებდათ გზების უვარვისობა, მოუსავლიანობა, სხვადასხვა სახის ავადმყოფობები და უექიმობა. განსაკუთრებით გახშირებული იყო ქურდობა, რითაც ეს სოფელი მთელს სამეგრელოსა და იმერეთში განთქმული იყო. „სოფ. ბანძა მდებარეობს სამეგრელოს ახლოს, მაგრამ საჭიროც არ არის ამ ქურდობაში სახელგანთქმულ სოფლის მდებარეობაზედ ლაპარაკი, რადგანაც მკითხველი ამის ქებასა და სახელს ლაპარაკში ხშირად გაიგონებდა: იმერეთში ყველა დარწმუნებულია, რომ ბანძელები, როგორც კაცები, ისე აგრეთვე ქალები, ქურდები არიან, რომ თვალში ბეწვს მოგპარავენ და, დაძინებულ ჩიტს ფრთებს ამოაცლიანო. მარჯვე და მოხერხებულ ქურდზე იტყვიან: „მაგას ქურდობაში ბანძელი ქურდიც ვერ შეედრებაო“. ბანძის მეგრელს ისე არ უნდა გაათევინო სახლში დამეო, როგორც ტურას საბატეშიო და სხვ. თუმცა ახლა-და-ახლა, რაც მამასახლისობა მოაწყეს, ცოტ-ცოტათი შემცირდა აქ ქურდობა, მაგრამ ძალიან ბევრს რომ ძალიან პატარა მოაკლოთ, მაინც საკმაოდ ბევრი დარჩება“...

„ივერიის“ კორესპონდენტი მკითხველს აუწყებდა გერმანულ გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობას სოფელ ბანძაში ყაჩაღების მეთაურ ბარბარე დანელიას შესახებ: „ქართული გაზეთები იუწყებიან, რომ სოფელს ბანძაში, ქუთაისის გუბერნიაში (კავკასია), ერთი ვიდაც ვარვარა (ბარბარე) დანელია ყაჩაღების ბრბოს ჰმეთაურობს და

ამ ეკლესიაში მდგდლად მსახურობდა ანტონ კეკელიას სიძე ამბროსი ოდიშარია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამბროსიმ მდგდლობას თავი დაანება და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა ვედიდგარის არასრულ საშუალო სკოლაში“ (არკადი (ავთანდილ) ალექსანდრეს ძე კვიტატიანის ნაამბობი).

თითქმის ათი წელიწადია იქვე სცხოვრობს. იგი ასე 35-40 წლისაა, იცვამს მამაკაცის ტანსაცმელს, მშვენივრად იცის ცხენზედ ჯდომა და სხვა და სხვა იარაღის ხმარება. რამდენჯერმე ჩავარდნია პოლიციას ხელში, მაგრამ ყოველთვის გაქცეულა, ან მოუხერხებია თავის განთავისუფლება, რომ ისევ წინანდებურად განეგრძო თავისი ხელობა²⁴.

ერთ-ერთ კორესპონდენციაში („ქურდობა სოფ. ბანბაში“) აღნიშნულია: „აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში, ჩვენის სოფლის ბლად. მ(ამა) ა(ნტონ) კე(კელ)იას ეზოდგან მოჰკარეს ერთი კარგი ცხენი და ძროხა. ეს პირველი არ არის ჩვენს სოფელში, მაგრამ მაინც ვერ იქნა და ვერ მოისპო აქეთ ქურდობა, რომელიც თანდათან მატულობს, თორემ კლებით არ კლებულობს. დაკარგულს დაეძებენ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ აღმოუჩენიათ“.

გაზეთ „კვალის“ კორესპონდენციის ცნობით ბანბა 716-კომლიანი სოფელია. აქ 610 კომლი გლეხი, 64 კომლი აზნაური და 42 კომლი თავადი სახლობს. კომლზე ოთხ სულს თუ ვიანგარიშებთ, შეადგენს 2864 სულს. ნიადაგი ნოყიერი არ არის და საშუალო მოსავალს ძლივს იძლევა. რაც დრო გადის, მოსავალი უფრო იკლებს; აქ უფრო მიწათმოქმედებას მისდევენ, უმთავრესად სიმინდს თესენ. უდელი ხარი, ძროხა და ცხენი ზოგიერთს ჰყავს. ბევრი ჭადი, ცოტა ყველი ან ცხელი ღომი და ტყემლიანი ფარგა, ზედ წყალი - აი, ბანბელის იდეალი ცხოვრებაში. სიდარიბის გამო ბანბელი ხორცს და ლგინოს ძალიან ცოტას ხმარობს, წელიწადში ორ-მესამედს მარხულობს და ლობიოთი და ჭადით საზრდოობს. სახლები უმეტესობას ძველებური აქვს: ისლით დახურული ბელელი და ნალია. აქა-იქ ოდებსაც შეხვდებით. ზამთარში საჭმლის დასამზადებლად ზოგიერთს შეშაც არა აქვს. სცივა და შია ბანბელს²⁵.

²⁴ „ივერია“, 1898, 19 ნოემბერი, #248, გვ. 2; იხ. აგრეთვე გაზ. „ცნობის ფურცელი“, #623, 5 სექტემბერი, 1898. სტატია - „გამოჩენილი ყაჩაღი ქალი (ბარბალე დანელია)“.

²⁵ „კვალი“, #39, 1899.

ცხოვრება და ღვაწლი დეპარტმენტის ანტონ პეპელიასი

იცხოვრა მაცხოვრის კარნახით
სიმართლის გაავლო ქვალი,
სოფლის და ხალხის წინაშე
არ დარჩენია ვალი.
ი. ძაგანია


მოსახლეობის უნუგეშო მდგომარეობის მიუხედავად, ბანძის ქუჩებში მაშინაც დადიოდნენ ადამიანები, რომელთაც მშობლიური სოფლის დარდი და ტკივილი აწუხებდათ და თანამემამულეთა სიხარული აღავსებდათ. ამჯერად სწორედ ასეთი ჩუმი მუშაკის, ცნობილი განმანათლებლისა და სასულიერო მოღვაწის, დეკანოზ ანტონ იოანეს მე კეპელიას უჩინარ ღვაწლზე მსურს მოგითხოთ.

ამ პიროვნებას ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს XIX ს-ის II ნახევრისა და XX ს-ის ათიანი წლების საზოგადო მოღვაწეთა შორის. მისი მოღვაწეობა ახალი თაობის აღზრდის, განათლების საქმისათვის თავდადების იშვიათი მაგალითია. ღვთიური ნათლით მოსილმა სოფლის სულიერმა მოძღვარმა პირადი საქმეები თავის იდეალს - საზოგადო საქმის დაუცხოობელ მსახურებას შესწირა. როცა მის მიერ განვლილ ცხოვრების გზას თვალის ერთი გადავლებით ვეცნობით, გაოცების გრძნობა გვეუფლება: რა მონდომება, რა სურვილი, რამდენი ენერგია იყო ჩაბუდებული ამ ზნეობრივად უმწიკვლო და შეუბლალავი ადამიანის სულში. ტაძარში ლოცვად მუხლმოყრილი, დამეებნათენები, ფუტკარივით მშრომელი კაცი და მრავალრიცხოვანი ოჯახის მეთაური წუთსაც ვერ იმეტებდა საკუთარი თავისა და კეთილდღეობისთვის. ღვთისმოშიშობა და მისი ერთგული სამსახური სასულიერო ჩამომავლობის კაცს მამა-პაპათაგან ზნეკეთილ გენეტიკურ მუხტად ჰქონდა გამოყოლილი, „თუმცა, - როგორც ვახტანგ როდონაია აღნიშნავს, - „საზეო“ საქმეთა კეთებით დიდად გადააჭარბა თავის წინაპართ. გაბრიელ ეპისკოპოსისაგან²⁶ მღვდლად კურთხევისთანავე ანტონ კეპელიამ ისეთი ენერგიული მუშაობა გააჩადა თავის სამწყსოში განათლების შესატანად, რომ ბანძის წმ. გიორგის ეკლესიის ახალგაზრდა წინამძღვარი სულ რამდენსამე თვეში „ბლალოჩინიც“ გახდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიე-

²⁶ გაბრიელ, ერისკაცობაში გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძე (1825- 1896 წწ.) - ქართველი სასულიერო მოღვაწე, მეცნიერი და პედაგოგი, იმერეთის ეპისკოპოსი 1860-1896 წლებში. სხვადასხვა პერიოდში მართავდა აფხაზეთისა (1869-1886 წწ.) და სამეგრელო-სვანეთის (1873-1886 წწ.) ეპარქიებს.

რიდან მას რამდენიმე სოფლის მრევლზე უნდა ეზრუნა“²⁷.

ანტონ კეკელიას მოღვაწეობამ მეტი სიწმინდე შესძინა ამ მადლიან სოფელს. ამიტომაც არის, რომ ბანბის ცენტრში, სენაკისკენ მიმავალი გზის დასაწყისში მდგარი, სამი მშფოთვარე საუკუნის მოწმე მზისფერი შენობა - სამსართულიანი საჯარო სკოლა, წმინდა სახლად მიიჩნევა, რადგან მის ბალავარს დიდი მამულიშვილის იდეალი და ნათელი ამაღლებს. განათლების ეს ფუძემველი კერა, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე ბევრმა ქარაშოგმა გადაუარა, რომლის კედლებსაც ბევრი ათოვა და აწვიმა, დღესაც დიდ მოწიწებას იწვევს და დაარსებიდან საუკუნეზე მეტი წელი შემდეგაც აღგვიძრავს დაუოკებელ სურვილს: „შევიდე სახლსა ამასა და თაყვანი ვცე“.



მამა ანტონ კეკელია

ანტონ კეკელია დაიბადა 1855 წელს (ზოგიერთი ცნობით - 1856 წელს)²⁸, სოფელ ბანბაში, სასულიერო პირის ოჯახში. ამ გვარის ძირძველი სამკვიდრო ამჟამადაც სოფელი ბანბაა. თანამედროვე აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ბანბის თემის ცენტრში, მდინარე აბაშის მარცხენა ნაპირას, კეკელიებით დასახლებულ სოფელს ლეკებულე ეწოდება. ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია ეკეკე//ეკეკეშ მუხური. საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათას გვარში კეკელია სულთა რაოდენობით 826-ე ადგილზეა (1248 სული)²⁹. გვარების - კეკელიას, კეკელიძის, კეკელაშვილის, კეკელიშვილისა და კეკეიშვილის ამოსავალს სამეგრელოსა და, საერთოდ, საქართველოში გავრცელებული პირსახელები - კეკე, კეკელა, კეკუელა, კეკუია უნდა წარმოადგენდეს³⁰. ძველ

²⁷ ვ. როდონაია, მადლის გზით მავალი, „ლიტერატურული საქართველო“, 5 ოქტომბერი, 1990.

²⁸ თინათინ სახოკია თავისი ბაბუის, დეკანოზ ანტონ კეკელიას დაბადების თარიღდად სწორედ 1856 წელს მიუთითებს. იხ. თ. სახოკია, თემო სახოკიას მიმოწერა საზოგადო მოღვაწეებთან. კრ. „საისტორიო მოამბე“, 31-32, თბ., 1975, გვ. 230.

²⁹ იხ. ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997, გვ. 286. კეკელიები ცხოვრობენ თბილისში, მარტვილში, ზუგდიდში, ქუთაისში, ღანიორში, ჯიხაშკარში, ვედიდკარში, ჯოლევში, ხაგვაზავოსა და სხვაგან.

³⁰ იხ. ა. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები. კორნელი კეკელიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1959, გვ. 48; ა. ჭანტურია, მეგრული სახელები და გვარები, თბ., 2006, გვ. 41, 104-105.

ქართულში კეკელა მეტსახელი იყო და „ლამაზს, შნოიანს, კოხტას“ ნიშნავდა³¹.



**ჩხერის მელისკურის ეკლესია –
გეკელიების საგვარეულო სალოცავი**

ჩაცმული, კიკნაძესავით ამაყობსო“. როგორც გადმოგვცემენ, კიკნაძეს მოსვლია შეხელა თანამდებობის კაც წერეთელთან ლხინში თუ რაღაც საქმისათვის, და მოუკლავს წერეთელი. ეს სახივათო ყოფილა კიკნაძისათვის. თავი რომ დაეცვათ, აყრილა მთელი ოჯახი იმერეთიდან და თავი შეუფარებიათ დადიანისათვის. წარუდგნენ რა მთავარ დადიანს, მოახსენეს თავიანთი უბედური შემთხვევის შესახებ და მოითხოვეს მფარველობა; დადიანს გაუცია განკარგულება, რომ ეს კარგი, „კეკელია ბიჭები“ დაესახლებინათ კარგ ადგილას. ისინი დაუსახლებიათ ბანძაში, ეკლესიის ახლოს (სტილი დაცულია - ი. ქ.)“³².

კეკელიას გვარი რამდენიმე შტოგვარად, ანუ, როგორც სამეგ-

ბანძელი კეკელიები
ზემო იმერეთიდან, ხარაგაულის რაიონის სოფელ ჩხერიდან ჩამოსახლებული კიკნაძეები ყოფილან³². ექიმი გრიგოლ ანტონის ძე კეკელია იგონებს: „ეს კიკნაძეები ყოფილან ხარაგაულის აზნაურები, შეძლებულნი, ამაყი, თავმომწონე და დიდი უფლებების მქონე, თავმოყვარეობის ძირითადი დამცველნი; იტყოდნენ თურმე: „კიკნაძესავით არის

³¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1990.

³² გვარს ისტორიული მექსიერების სახით შემორჩა ხსოვნა მათი წინაპრის იმერეთიდან მოსვლის შესახებ. ვგულისხმობ ისტორიის რეპრეზენტაციას ეთნოლოგიურ ასპექტში. გადმოცემით, XX საუკუნის დასაწყისშიც კი კეკელიები სალოცავად დადიოდნენ ჩხერის მელისკურის ეკლესიაში და მიჰქონდათ შესაწირავი.

³³ ი. კეკელია, ბანძის ტოპონიმია, თბ., 2007, გვ. 47; ი. კეკელია, ა. ფონიავა, კოლხური გვარებისა და შტოგვარების ეთნოისტორიისათვის. ჟურნ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, #4, თბ., 2008, გვ. 175. სხვა გადმოცემით, ზემოიმერელი კიკნაძეების ზოგიერთი წარმომადგენელი იმერეთის მეფემ ტეგის სყიდვაში მონაწილეობის გამო შერისხა, რის გამოც კიკნაძეებმა სამეგრელოში გაქცევით უშველეს თავს. ცნობილი ფაქტია, რომ ისინი აქტიურად ყოფილან ჩართულნი ამ უკეთურ საქმეში.

რელოში უწოდებენ - „დინოდ“³⁴ იყოფა. ესენია: აჯიეფი, მბარუეფი, კიბირფაფირეფი//ფაფირეფი//ოქროპირეფი, ბოტეფი//ბოტითურეფი, პაპათურეფი, მოქმედეფი, შვედა კეკეიეფი//შველათურეფი, დიტეფი, შახი კეკეიეფი//შაქაკეკეიეფი//შაქათურეფი, გაბათურეფი, ჩაბურთები, კაბოთურეფი, ძლირძლინა კეკეიეფი, ძლვირითურეფი, ხვისქირი-შეფი//ხვინცქირეფი, ძარგეფი, ჩუდა კეკეიეფი, წიპუეფი, ცქიტირიეფი, მანგარინჯეფი... ბანძელი კეკელიები ამათგან ერთ-ერთ შტოს მიეკუთვნებიან.



იოანე და ანტონ კეკელიების სახლი
თაობის მდვდელი ყოფილა (ანტონი ← იოანე³⁶ ← მიქაელი ← მათე ← მურზა//მურზაყანი).

ანტონ კეკელიას წინაპრები საბატონო ყმები ყოფილან. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია „სიმტკიცის წერილი“, რომლის თანახმად მდვდელ მიქაელ კეკელიას (მამა ანტონის ბაბუას), თავად ხახუ ვახუშტის ძე ფალავას³⁷ საბატონო ბეგარიდან თავი გაუთავისუფლებია:

„ჩყმე-ს წელსა მაისის გ-ს, ნებითა და შეწევნითა ღვთისათა

მამა ანტონის შტო - წინამორბედნი და შთამომავალნი, „მანგარინჯეფი“ არიან. „მარგარინჯა“ მეგრულად იგივეა, რაც „მტირალა“ (გადატ. მწუხარე, ბუზდუნა, წუწუნა). ზოგადად კი სასულიერო პირთა ამ მოდგმას „პაპათურეფი“ ეწოდება, რაც „მდვდლის შთამომავლებს“³⁵ ნიშნავს. და მართლაც, იგი თავის საგვარეულოში მეხუთე

³⁴ „დინო“ მეგრულში იგივეა, რაც სახლეული; შიდა განშტოება ერთი დიდი პაპის შთამომავლობისა, ერთი გვარის ხალხისა.

³⁵ ი. კეკელია, ა. ფონიავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 176; **თური** მეგრ. აღნიშნავს რჯულს, მოდგმას (5-6 თაობას), გვარს, მოგვარეს, სახლეულს. შდრ.: თურიშ კოჩი „სახლიკაცი, მოგვარე“; თურკათა „სანათესაო, სახლიკაცები, ერთი გვარის ხალხი“; თურკოჩი „სახლიკაცი“.

³⁶ იოანეს ძმები, ანუ ანტონის ბიძები არიან ზალიკა და ტიმოთე (კიმოთე).

³⁷ ბანდა-შაურკარის საეკლესიო-მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით თავადი ხახუ ვახუშტის ძე ფალავა გარდაცვლილა 1864 წლის 11 იანვარს, 65 წლის ასაკში, თავის ტკივილით, და 14 იანვარს დაუკრძალავთ „მარტვილის სობოროს საკათედროს წ-დის ღთის მშობლის ეკკლესიაშიდ“. აღსარება ჩაუბარებია და უზიარებია ბლაფორჩინ მდვდელს - საბა გაბუნიას. სცია, ფ. #489, ანაწ. #6, საქმე #1717.

ესე მტკიცე და შეუცვალებელი საუკუნო საბოლაო სიმტკიცის წერილი მომეც მე ქუემორე ამისა სიმტკიცედ ხელის მომწერმან პრაპოშიგმა კზ ხახუ ვახუშტის ძემ ფაღავამ შენ მამა პაპით კუთვნილისა ყმასა ჩემსა მღვდელს მიხაილ კეკელიას და ძეებთა შენთა ზალიკას³⁸, იოანეს და ტიმოთეს³⁹ და შთამომავალთა თქუენთა მას ზედა, რომელ შემთხვევთ და შევისმინე თხოვნა შენი და გარდაგიწერე ყლივ ჩემის ოჯახისა მუშაობა, არც ხარით და არც კაცით, არც თონეით და არც არა ვითარის სამუშაოდ, არც გარეთ და სასახლეში, არასოდეს არ გაგიყვანოთ არავითარს სამუშაოზედ, არასოდეს არც თქუენ და არც ძენი და მომავალნი თქუენნი, არც მე და არც ძემან და მომავალმან ჩემმან, ისე საუკუნოდ განმითავისუფლებიხართ ყლის ჩემის მუშაობისაგან საუკუნოდ უკუნისამდე და მას გარდა გარდაგიწერე დორის ბეგარა და ნაცვლად მისა ყლ წლობით უნდა მომცე ერთი ცხვარი და გარეშე ამა ზემორე განცხადებულის თავისუფლებისა, თანა გაძესთ თქუენ სხვა სამსახურით მემსახუროთ, რო-

³⁸ 1852 წლის 16 აპრილს ზალიკა მიხაილის ძე კეკელიას და მზეხა ხუბუს ასულს შეეძინათ ვაჟი თეიმურაზი. მიმრქმელია გლეხი გახუ ხუბუნიას ძე წულაია. მოუნათლავს მღვდელ მიხაილ კეკელოვს (კეკელიას) და პრიხეტნიკ ივანე კეკელიას. იხ. სცია, ფ. #489, ან. #6, ს. #960. 1885 წლის ჩანაწერის მიხედვით ზალიკას კიდევ ორი ვაჟი - თომა და გვადა პყოლია. თომა კეკელიას 1885 წლის 11 თებერვალს შეძენია შვილი ილია. თომას მეუღლედ მითითებულია ტასია იოსიკას ასული. ილია თომას ძე კეკელიას მიმრქმელია ევპრაკსია - მღვდლის ოქროპირ რურუს ასული. ნათლობის საიდუმლო აღასრულა მღვდელმა იოანე კეკელიამ, პრიხეტნიკ ბესარიონ გაბუნიასთან ერთად. მოწმეები არიან კიმოთ მიხაილის ძე (ანტონის ბიძა) და გვადა ზალიკას ძე (ანტონის ბიძაშვილი) კეკელიები. სცია, ფ. #489, ანაწ. #33, ს. #139 (1885 წლის ჩანაწერები). 1905 წლის გარდაცვალების საეკლესიო ჩანაწერის მიხედვით 10 იანგარს გარდაიცვალა და 14 იანგარს ბანდა-შაურგარის წმ. გიორგის ეკლესიაში დაკრძალეს პრიხეტნიკი თომა ზალიკას ძე კეკელია (48 წლისა). წესი აუგეს ბლაფორჩინმა ანტონ კეკელიამ და დიაკვანმა ექვთიმე ვახანიამ. იხ. სცია, ფ. #489, ანაწ. #33, ს. #155. 1897 წლის 2 თებერვალს დაიბადა და იმავე წლის 23 აპრილს მოინათლა დარია კეკელია, ქალიშვილი მღვდლის შვილიშვილ გვადა ზალიკას ძე კეკელიასი და ვარგარა თეოდორეს ასულისა. მიმრქმელად დასახელებულია ევპრაქსია ოქროპირის ასულიუ კეკელია. იხ. სცია, ფ. #489, ანაწ. #33, ს. #151.

ეს ზალიკა (ანტონის ბიძა) გარდაიცვალა 1890 წლის 14 ოქტომბერს, 62 წლის ასაკში, ანთებით. აზიარა ბლაფორჩინმა ანტონ კეკელიამ. დაუკრძალავთ 19 ოქტომბერს, ბანდის სასაფლაოზე. იხ. სცია, ფ. #489, ანაწ. #33, ს. #144.

³⁹ ტიმოთემ 42 წლის ასაკში მესამე ქორწინებით ჯვარი დაიწერა ბარბარე ვატას ასულ კირცხალიაზე. სასიძოს მოწმეებად დასახელებულია გლეხნი - გუბული ხახუტის ძე და ხახულია ქორდას ძე კეკელიები. სარძლოს მხრიდან მოწმეები არიან: თედორია მიროლავა (მილორავა) და კოსტა კირცხალია. 1897 წლის მეტრიკული ჩანაწერიდან ირკვევა, რომ მღვდლის შვილიშვილს - ამბაკო ტიმოთეს ძე კეკელიას და ევდუკსია კონსტანტინეს ასულს 1897 წლის 29 ივნისს შეეძინათ და იმავე წლის 30 დეკემბერს მონათლეს შვილი პანკრატი. სცია, ფ. #489, ანაწ. #33, ს. #151.

გორც სხვანი სახლის კაცნი თქუენი, ფა...შის შეშის მოტანითა და... ჩემისა საჯერი ქრთამი ესე იგი ასორმოცდაათი მანეთი უცხოისა ფული და აწ ამიერიდამ გაქვსთ თქუენ ზემორე განცხადებულს საქ- მესა ზედა თავისუფლობა ჩემგან, და მემკვიდრეობით შთამომავალ- თა ჩემთაგან თქუენ და შტამომავალთა თქუენთაუკუნისამდე, ხოლო ესეც რ-ლ მემკვიდრეობით მპყრობელმან ოჯახისა ჩემისამან ინებოს თქუენ ზედა და შთამომავალთა თქუენთა ხელითა ამა ჩემმიერ მტკი- ცის და შეუცვალებელის წერილისა შეშლა, მაშინ ყ-ლს სამსაჯუ- ლო ადგილზედ მოგეცეს თქუენ და შთამომავალთა თქუენთა სიმ- ტკიცე ვითარცა ამას შინა გამოცხადებულ (?) არს, ხ(ო)ლო დამამ- ტკიცებელი ამა წერილისა კუთხეულ არის. არის ამის მოწამე თვით ღ(მერ)თი და კაცთაგან თ-დი ბეჭან მურძაყანის ქე ფალავა, პრაპოშ- ჩიკ თა-დი მათი ხუხუს ქე ფალავა, პრაპოშჩიკი თ-დი გიორგი ერის- თუეს ქე ფალავა, ბლალოჩინი იოანე ასათიანი, აზნაური ჩემი დათა გაბუნია, აზნაური ჩემი ტატო გაბუნია, მოურავი ჩემი დათიკა კარკალაია, ხე- ლოსანი ჩემი ლაშქარა კვიტატიანი, და სხვანი თ-დნი, ერნი სასახლისა ჩემისანი, მისი ბრწყინვალების თავადის ხახუ ფა- ლავას ბრძანებითა უეთანხმები წერილსა ამას მდვდელი საბა გაბუნია.

რადგან მამა ჩემმან წერა არ იცოდა და ბრძანებისა გამო მამისა ჩემისა ვსწერ წერილსა ამას ქე მისი დუტუ ხახუს ქე ფალავა და მოწამეცა ვარ ამისა - ამა ჩუ- ენ მიერ მოცემულს წერილს ხელს ვაწერ და გამტკიცებ თ-დი დუტუ ხახუს ქე ფა- ლავა და... მაქვს ამისი⁴⁰...

მამა იოანე მიქაელის ქე კეკელია, როგორც მისი საფლავის ქვაზე შესრუ- ლებული წარწერა გვაუწყებს, დაბადებულა 1819 წელს და გარდაც- ვლილა 1914 წელს, 95 წლის ასაკში.



მდვდელი იოანე
მიქაელის ქე კეკელია

⁴⁰ მარტვილის მუზეუმი, ხ. მ. ვ., 4388/1, ა- 172. აღნიშნული საბუთი მუზეუმისთვის 1957 წლის ნოემბერში გადაუცია მიხეილ ანტონის ქე კეკელიას.

რა შეიძლება ითქვას კიდევ მამა ანტონის ბიოგრაფიისა და ოჯახის წევრთა შესახებ? დედა - ნაჯახაოელი ელისაბედ ნიკოლოზის ასული ფინთურია 1880 წლის 28 მაისს, 46 წლისა გარდაცვლილა, გულისტკივილით და დაუკრძალავთ 31 მაისს შაურკარში, „ამავე ეკლესიის გალავანსა შინა“ (წესი აუგო მოძღვართ-მოძღვარმა მდგდელმა საბა გაბუნიამ). ანტონს ორი ძმა და ერთი და ჰყოლია. 1860 წლის 8 იანვარს დაიბადა და 15 იანვარს მონათლეს მაქსი-



ბე. ბანხა-შაურკარის წმ. გიორგის ეპლესიის მეტრიკული ჩანაწერის მიხედვით მაქსიმეს მამა დიაკონი იოანე მიქაელის ძე კეკელია, ხოლო დედა - ელისაბედ ნიკოლოზის ასული (ფინთურია). მაქსიმეს ნათლიად დასახელებულია ყმა იოანე იორდანეს ძე წირქვაძე (წირქუაძე). ნათლისლების საიდუმლო აღასრულა მდგდელმა მარკოზ გაბუნიამ, პრიჩეტნიკ სვიმეონ კეკელიასთან ერთად⁴¹. 1864 წლის 7 სექტემბერს დაბადებულა და იმავე წლის 16 სექტემბერს მდგდელ საბა გაბუნიას, პრიჩეტნიკ დიმიტრი გაბუნიასთან ერთად, მოუნათლავს იოანე მიქაელის ძე კეკელიას ვაჟი მატე (მათე), რომლის მიმრქმელიც ყმა ივანე სიმონის ძე წირქვაძეა. მოწმეებად დასახელებულნი არიან ყმები - უტუ ახალის ძე კეკელია და როსტომ გიგას ძე კეკელია⁴². მოიპოვება მათეს გარდაცვალების მეტრიკული ჩანაწერიც: გარდაცვლილა 16 წლისა, 1880 წლის 28 ოქტომბერს, ანთებით, და 31 ოქტომბერს დაუკრძალავთ შაურკარის ეკლესიის გალავანში. წესი აუგო მოძღვართ-მოძღვარმა მდგდელმა საბა გაბუნიამ, პრიჩეტნიკ სიმეონ კეკელიასთან ერთად⁴³.

საარქივო ჩანაწერებით დღემდე ვერ იქნა დადგენილი ანტონ

⁴¹ სცია, ფ. #489, ანაწ. #6, ს. #1357.

⁴² სცია, ფ. #489, ანაწ. #6, ს. #1717.

⁴³ სცია, ფ. #489, ანაწ. #33, ს. #134.

კეკელიას დის - ეკატერინეს დაბადება-გარდაცვალების თარიღები. ანტონის შვილთაშვილების - ქეთევან, ლელა და მაკა კეკელიების ზეპირი ინფორმაციით, ის იყო სენაკელი ხოფერიას მეუღლე. გარდა-იცვალა ტიფით. ჰყავდათ ერთადერთი ვაჟიშვილი, რომელიც მცი-რეწლოვანი აღესრულა. საოჯახო არქივში დაცულია მომაკვდავ ეკატერინეს მარადისობაში გადასვლის ამსახველი, დიადი ტრაგიზ-მით დატვირთული ფოტოსურათი. მომაკვდავის სასთუმალთან დრმა მწუხარებით მოცული მამისა და ძმის თვალცრემლიანი სახეებია აღბეჭდილი...



ფოტოსურათსაც საინტერესო ისტორია აქვს. მძიმე წუთებში, როცა ეკატერინე წუთისოფელს ტოვებდა, ანტონ და იოანე კეკელიებს სამტრე-დიის რკინიგზის სადგურში სახელ-დახელოდ ფოტოგრაფი უპოვიათ, რა-თა საყვარელი დის სახე სამუდამოდ შემორჩენოდა ოჯახის ისტორიას (სულთმობრძავი ეკატერინე ამ დროს თბილისიდან მატარებლით მოჰყავ-დათ მამას და ძმას).

დეკანოზს შთამაგონებელი გა-რეგნობა და შესანიშნავი ხმა გამოარ-ჩევდა⁴⁴. ამ თვალსაზრისით საგულის-ხმოა თედო სახოკიას მოგონება: „პარიზში 1900 წლის მსოფლიო გა-მოფენაა. საქართველოდან ჩამოსულს საფრანგეთის დედაქალაქში დამხვდა ჩემი მეგობარი, მხატვარი ალ. მრევლიშვილი⁴⁵, სამშობლო-ში უკვე ცნობილი და აქ ჩამოსული, აქაურ სამხატვრო აკადემიაში სამუშაოდ და თავის ხელობაში განსავითარებლად...

⁴⁴ თანამედროვენი იგონებდნენ, რომ მამა ანტონს შესანიშნავი ხმა ჰქონდა და საუცხოოდ ფლობდა წირვისას ხმის აწევ-დაწევის რთულ ხელოვნებას. მის ხმას „ნამდვილი სასოების ხმას“ უწოდებდნენ. იხ. ვ. როდონაია, მადლის გზით მავალი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 5 ოქტომბერი, 1990.

⁴⁵ ფერმწერი და გრაფიკოსი; 1898-1903 წლებში სწავლობდა პარიზში, უკულიენის აკადემიაში - ი. ქ.



დეკანოზი ანტონ კეკელია და მეუღლე ეპრაქსია ოქროპირის ასული რურუა

იმ ხანებშივე ალ. მრევლიშვილმა ჩემთან სხვა ფოტოსურათებთან ერთად დაინახა სურათი ჩემი მეგობრის, დეკანოზ ანტონ კეკელიასი, რომელიც სამეგრელოში, როგორც სასულიერო, ისე სახორციელოთა შორის უმშვენიერესის, პირდაპირ კლასიკური სილამაზის ადამიანად ითვლებოდა. განსაკუთრებით პშვენოდა ანაფორაში და მაყურებელი ძალაუნებურად ქრისტეს სახეს ადარებდა... მხატვრის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ხსენებულმა სურათმა და საშამ, როგორც ჩვეულება პქონდა, ჯერ ფანქრით დახატა კედელზე. ზეთის წამლებით კი სამშობლოში დავხატავო. სულ კი იმას იძახდა: ქრისტეს დახატვა ვისაც უნდა, ტიპად ეს ადამიანი უნდა გამოიყენოსო. მართლაც, მისი ფრანგი ამხანაგები, ვინც კი ნახავდა კედელზე დახატულს სურათს, ყველას თვალი ზედა რჩებოდა და ყველანი იძახდნენ თურმე - ქრისტე ასეთად უნდა დაიხატოს“⁴⁶.

ანტონ კეკელიას ცოლად ჰყავდა მუხურჩის წმიდა თეოდორე ტირონის ეკლესიის მღვდლის - ოქროპირ რურუას ქალიშვილი - ეპრაქსია. იგი ლვთისმოშიში და საკუთარი ოჯახის საოცრად ერთგული, მზრუნველი მეუღლე და დედა ყოფილა, რომელსაც მიღებული პქონდა დაწყებითი საოჯახო განათლება. იცოდა წერა-კითხვა. წაკითხული პქონდა „ვეფხისტყაოსანი“ და საღვთო

⁴⁶ თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969, გვ. 190-192.

წიგნები. მათ 12 შვილი შეეძინათ. ამათგან სამნი მცირეწლოვნები გარდაცვლილან. ბანბა-შაურკარის ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით 1896 წლის 23 თებერვალს გარდაიცვალა და 25 თებერვალს დაუკრძალავთ მარიამ - დეკანოზ ანტონ კეკელიას ასული, 3 წლისა. იმავე წლის 24 თებერვალს (მეორე დღეს) გარდაცვლილა და 26 თებერვალს დაუკრძალავთ მეორე ქალიშვილი ოლღა, 10 წლისა. ორივე შვილი მამამ შაურკარის სასაფლაოზე დაკრძალა. საარქივო ფონდებში ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ მეტრიკულ ჩანაწერს მამა ანტონის კიდევ ერთი ქალიშვილის შესახებ, რომელსაც ნინო რქმევია და ისიც ძალიან მცირეწლოვანი გარდაცვლილა. ასევე ცნობილია, რომ ერთ-ერთ შვილს ერქვა ალექსი, რომელიც დაბადებისთანავე დედასთან ერთად დაღუპულა (900-იანი წლების დასაწყისში)⁴⁷.


ანტონ კეკელიას ოჯახის წევრთა ვინაობის გასარკვევად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის შაურკარის ეკლესიის 1908 წლის საეკლესიო ჩანაწერები. კერძოდ, დაბადების ჩანაწერში აღნიშნულია, რომ 1908 წლის 6 დეკემბერს დაიბადა და 1909 წლის 14 იანვარს მოინათლა თამარი, მამა - მღვდლის შვილთაშვილი, მედავითნეს შვილი რაჟდენ თომას ძე კეკელია და დედა - ნინა ანტონის ასული. მიმრქმელია მარიამ სიმონის ასული, ცოლი მღვდელ ბესარიონ გაბუნიასი⁴⁸.

ანტონმა და ეპრაქსიამ ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ შვილებს შესაბამისი განათლება მიეღოთ. რვა შერჩენილი შვილის შესახებ საარქივო დოკუმენტებში გარკვეული ინფორმაცია მეტ-ნაკლებად მოგვეპოვება. საქართველოს სახელმწიფო არქივის მეტრიკული ჩანაწერების ფონდში დაცული დოკუმენტის მიხედვით ნადევდა - ქალიშვილი მღვდელ ანტონ იოანეს ძე კეკელიასი და მისი სჯულიერი ცოლის - ევპრაქსია ოქროპირის ასულისა (რურუა), დაბადებულა 1880 წლის 12 იანვარს. სააქტო ჩანაწერი გაკეთებულია ორი წლის შემდეგ, 1882 წლის 16 ივლისს. მისი მიმრქმელია თავადი მელქისედეკ გიგოს ძე ფადავა. ნათლისდების საიდუმლო აღასრუ-

⁴⁷ ქეთევან ბოჩიას ასული კეკელიას ნაამბობი.

⁴⁸ სცია, ფ. #489, ანაწ. #33, ს. #155.

ლა მღვდელმა მარკოზ გაბუნიამ, დიაკვან სიმეონ კეკელიასთან ერთად. მოწმეებად დასახელებულია თავადი ბეგლარ ლეონის ძე ფადავა და აზნაური გახუ მაგულიას ძე გაბუნია⁴⁹.



თედო სახոკია



ნადეჟდა კეკელია

ნადეჟდა კეკელიას მეუღლე იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია (1868-1956 წწ.). დაქორწინდნენ და ჯვარი დაიწერეს 1906 წელს. ამ დროს თედო 38 წლის, ხოლო ნადეჟდა 25 წლისა იყო. ჯვრისწერის საიდუმლო აღასრულა მღვდელმა რომანოზ ურიდიამ, დიაკვან ექვთიმე ვახანიასთან ერთად. მეჯვარენი იყვნენ: სოხუმელი საჩინო ხოსროს ძე თურქია და ბესარიონ ბექანის ძე გვალია; ქალის მეჯვარენი ყოფილან: ბანბეჭები - მღვდლის შვილიშვილი ბართლომე მოსეს ძე ურიდია და აზნაური მიხეილ თემურაზის ძე გაბუნია⁵⁰. ისინი ერთხანს სოხუმში ცხოვრობდნენ. ჰყავდათ ქალ-ვაჟი - თინათინი (თინა)⁵¹ და ვახტანგი. ნადეჟდა სწავლობდა თბილისის ეპარქიალურ სასწავლებელში. მასწავლებლობ-

⁴⁹ „მეტრიჩესკის წიგნი, მიცემული საქართველო-იმერეთის უწმინდესის მმართებელის სინოდის კანტორიდგან მენერელიის ეპარხიის სოფლის ბანდა-შაურისკარის წმ. გიორგის ეკლესიასა შინა, ჩასაწერელად დაბადებულთა, ქორწინებით შეუდვლილთა და გარდაცვალებულთასა, ჩყ წლისათვას“⁴⁹.

⁵⁰ სცია, 1906 წლის საეკლესიო ჩანაწერი. ფ. #489, ანაწ. #33, ს. #55.

⁵¹ თინათინ სახოკია დაბადებულა 1907 წლის 20 ივლისს და მოუნათლავთ 1908 წლის 25 მაისს. მამა - მღვდლის შვილი თედოზე ტიმოთეს ძე სახოკია, დედა - ნადეჟდა ანტონის ასული. მიმრქმელია თავადი ნიკოლოზ ყარამანის ძე თავდგირიძე და მარიამ დავითის ასული, კონსტანტინე გრიგორის ძე შერვაშიძის ცოლი. მონათლა მღვდელმა ივანე კეკელიამ, დიაკვანია ექვთიმე - ვახანია. სცია, ფ. #489, ანაწ. #33, ს. #155.

და ჯერ სოხუმის სკოლაში, შემდეგ ბანძის ორკლასიან საეკლესიო-სამასწავლებლო სკოლაში, რომელიც მამამისის მიერ იყო დაარსებული. სრულიად ახალგაზრდა, იმ დროისთვის უკურნებელი სენიო - ჭლექით დავადდა. მეუღლესთან ხანმოკლე თანაცხოვრება არგუნა ბედმა⁵². თედოს შორს ყოფნა კიდევ უფრო ამბიმებდა ნადე კეპლიას ჯანმრთელობას. მის სულიერ მდგომარეობას, უკურნებელი სენიო გამოწვეული ხორციელი ტკივილების დათმენას და სარწმუნოებრივ სიძლიერეს ასახავს თედო სახოკიას პირად არქივში დაცული ერთი წერილი, რომელიც თეკლათის მონასტრის ბერს - ალექსი შუმანიას მიუწერია ნადესთვის. კერძო ხასიათის ბარათი 1914 წლის 11 მაისით თარიღდება, რასაც თან ერთვის ნადესადმი მიძღვნილი ლექსიც: „ზეგარდმო მშვიდობა, მადლი და კურთხევა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. იყავნ შენთანა მდიდრად, რათა იტვირთო მხედ საწუთრო ესე ბედისა, დაჩაგრულისა. ჭირი და ავადმყოფობა ელისაბედმა მომითხრა შენი და კიდეც მომეთხოვა წერილი მომეწერა, რასაც სიამოვნებით ვასრულებ.“

შვილო ნადე! შენ ახალგაზრდობიდან ზნეობით, პატიოსნებით და ღმრთის მოყვარულობით განირჩეოდი თანამყოფ ქალიშვილებისგან და ესეთი ციური თვისების სათხოებანი, რა რომ ღვთის საშურ თანამშემსმელ აშენებდა შენს სახელს, განა საფიქროა, რომ განსაცდელის დროს უსუსტოთ სულის შემყენებელ სათხოებას. არა, მე მწამს, ყოველი შენზედ მოვლენა ჭირისა და მწუხარებისა უფრო აღამაღლებს შენში შენს სულიერ მხარეს და როგორც ღრმა მორწმუნე ქრისტიანეთა ივნები, ჯუარს ეცმი და მხედ დაითმენ სულის გან-



წმ. ამბროსი აღმსარებელი
(ხელაია)

⁵² თედო სახოკია ხუთჯერ იყო საქართველოში დაპატიმრებული (იჯდა ქუთაისის, თბილისისა და სოხუმის ციხეებში). შემდეგ მიესაჯა კატორდა, გადასახლება შორეულ ციმბირში. წლების მანძილზე იმყოფებოდა შორეულ ემიგრაციაში.

მაბრწყინებელ ჯუარის სიმძიმეს, უკეთუ ვნებას მეუფება განკურნებს, მარჯვენა მისი და თუ არადა, ამ საჯოჯოხეთო ცხოვრების გენისაგან გაგათავისუფლებს, მხიარულად მიეყრდენ მამობასა მისსა, რომელმან ზიარ გყო ჯუარსა მისსა საუკუნო სუფევისა, მისი-სადმი აღსაყვანად.



მამა ანტონი ქალიშვილთან –
ნადეჟდასთან. 1891 წ.

ამასთან გონიერის თვალით მიმოიხედე მსოფლიო ტანჯულთა კვნესა ვაებისაგან, რომელთა უმრავლესობას საყვარელი ძვირფასი გულშემატკიგარი მამის ხელი არ ემსახურება და ყოველგვარ ნიჭიერ საჭიროებისაგან უნუგეშოდ მცირე რამეზედ განწირული აგდიათ სარეცელზე, ხოლო შენ შენი ძვირფასი მამა და ძმანი განუგეშებენ ტკბილი სიტყვებით და ყოველგვარ საჭიროებისამებრ დაუზოგველად შენი სიმრთელისათვის ზომის მიღებით თავს გევლებიან, რაც იშვიათთა ხვედრია, - ამად მხედველთა - ვმადლობდეთ დმერთსა და განძლიერდი“⁵³.

აქვე მოგვყავს წმ. ალექსი შუშანიას ლექსიდან ნაწყვეტი:

„აწ შვილო ნადე! დაუთმე ჯვარსა,
თუმცა მძიმეა და გემწარება,
ღვთისგან რგუნებულს ვერ ეტყვი ვარსა,
მასთან სუფევა ჯვრით გეხარება.

.....

ნეტარ არს მონა, ვინცა ტანჯულა,
საწუთრო ბედი ვისთვის დახშულა.
რაც მას გემობდა, ყველა არ ქმნულა,
მართლაც მწუხარე იგიც დაფლულა.
ნაცვალ ამათი აღდგეს ნეტარად,

⁵³ იხ. ლ. ბუკია, თედო სახოკიას დიდი სიყვარულის ისტორია. გაზ. „ხობის მოამბე“, #15 (7074), 29 ივლისი, 2016, გვ. 5.

უხრანელ სხეულით გაბრწყინებული,
ღმერთმან სუფევა არგოს ზენარად,
მკვირველ ტრფიალის აღმატებული.
ნადე! იტვირთე მხენეობიანად,
რაც რომ სამწუხერო ბედმა გარგუნა,
სულსა არ აგნო ზნეობიანად,
ხორცმა რაც ტანჯვა ჯვარით გარგუნა.
ჭირი თუ დათმო, ღმერთი გეახლოს,
ძალა ღვთიური განუგეშებდეს“⁵⁴

ნადევდა კეპელიამ სიცოცხლის
ბოლო წლები მშობლიურ სოფელში
გაატარა. გარდაიცვალა 1918 წლის
მარტში. დაკრძალულია ბანძის სა-
საფლაოზე, დედის გვერდით. მის კუ-
ბოსთან გამოსათხოვარი სიტყვა წარ-
მოუთქვამს ჭყონდიდის მიტროპო-
ლიტს, შემდგომში საქართველოს კა-
თალიკოს-პატრიარქს, წმიდა ამბრო-
სის (ხელაიას). მოგვყავს ამონარიდი
ამ სიტყვიდან: „შენ, განსვენებულო,
პირადათ ვერ გიცნობდი, მაგრამ ძა-
ლიან ბევრთაგან მსმენია, რომ იყავი
კეთილი ადამიანი, მატარებელი მოძ-
მეთადმი სიყვარულისა, რომ იყავი
მორწმუნე შვილი ეკლესიისა; შენ



მამა ანტონი უფროს
შვილიშვილებთან – ვახტანგ და
თინათინ სახოკიებთან.
ბანძა, 1912

იყავი დირსეული შვილი დირსეულის მშობლებისა, ასრულებდი მო-
სიყვარულე შვილის მოვალეობას, შენ იყავი აღმასრულებელი მოვა-
ლეობისა, როგორც მასწავლებელი მოზარდ თაობისა. აღზრდის
საქმე არ არის ადგილი, ის თხოულობს დიდ შრომას, მაგრამ შენ
იცოდი, რომ ეს არის წმიდა საქმე და მას შესწირე თავის ძალ-ლონე.
ამან კი მოამზადა ნიადაგი შენი ავათმყოფობისათვის. შენ იყავი მო-
ვალეობის აღმსრულებელი, როგორც დირსეული მეუღლე დირსეუ-
ლის ქმრისა, რომელმაც სავსებით განიცადა სიმბიმე ამქვეყნიური

⁵⁴ იხ. ლ. ბუგია, თედო სახოკიას დიდი სიყვარულის ისტორია. „ხობის მოამბე“, #15, 2016.

უსამართლობა-ძალმომრეობისა, განიცადა დევნა-ექსორიობა მხოლოდ იმისთვის, რომ ის პირნათლად ასრულებდა მოვალეობას თავის სამშობლოს კეთილდღეობისათვის სამსახურისას. ხოლო შენ, განსვენებულო, არ გიღალატნია მოვალეობისათვის, როგორც მეუღლეს, როგორც დედას. მხნეთ იტანდი სიყვარულის და მოსიყვარულე მეუღლის დიდი ხნით მოშორებას, თუმცა კი სულით იტანჯებოდი და ამ ტანჯვამ უკურნებლად აქცია მოვალეობის აღსრულების დროს მიღებული სენი.

ნეტარი ხარ შენ, განსვენებულო, რადგან შენ აასრულე შენი მოვალეობა, რადგან შენ, მიუხედავად შენის უკურნებელის სენისა, მოესწარი სიცოცხლეში გეხილა არამც თუ დაბრუნებული მეუღლე, არამედ ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა მოესწრო იმ დღეებს, როდესაც ის დგება განთავისუფლების გზაზე, რასაც შეჰსაროდი და ემსახურებოდი შენც და მეტადრე შენი ლირსეული ქმარიც.

აი, მორწმუნენო, რას გვეუბნება ეს კუბო: აქიდან უსიტყვოდ,



მიხეილ (მიხა) კეპელია

მაგრამ ყოველ სიტყვაზე უფრო საგულისხმიეროდ და გასაგებათ გვეუბნება განსვენებული, რომ ჩვენ მუდამ უნდა ვასრულოთ ჩვენი მოვალეობა სარწმუნოების, ეკლესიის და მამულის წინაშე, რომ ამაშია აზრი ჩვენის ამ ქვეყნიერის ცხოვრებისა. გვეძახის აქიდან, ამ კუბოდან, „მობაძავ ჩემდა იყავითო“, და ამაში იქნება თქვენი ბედნიერება, რადგანაც ჩემი ახლანდელი მდგომარეობა თქვენც არ აგცდებათო. ეს არის ჩემი უკანასკნელი ანდერძიო“⁵⁵.

ანტონის ვაჟიშვილებიდან ყველაზე უფროსი მიხეილი (მიხა) სახალხო განათლების დვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი იყო. იგი დაიბა-

⁵⁵ გაზ. „არილი“, 21 სექტემბერი, 1994, გვ. 8.

და 1882 წლის 19 სექტემბერს⁵⁶. სწავლობდა ჯერ ქუთაისის⁵⁷, ხოლო შემდეგ ნოვოჩერკასკის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1906 წელს სწავლა გაარძელა ოდესის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე. მისი მოგონებიდან ირკვევა, რომ 1906 წელს ოდესაში ქართველთა საოცისტომოს დავალებით შეადგინა მომღერალთა გუნდი. ერთოვიანი მომზადების შემდეგ 9 დეკემბერს (ძვ. სტილით) სერებრიაკოვის თეატრში გამართა ქართული სიმღერების საღამო, წყალდიდობით დაზარალებული სამეგრელოს მოსახლეობის სასარგებლოდ. გუნდი შედგებოდა ქართველი სტუდენტებისგან. ორი იყო საშუალო სკოლის ქართველი მოსწავლე, ხოლო შვიდი კაცი - რუსული საეკლესიო გუნდიდან... სამეგრელოდან მხოლოდ დათიკო ფალავა მონაწილეობდა, რომელმაც გუნდს იშვიათი დახმარება გაუწია მომზადებაში... სამეგრელოს დაზარალებული მოსახლეობისთვის ამ საღამოზე შეგროვდა 2800 მანეთი. საქართველოში დაბრუნებულმა 1912 წელს პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო კიწიის ორკლასიან სამასწავლებლო სკოლაში, სადაც ასწავლიდა მათემატიკას. სხვადასხვა დროს მუშაობდა კულაშის, სამტრედიის, სენაკისა და ბანბის სკოლებში, მათემატიკის, რუსული ენისა და მუსიკის მასწავლებლად. 1928 წელს სამტრედიაში ჩამოაყალიბა მეჩონგურეთა ანსამბლი, რომელმაც საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. როგორც მომღერალი, მიხა კეკელიამ აღმოაჩინა ბათუ კრავეიშვილი, ასევე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ცნობილი ტენორი ვლადიმერ კეკელია. 1917 წლიდან 1922 წლის ოქტომბრამდე იყო ბანბის უმაღლესი პირველდაწყებითი სკოლის დირექტორი, ხოლო 1920-1921 წლებში - სენაკის მაზრის სახალხო სკოლების ინსტრუქტორი. მიხეილ კეკელია 45 წელი ნაყოფიერად მსახურობდა პედაგოგიურ სარბიელზე. 1944 წელს მას საქარ-

⁵⁶ ბანბა-შაურკარის საეკლესიო მეტრიკული ჩანაწერის მიხედვით მიხეილი (მიხაილ) დაბადებული 1882 წლის 5 ნოემბერს და მოუნათლავთ 1884 წლის 22 აპრილს. მიმრქმელია ბლადოჩინი მდგდელი სიმონ ელიაგა. ნათლობის საიდუმლო ადასრულა მდგდელმა მარკოზ გაბუნიამ, დიაკვან სიმეონ კეკელიასთან ერთად. ნათლობის მოწმედ დასახელებული არიან კიმოთ მიხაილის ძე (ბაბუს - მდგდელ იოანეს ძმა) და გუტული ხახუტიას ძე კეკელიები. სცსია, ფ. #489, ანაწ. #33, საქმე #138.

⁵⁷ 1902 წელს ქუთაისის სასულიერო სემინარიის მოწაფის, ლოგბარ მიხეილ კეკელიას ხელმძღვანელობით სენაკში გაიმართა კონცერტი, რამაც საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. ხალხის თხოვნით იმავე წლის ზაფხულში მიხეილ კეკელიას კონცერტები გაუმართავს სუჯუნაში, ბანბაში, აბაშასა და ფოთში.

თველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა. გარდაიცვალა 1961 წელს. დაკრძალულია ბანდაში, საგვარეულო სასაფლაოზე.

მ. კეკელია მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა. მისი სტატიები მათე- მატიკის მეთოდიკის საკითხებზე ხშირად იბეჭდებოდა ოუსულენოვან ჟურნალში („მათემატიკა სკოლაში“). 1953 წელს დაიბეჭდა მისი წიგნი - „ბრტყელი სამკუთხედების ფარ- თობთა ცხრილი“ (112 გვ). წიგნი შედგება წინასიტყვაობის, ოთხი პა- რაგრაფის, ცხრილისა და ოთხი და- მატებისაგან. წინასიტყვაობაში აღ- ნიშნულია, რომ მიწის ფართობის გაზომვის ძველი წესი ითვალისწი- ნებს გასაზომი მიწის ფართობის და- ყოფას ოთხკუთხედებად და სამკუ- თხედებად. შემდეგ ოთხკუთხედის ფართობის გამოსაანგარიშებ- ლად მოპირდაპირე გვერდების სიგრძეთა ჯამის ნახევრები მრავ- ლდება ერთმანეთზე. რაც შეეხება სამკუთხედის ფართობს, მისი გა- მოანგარიშება წარმოებს შემდეგი წესით: სამკუთხედის ორი გვერ- დის სიგრძეთა ჯამის ნახევარი მრავლდება მესამე გვერდის სიგ- რძის ნახევარზე. ზოგჯერ სამკუთხედის ფართობის გამოსაანგარი- შებლად მის რომელიმე გვერდის სიგრძეს ამრავლებენ ამ გვერდის შუაწერტილიდან მოპირდაპირე კუთხის წვერომდე მანძილის (მედი- ანის) ნახევარზე. სხვა, უფრო გამარტივებული წესის მიხედვით კი სამკუთხედის რომელიმე ორი გვერდის სიგრძეს ამრავლებენ ერ- თმანეთზე და ყოფენ შუაზე⁵⁸. მ. კეკელიას აზრით, ფართობის გა- ზომვის აღნიშნული წესები ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვ- ნილებას, ვინაიდან, „ზემოთ აღნიშნული წესებით მხოლოდ ზოგი- ერთ კერძო შემთხვევაში მივიღებთ ზუსტ პასუხს. ხოლო უმრავლეს შემთხვევაში კი ამ გზით მიღებული შედეგი მცდარია“. თუ რამდე-



დეკანოზი ანტონ კეკელია და
უცნობი სასულიერო პირი

⁵⁸ მ. კეკელია, ბრტყელი სამკუთხედების ფართობთა ცხრილი, თბ., 1953, გვ. 4.

ნად საგრძნობია ეს შეცდომა, ამის დასასაბუთებლად მიხეილ კეკელიას ნაშრომში მოყვანილი აქვს ორი მაგალითი და იქვე დასძენს, რომ „აშკარად ჩანს, თუ რამდენად უხეში შეცდომის ჩადენა შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა ზემოთ აღნიშნული მარტივი ტრადიციული წესებით ვისარგებლებთ მიწის ნაკვეთის გაზომვის დროს“⁵⁹. მისი ნაშრომი მიზნად ისახავს პრაქტიკული საქმიანობის დროს ასეთი მნიშვნელოვანი შეცდომების თავიდან აცილების მეთოდების შესწავლას. „პრაქტიკული თვალსაზრისით საკმარისია გვქონდეს სამკუთხედის ფართობთა ცხრილი, რადგან ყველა სხვა შესაძლო ფორმის მქონე მიწის ნაკვეთს პრაქტიკისათვის საჭირო სიზუსტით ყოველთვის შევცვლით სამკუთხედის ფორმის მქონე რამდენიმე ნაკვეთით“⁶⁰. ავტორმა სამწლიანი მუშაობის შედეგად წარმოადგინა ცხრილი, რომელშიც პერონის ფორმულის გამოყენებით გამოთვლილია 11375 სამკუთხედის ფართობი. ცხრილის გამოყენებით შეიძლება ზუსტად იქნას გაზომილი მიწის ნაკვეთები, დაახლოებით იმავე დროის განმავლობაში, რაც საჭიროა ფართობის გასაზომად გავრცელებული ძველი და არაზუსტი წესების მიხედვით. წიგნის ცალკეული პარაგრაფები ეხება ცხრილით სარგებლობის წესების გადმოცემას, ისეთი სამკუთხედის ფართობის ცხრილით გამოანგარიშების წესებს, რომლის გვერდების სიგრძე არ აღემატება სიგრძის 50 და 500 ერთეულს. მოცემულია მსჯელობა ასაზომი მიწის ნაკვეთზე ჩასატარებელი წინასწარი მუშაობის შესახებ. დამატებებში ავტორს წარმოდგენილი აქვს იმ სამკუთხედების ცხრილი, რომელთა ფართობები მთელი რიცხვებით გამოისახება; ასევე ყურადღებას ამახვილებს მიწის ნაკვეთზე სწორი ხაზის გაყვანის წესზე. მესამე და მეოთხე დამატებაში წარმოდგენილია სხვადასხვა წესით გამოთვლილი სამკუთხედებისა და ოთხკუთხედების ფართობთა გამომსახველი რიცხვების შედარებითი ცხრილები...

სოფელ ბანბაში მიხა კეკელიას შვილიშვილები სათუთად ინახავენ შავედიან, გაცრეცილ და ფერგადასულ რვეულს, რაშიც თავმოყრილია ლექსები, ანდაზები, გამოცანები, ხალხური რწმენა-წარმოდგენები, შელოცვის რამდენიმე ნიმუში და სხვ. ფოლკლორული

⁵⁹ გ. კეკელია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 5.

⁶⁰ გ. კეკელია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 7.



დეკანოზი ანტონ კეკელია –
ბანბის ორკლასიანი
საეპლესიო სამასწავლებლო-
სკოლის გამგე. 1916 წ.

ნიმუშები მ. კეკელიას მიერ არის შეგ-
როვებული. ის ამ რვეულში თავმოყრი-
ლი რამდენიმე გამოუქვეყნებული ლექ-
სის ავტორიცაა. ლექსში - „სინანული“,
კარგად არის გამოკვეთილი ქართველი
კაცისა და საქართველოს ბედი ქართუ-
ლი სახელმწიფოებრიობის არარსებო-
ბის პერიოდში. რუსეთისგან მოტყუე-
ბული ქართველი მისტირის ეროვნული
დამოუკიდებლობის, თავისთავადობის
დაკარგვას. ეს ლექსი საყურადღებოა
თავისი შინაარსით. ამიტომ მომაქვს
სრული სახით: „დედავ, ნუ მკითხავ
შენს შობილს, ტანჯვა მაკმარე, მეხსე-
ნი; ურჩობით რომ არ მომსვლია, შენც
კარგად იცი ესენი. მოვიდა, მომეალერ-
სა, როგორც კეთილი მოყვარე, ღმერთი

გამიწყრა, მივენდე, არავინ მაჩნდა მოვარე. რაც რა გამაჩნდა, დამ-
ტყუა მამა და პაპისეული, ადგილ-მამული, სახლ-კარი, საუკეთესო,
რჩეული. ამგვარ ოინებს თურმე ის ყოფილა ძველად ჩვეული, ბევრი
მდიდარი უნახავთ, მისგან დატაკი მშეული. სიტყვა ატკბილა, მოჰ-
ქარგა, მოჰკაზმა, გაალამაზა, ალერსით ენა აფლიდა, მაცდურად ვე-
ლი ანაზა. სჯული ერთი გვაქვს, ძმობილო, ერთი გვაქვს სალოცავი-
ო, შენი ღალატი ვინდომო, მომიკვდეს მაშინ თავიო. თუ გინდა ტო-
ლი გამიხდე, პოი, შენ გენაცვალეო. მაშინ მივუხვდი ვინც იყო, მხე-
ცი, ნადირი, მელია, იუდა, ქრისტეს გამცემი ზურგს უკან ავის მქნე-
ლია...“ პოეტი წუხს, რომ ცუდი დრო დადგომია ქვეყანას: „ესაა ჩვენი
ცხოვრება, სულ მთლად გაფუჭდა ქვეყანა, მმა მმას არ ინდობს, მამა
- შვილს, წყეულიმც იყოს ეს ხანა...“ თუმცა იმედს მაინც არ კარგავს,
სჯერა, რომ სამშობლოს დაუდგება ნანატრი თავისუფლების ხანა,
მოისპობა ბოროტება, ძალადობა და სიძულვილი. სწორედ ეს აზრია
ჩაქსოვილი ერთ-ერთ ლექსში, სადაც საქართველო ბობოქარ
ზღვასთანაა შედარებული: „გაყუჩდება, დაისვენებს, პირს მოიწ-
მენდს გაქაფული. დადუმდება, გასარკდება, ცას შეჰყურებს განაბუ-
ლი. დრო მოვა და კიდევ დასჭექს, გადალახავს კიდით-კიდეს, ვაი,

მაშინ ავის მქნელსა, სხვისი ცოდვის გადამკიდეს. სულ წალეკავს ბოროტებას, ქვეყნად უხვად დათესილსა, შურსა, მტრობას, ჯაშუ-შობას ერთმანეთში ალესილსა. ბორკილს ახსნის, ცრემლებს მოპ-ბანს დღემდის უღვთოდ ტანჯულებსა; დამჩაგვრელებს ჯვარზე აც-მევს, უსამართლო მსაჯულებსა“. ეს ლექსი 1909 წლის 20 ოქტომ-ბრით თარიღდება.

მიხეილ კეკელია დავიწყების დირსი არ არის. იქნებ რაიმე ფორმით მოხერხდეს კიდეც მისი ხსოვნის უკვდავყოფა (თუნდაც ბანძის საჯარო სკოლის მათემატიკის კაბინეტისთვის მისი სახელის მინიჭებით).



სამუელ კეკელია

სამუელი დაიბადა 1884 წლის 2 სექ-
ტემბერს, სოფელ ბანძაში⁶¹. იგი ცნობი-
ლი ექიმი და საზოგადო მოღვაწე იყო.
სწავლობდა სენაკის სასულიერო სას-
წავლებელში, რომლის დამთავრების
შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის
სასულიერო სემინარიაში. 1904 წელს
„ბურსაკული“ ცხოვრების გამო დათ-
რგუნულმა სემინარისტების გარკვეულ-
მა ნაწილმა ამბოხება მოაწყო. ამბოხე-
ბულთა შორის, რომლებიც შეურაცხ-
ყოფდნენ რუს ეგზარქოსებს, სემინარიის
რექტორს, სხვადასხვა სასულიერო და
საერო პირებს, ერია დეკანოზ ანტონ კე-
კელიას ვაჟიშვილი სამუელიც. ანტონ
კეკელია მგლის ბილეთით სასწავლებ-
ლიდან გარიცხულ ვაჟიშვილთან ერთად,
ბებე დადიანის დახმარებით, რუსეთის
იმპერიის განათლების მინისტრის ერთ-

⁶¹ საეკლესიო ჩანაწერებში სამუილის დაბადების თარიღდად მითითებულია 1885 წლის 3 დეკემბერი. იმავე წლის 11 ნოემბერს კი მოუნათლავთ. მამად მითითებულია ბლადოჩინი მდგდელი ანტონ იოანეს ძე კეკელია და დედად - ევპრაგსია, მდგდელ ოქროპირ რურუს ასული. მიმრქმელია გლეხი ლევანტია ნიკოლოზის ძე ფინოურია (სამუელის ბიძა, დედის ძმა). ნათლობის საიდუმლო ადასრულებს მდგდელმა იოანე კეკელიამ (სამუელის ბაბუამ) და პრიჩეტნიკმა თომა კეკელიამ. მოწმეებად დასახელებულია კიმოთ მიქელის ძე და ზურაბია ლაზარეს ძე კეკელიები. სცია, ფ. 489, ანაწ. 33, საქმე #139.

ერთ მოადგილეს პეტერბურგში ეახლა და სთხოვა შვილის ყმაწვილურ შეცოდებათა პატიება. მამა ანტონმა ლრმა განსწავლულობით, შესანიშნავი გარეგნობით მინისტრის მოადგილის სიმპათია დაიმსახურა და მგლის ბილეთით გარიცხული სამუელი ორიოლის სასულიერო სემინარიაში გაამწესა, სადაც ასევე მოღვაწეობდა (იმსანად მიტროპოლიტის ხარისხში) კირიონ საძაგლიშვილი. მასთან მამა ანტონს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა, ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როცა კირიონი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი იყო. პეტერბურგიდან ორიოლში ჩასული სამუელი, როგორც აღვნიშნეთ, კირიონის დახმარებით სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა⁶². სემინარიის დასრულების შემდეგ სამუელმა თბილისში კბილის კერძო საქიმო სკოლა დაამთავრა და 1913 წელს ჩააბარა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, სტომატოლოგიის სპეციალობით. სამშობლოში დაბრუნებული სამუელი მუშაობას იწყებს ახალსენაკში. ქალაქის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საქმიანობაში აქტიურად იყო ჩაბმული. იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სენაკის განყოფილების ხელმძღვანელი. ხელოვნების განვითარების მიმართულებით ბევრს იღვწოდა. მართავდა საღამო-კონცერტებსა და თეატრალურ წარმოდგენებს. მიღებულ შემოსავალს კი სხვადასხვა სახის საქველმოქმედო საქმეებს ახმარდა.

ბატონი სამუელი მეგობრობდა და აქტიურად თანამშრომლობდა თეატრალურ მოღვაწეთა ფართო წრესთნ. პირადად იცნობდა ცნობილ ქართველ დრამატურგს - აქვსენტი (ასიკო) ცაგარელს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალსენაკში თეატრალური კოლექტივის ორგანიზაციაში (დრამატურგი მაშინ სენაკში ცხოვრობდა. თავის მეუღლესთან - ნატო გაბუნიასთან ერთად აქტიურად მოღვაწეობდა თეატრალურ ასპარეზზე. მის მიერ ჩამოყალიბებული

⁶² მამა ანტონის შვილთაშვილი, პედაგოგი ქეთევან კეკელია თავის წერილში დიდი ბაბუის ორიოლში მოგზაურობიდან კიდევ ერთ ეპიზოდზე ამახვილებს ყურადღებას: მეუფე კირიონმა კარგად იცოდა, რომ მისი ძევლი მეგობარი ანტონ კეკელია ზედმიწევნით კარგად ფლობდა საეკლესიო სლავურ ენას, ჰქონდა აბსოლუტური მუსიკალური სმენა და შესანიშნავი ხმა. წირვის დროს დეკანოზის ხმის ინტონაციური აწევ-დაწევა ყველაზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა. სწორედ ამის გამო მასპინძელმა საკვირაო წირვა მამა ანტონს საეკლესიო სლავურ ენაზე ჩაიგარებინა ორიოლის მთავარ ტაძარში. ის ქ. კეკელია, მამა და შვილები. გაზ. „მამა ანტონ კეკელია“, მარტი, 2000, გვ. 2.



**სამუელ კეკელია მეუღლესთან – ძაძუ ქავთარაძესთან და შვილებთან
მამუკასა და გურიასთან**

ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა დასი ამ დროისთვის სერიოზულ თეატრალურ ძალას წარმოადგენდა). მეგობრობდა მწერალ შალვა დადიანთან, ვალერიან გუნიასთან, ვასო აბაშიძესთან, მაკო-საფაროვასთან. მის თვალწინ დაფრთიანდნენ აკაკი ხორავა, აკაკი ფადავა და სხვები. 1916 წელს ახალსენაკის ცენტრალური ქუჩის კუთხეში, ძმები სანიკიძეების მიერ აგებული თეატრისა და სასტუმროს შენობაში მათივე მიწვევით ბინა დაიდო დრამატულმა დასმა. ქშწკბის სენაკის გამგეობის მდივნის - პ. ლორთქიფანიძის ინიციატივით შეიქმნა დრამატული საზოგადოება. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მერი დადიანი, ხოლო მდივნად - ჯარიდან დემობილიზებული ახალგაზრდა ექიმი სამუელ კეკელია. სცენისმოყვარეთა დასში შედიოდნენ: მ. ხოფერია, ც. ხოფერია, ქ. დანელია, ჯ. ხვიჩია, ო. გვასალაია, ნ. მატახერია, ფ. თევზაია, შ. გოგია, შ. გეგენავა და სხვანი.

სამუელ ანგონის ძე კეკელიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთ „ავანგარდში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში აღნიშნულია, რომ მან „შემოგვინახა ბევრი საინტერესო მასალა და ფაქტი რაიონის კულტურული ცხოვრების როგორც წარსულიდან, ასევე ახლო წლებზე“. წლების მანძილზე მუშაობდა სენაკის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების მდივნად, ქალაქ ცხაკაიას (სენაკის) რკინიგზის პოლიკლინიკის ექიმად. გარდაიცვალა 1962 წლის თე-




**ანასტასია (ნასტა) კეპელია
მეუღლესთან – ამბროსი
ოდიშარიასთან**

ბერვალში⁶³. დაკრძალულია სენაკ-ში, მეუღლესთან - ძაძუ ქავთარა-ძესთან და შვილებთან - გურიასა და მამუკასთან ერთად.

ანასტასია (ნასტა) კეპელია
დაბადებულა 1886 წელს. გარდაიცვალა 64 წლისა, 1950 წელს. დაკრძალულია ბანძაში, შაურკარის სასაფლაოზე. დებს შორის გამორჩეული სილამაზისა ყოფილა და შესანიშნავად მღეროდა თურმე. 1912 წელს ჯვარი დაიწერა ამბროსი ოდიშარიაზე, რომელიც შემდეგ მღვდლად ეკურთხა⁶⁴. ჰყავდათ სამი შვილი - ანტონინა (ტონია), ბიძინა

და გივი. მშობლები ენერგიას არ ზოგადნენ, რომ შვილებისთვის შესაფერისი განათლება მიეცათ. ქალბატონი ტონია (1913-1992 წწ.) 1931 წლიდან მუშაობდა ბანძის სკოლაში, სადაც ასწავლიდა ბიოლოგიას. 1937 წელს დაასრულა თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტი. ბიძინა (ბიჭიკო) ოდიშარიას (1915-1978 წწ.) დამთავრებული პქონდა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა მარტვილის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში, მექანიკოსად, მუხურჩისა და ონოლიის სკოლების დირექტორად. 1950 წლამდე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას –




მამა ამბროსი ოდიშარია

⁶³ „ავანგარდი“, #19, 13 ოქტომბერი, 1962, გვ. 4.

⁶⁴ გასაბჭოების შემდეგ (1923 წლიდან) სამაზრო აღმასკომების გადაწყვეტილებით საქართველოში მრავალი ეკლესია დაიხურა. ამბროსი მღვდელმსახურება აეკრძალა. ჩეკაში დაბარებულს განმოსვა და ომა-წვერის გაკრეჭა-გაპარსვა მოსთხოვეს და შინ მუქარით გამოისტორეს. იძულებით განმოსილი მოძღვარი შემდეგ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ვედიდარის სკოლაში.

იყო გეოგრაფიის მასწავლებელი. ბატონი გივი, პროფესიით ქირურგი, მედიცინის დარგის ცნობილი მუშაკი იყო. დაიბადა 1917 წელს. 1940 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. იყო II მსოფლიო ომის მონაწილე. მუშაობდა ჯერ საავიაციო ლაზარეთის ქირურგად, შემდეგ, 1943 წლიდან - ამავე ლაზარეთის უფროსად. ქალაქ რუსთავში ერთ-ერთი ქუჩა გივი ოდიშარიას სახელს ატარებს.

გრიგოლ (გრიშა) კეკელია დაიბადა 1891 წელს, ბანძაში. 1909 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და სწავლა გააგრძელა ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. იყო I მსოფლიო ომის მონაწილე. 1914 წელს გაიგზავნა მოქმედ არმიაში, კავკასიის ფრონტზე, სადაც მუშაობდა სამხედრო ექიმად, 1918 წლის თებერვლამდე. სტუდენტობის პერიოდში პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. თანამშრომლობდა უკრაინის ცენტრალურ გაზეთებში. მუშაობა ხარკოვშივე დაიწყო, მაგრამ მალე დაბრუნდა საქართველოში. 1920



გრიგოლ (გრიშა) კეკელია



დეკანზ ანტონ კეკელიას შვილიშვილები. დეკან მარცხნიდან: ანტონ (მუცუ), დიანა, მაყვალა და ოიდიპოს (ბოჩია) კეკელიები.

სხედან მარცხნიდან: ოქრო, ზურაბ და კარლო კეკელიები

წლის სექტემბრამდე სოჭელ აწყურის საექიმო უბნის გამგედ და ეპიდემიური ლაზარეთის უფროსად მუშაობდა. შემდეგ მშობლიურ ბანძას მიაშურა და 1920 წლის სექტემბრიდან გარდაცვალებამდე, ოთხ ათეულ წელზე მეტი იმუშავა ბანძის საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმად. მისი ინიციატივით და

ხელმძღვანელობით აშენდა ბანბის საუბნო საავადმყოფოს ახალი შენობა. გრიგოლ კეკელიას ინიციატივით მოწვეული რესპუბლიკის სამედიცინო დარგის თვალსაჩინო საეციალისტები კონსულტაციებს და მკურნალობას ადგილზე უწევდნენ პაციენტებს. გრიგოლ კეკელია უნიჭიერესი ექიმი იყო. გამოირჩეოდა განსაკუთრებული ადამიანური თვისებებით. მისი სახელი ლეგენდად დარჩა თანამედროვეთა მეხსიერებაში. ოჯახის წევრები იგონებენ, რომ იგი შუალამის სამ საათამდე არ იძინებდა, ჩაცმული იჯდა სამუშაო კაბინეტში - ვინ იცის, ვის დავჭირდებიო!... იყო უანგარო მსახური. ხშირად ავადმყოფს თვითონ უტოვებდა წამლების შესაძენ თანხას... მეუღლე ნადია ონისიმეს ასული სანიკიძე, პროფესიით მასწავლებელი იყო - რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ბანბის სკოლაში. ხუთი შვილიდან სამი - ავგუსტი (ოქრო), ზურაბი და დიანა მამის კვალს გაყვნენ. ბატონი ავგუსტი დაიბადა 1924 წლის 12 მარტს. 1941 წელს დაამთავრა ბანბის საშუალო სკოლა და უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. ინსტიტუტი დაამთავრა 1945 წელს და სამუშაოდ გაამწესეს სოფ. ჭოდაში (ჩხოროწყუს რ.). შემდეგ მუშაობდა თბილისის 31-ე ქარხნის მედ. სან. ნაწილში, კურორტ ლებარდეს დორექტორად, რესპუბლიკის ტრავმატოლოგიური საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ. გარდაიცვალა 1995 წლის 12 სექტემბერს. დაკრძალულია ბანბაში. ბატონმა ზურაბმა (1927-1970 წწ.) 1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. იყო სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი, საოლქო-სამხედრო ჰოსპიტლის ლაბორატორიის უფროსი. 1951-1960 წლებში მუშაობდა გერმანიის ქალაქებში - დრეზდენში, ერფურტში, ლაიფციგში, ჰალესა და ვაიმარში, ქირურგად. 1960 წელს გაგზავნილ იქნა ქალაქ ნახტევანში; 1961 წელს დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო სამხედრო ჰოსპიტალში, სამედიცინო ლაბორატორიის უფროსად. დაკრძალულია ბანბაში. ქალბატონი დიანა დაიბადა 1928 წლის 15 ნოემბერს. იგი პედიატრად მუშაობდა ჯერ



საგვარეულო სასაფლაო

ახალგორის რაიონულ საავადმყოფოში, შემდეგ - თბილისის #1 საავადმყოფოს პედიატრიულ განყოფილებაში. გარდაიცვალა 1994 წელს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

სამწუხაროდ, ნაადრევად წავიდნენ და-მმანი ამქვეყნიდან. ისინი არა მხოლოდ ოჯახს, არამედ მთელს სოფელს, თბილისის ქუჩებს დააკლდნენ.

ძნელია მოგითხოვთ ყველა იმ სიკეთეზე, რაც გრიშა კეკელიას პირადად, და მის ოჯახს, საერთოდ, გაუკეთებია ქვეყნისათვის. თამამად და გადაჭრით მასზე ერთი რამ შეიძლება ითქვას: ცხოვრების შვიდ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე მისთვის ყველაზე დიდ მონაპოვარს მისივე პაციენტებისა და თანასოფლელთა მხრიდან დიდი სიყვარული, მოკრძალება და პატივისცემა წარმოადგენს, რომლის საბოლოო კონდიციად 2005 წელს, „ერისკაცობის“ დღესასწაულზე, ბანდის საექიმო ამბულატორიისათვის 44 წლის მანძილზე მისი უცვლელი ხელმძღვანელის - გრიგოლ კეკელიას სახელის მინიჭება შეიძლება ჩაითვალოს⁶⁵.

გურია ანტონის ძე კეკელია დაიბადა 1893 წელს, სოფ. ბანდაში. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში (აქ მისი თანაკლასელი და მეგობარი იყო ცნობილი მწერალი სერგო კლდიაშვილი; მის კალამს ეკუთვნის გურიასადმი მიძღვნილი ნოველა „გურია კ.“)⁶⁶. გიმნაზიის სრული კურსის გავლის შემდეგ გურია რუსეთში გაემგზავრა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

სტუდენტის პერიოდში გურიამ მხოლოდ ერთხელ მოახერ

⁶⁵ 2005 წლის 6 ნოემბერს ბანდის დვოისმშობლის მიძინების ტაბარში ერისკაცთა სულის მოსახსენებელი პარაკლისი იქნა გადახდილი. შემდეგ დონისძიების მონაწილენი ბანდის საექიმო ამბულატორიაში შეიკრიბნენ, სადაც გაიხსნა დვაწლმოსილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის - გრიგოლ ანტონის ძე კეკელიას ბიუსტი. დონისძიება მიეძღვნა მამა ანტონ კეკელიას დაბადების 150, პროფესორ შალვა კეკელიას დაბადების 100 და პოეტის, კრიტიკოსისა და დრამატურგის - გიორგი (გიგლა) ხუხაშვილის დაბადების 80 წლისთავეს. მათ დვაწლზე ქართული კულტურისა და, საერთოდ, ქართველი ერის წინაშე, ვრცლად ისაუბრა გაზეთ „ჭყონდიდის ზარის“ რედაქტორმა, დონისძიების ინიციატორმა იგორ კეკელიამ. მონაწილეობდნენ: მწერალი ოტია იოსელიანი, აკად. რამაზ გახოკიძე, ქიმიის მეცნ. კანდიდატი აკაკი გახოკიძე, პროფესორი ოთარ ქაჯაია და სხვები. იხ. ბ. გახანია, „ერისკაცობა“ სოფელ ბანდაში. გაზ. „ეგრისის მაცნე“, #36, 28 ნოემბერი-4 დეკემბერი, 2005, გვ. 8. სამწუხაროდ, ამბულატორიის თანამშრომელთა გულგრილი დამოკიდებულების გამო ბიუსტი დაიმსხვრა!...

⁶⁶ ანტონ (მუცე) კეკელიას ნაამბობი.

ხა საქართველოში ჩამოსვლა. შემდეგ დაიწყო არეულობა რუსეთის იმპერიაში - ზედიზედ ორი სახელმწიფო გადატრიალება, სამოქალაქო ომი. გურიამ ოჯახს მოაწვდინა ინფორმაცია, რომ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ის მოსკოვში დარჩა და მუშაობა დაიწყო ერთერთ საგამოძიებო დეპარტამენტში, იურისტის პოზიციაზე.

1918-1920 წწ. გურიას შესახებ არაფერი იცოდა ოჯახმა. მხოლოდ 1920 წლის ბოლოს (მამა ანტონის გარდაცვალების შემდეგ) გახდა ცნობილი, რომ ერთი წლით ადრე,

1919 წელს, გურია სამსახურიდან მიავლინეს ციმბირში, სადაც ის გაცივდა. ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ორგანიზმი ვერ გაუმკლავდა სწრაფად განვითარებულ ტუბერკულოზს და, უკვე მოსკოვში დაბრუნებული, გარდაიცვალა. მას უპატრონეს მოსკოვში მცხოვრებმა ახლობლებმა - ინჟინერმა გიორგი კეკელიამ და მისმა მეუღლემ - ეკატერინემ. გურიას ცხედარი დაკრძალეს მოსკოვში, ვაგანკოვოს სასაფლაოზე. სამწუხაროდ, ეს საფლავი უკვე დაკარგულია.

ელისაბედ (ციცუ) კეკელია დაიბადა 1898 წელს⁶⁷, სოფ. ბანძაში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ხონის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ეპარქიალურ სასწავლებელში, სადაც მას ასწავლიდნენ: ქართულ ენასა და ლიტერატურას - კორნელი კეკელიძე, ისტორიას - სერგი გორგაძე, მუსიკას - ია კარგარეთელი, ხატვას - მოსე თოიძე. ცნობილ კომპოზიტორ ია კარგარეთელთან დაკავშირებით ელისაბედი ხშირად იხსენებდა ერთ ფაქტს. 1914 წლის ნოემბერში, როდესაც რუსეთის იმ-



გურია კეკელია

⁶⁷ სხვა ცნობით, **ელისაბედ//ელიზავეტა** - ბლაფოჩინ ანტონ კეკელიასა და ეპრაქსია ოქროპირის ასულ რუსუას ასული, 1899 წლის 11 ოქტომბერსაა დაბადებული. მიმრქმელები არიან ბლაფოჩინი კლიმენტი ჭანტურაია და გრიგოლ დუბუს ძე ფადაგას მეუღლე - ეკატერინე სოლომონის ასული. მონათლა მდგდელმა ოქროპირ რუსუამ (ბაბუამ), მედავითნე ამბაკო კეკელიასთან ერთად. იხ. სცია, ბანძა-შაურკარის წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერების წიგნი, ფ. #489, ანაწ. # 33, საქმე #153.

პერატორი ნიკოლოზ II თბილისს სწვევია, მისთვის, გარდა იმისა, რომ გრანდიოზული დახვედრა მოუწყვიათ, ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის გუნდი გალობით მიუგებებიათ. გუნდს ია კარგარეთელი⁶⁸ ხელმძღვანელობდა. იმპერატორის სადიდებლის შემდეგ, კომპოზიტორისავე კარნახით, მოსწავლე გოგონებს მეტად პატრიოტული და იმ დროისათვის პოპულარული ლექსისთვის თავიანთი მასწავლებლის მიერ შექმნილი და მათვის კარგად ნაცნობი მელოდია სახელდახელოდ მოურგიათ და სიმღერა წამოუწყიათ: „სამშობლოვ, შენთვის მოვკვდები, შენთვის ჩავიცმევ შავსაო, შენ შემოგწირავ სიცოცხლეს, შემოგევლები თავსაო“. იმპერატორს ძალიან მოსწონებია სიმღერის მოტივი და კომპოზიტორთან შეხვედრა უთხოვია. როდესაც ია კარგარეთელი ნიკოლოზ II-თვის წარუდგენიათ, ამ უკანასკნელს საქებარი სიტყვები არ დაუშურებია კომპოზიტორის მიმართ. ია კარგარეთელს კი მშვიდად მიუგია იმპერატორისთვის: მეня такие композиторы хвалили... 1918 წელს ელისაბედი შედის თბილისის ახლადგახსნილ უნივერსიტეტში, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, რისი დასრულების შემდეგაც პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს ბანძის შვიდწლიან სკოლაში, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

გასაბჭოების პირველივე წლებიდან მოყოლებული (გარდაცვალებამდე), ელისაბედ კეკელია, ისევე, როგორც ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, უკმაყოფილებას გამოთქვამდა ძალდატანებით თავსმოხვეული წყობილების მიმართ, არაერთხელ



ელისაბედ (ციცუ) კეკელია

⁶⁸ ია (ილია) გრიგოლის ძე კარგარეთელი (1867-1939 წწ.) - ქართველი კომპოზიტორი, ფოლკლორისტი, მომღერალი (ტენორი) და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. 1910 წელს დააარსა ქართული საგუნდო საზოგადოება. ამავე წლიდან ასწავლიდა სიმღერასა და მუსიკას თბილისის სასულიერო სემინარიაში. იხ. ლ. გავაშელი, ია კარგარეთელი, თბ., 1959.

⁶⁹ „მე ისეთი კომპოზიტორები მაქებდნენ, რომ...“

სიტყვითაც დაპირისპირებია ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურთ. ის ორჯერ დაპატიმრებ. 1924 წლის აგვისტოში ელისაბედი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ საყოველთაო გამოსვლებში. მან დამოუკიდებელი საქართველოს შინდისფერი დროშაც შეკერა. ელისაბედი რეპრესიებს ძლივს გადაუჩა - მონაზვნის კაბით შემოსილი, ბნელ დამეში, ის ურმით გააპარეს ქვემო იმერეთის სოფელ ჩხენიშში, თავისი ძის, ექიმ გრიგოლ კეკელიას მეუდლის - ნადია სანიკიძის მამისეულ ოჯახში. ამავე წლის ბოლოს ელისაბედ კეკელიამ ბანძა დატოვა. ის რამდენიმე წელი მუშაობდა დუშეთის ბავშვთა სახლში, სართიჭალისა და პატარძეულის სკოლებში, 1931 წლიდან პენსიაზე გასვლამდე - თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში.

ქალბატონი ელისაბედი გამოირჩეოდა სამართლიანობით, პრინციპულობით, პირდაპირობით, კეთილი საქმის კეთებით. იგი მოყვასის დასახმარებლად თავს არ დაზოგავდა. მას უზადოდ უყვარდა საქართველოს ყველა კუთხე და პატივს სცემდა ყველა ზნეობრივ ადამიანს. მისი ერთი მოსწავლე, შემდგომში უურნალისტი დოდო ზურაბიშვილი, თავის ერთ-ერთ სტატიაში იხსენებდა, რომ ციცუ მასწავლებელი რუსული ენის გარდა ქცევის ნორმებსაც გვასწავლიდა - სუფრასთან ჯდომას, ცხვირის მოწმენდას, წამოხველებას და ა. შ. ელისაბედ კეკელია გარდაიცვალა 1980 წელს. დაკრძალულია ბანძაში.

ალექსანდრე (პოლია) კეკელია 1900 წელს დაიბადა სოფელ ბანძაში. ცნობილი განმანათლებლისა და სასულიერო მოღვაწის ოჯახში აღზრდილს სწავლა გაუგრძელებია ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. მოწაფეთა ამბოხებაში აქტიური მონაწილეობისთვის დაუპატიმრებიათ კიდეც, მაგრამ პატიმრობისთვის თავი დაუღწევია და უურნალისტური საქმიანობა დაუწყია. შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იმდროინდელ პერიოდულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა პოლია კეკელიას ლექსები და პუბლიცის-



ალექსანდრე (პოლია)
კეკელია

ტური წერილები. 1925-1938 წლებში თანამშრომლობდა გაზეთ „კოლექტივიზაციისა“ და „რადამესის“ რედაქციებში, იყო ჭიათურისა და ქობულეთის რაიონული გაზეთების პასუხისმგებელი მდივანი. 1938 წლიდან მუშაობდა საქართველოს რადიოკომიტეტის ლიტერატურული განყოფილების გამგედ. ალექსანდრე კეკელია ბრწყინვალედ ფლობდა გერმანულ ენას. თარგმნილი აქვს გერმანელი პოეტის, დრამატურგისა და ისტორიკოსის - იოჰან კრისტოფ ფრიდრიხ ფონ შილერის ნაწარმოებები; თუმცა მათი გამოქვეყნება არ უცდია⁷⁰. იგი მეგობრობდა კონსტანტინე გამსახურდიასთან, ქრისტეფორე რაჭელიშვილთან, პოლიო აბრამიასთან და სხვებთან. გარდაიცვალა 1960 წელს. დაკრძალულია ბანბაში.

ბანბა-შაურკარის წმ. გიორგის ეკლესიის 1873 წლის მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით ანტონ კეკელია ამავე ეკლესიის „პრიჩეტნიკია“, 1876 წლიდან კი - დიაკვანი⁷¹. 1884 წლის 12 ნოემბრის მეტრიკულ ჩანაწერში მითითებულია, რომ საბა ჯოლოს ძე ქაქებაიასა და აღათი ივანეს ასულის შვილის - ვლადიმერის მიმრქმელია ბლალოჩინი მდგდელი ანტონ იოანეს ძე კეკელია⁷².


ანტონ კეკელიას ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობაზე ხშირად იბეჭდებოდა წერილები იმდროინდელ ქართულ პრესაში. გარდა სკოლებისა, მისივე თაოსნობით სოფელ ბანბაში სხვადასხვა დროს გაიხსნა ბანკი, სასამართლო, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და საავადმყოფო.

⁷⁰ პოლია კეკელიას საბჭოთა ხელისუფლებისთვის ხარკი იმით გადაუხდია, რომ 1934 წელს გამოუცია ბროშურა - „პარტიულობისათვის ფილოსოფიაში“. მასში ავტორის ორი ნაშრომია შესული: „მარქსიზმის ფილოსოფია და პროლეტარული რევოლუცია“ (დაწერილია 1932 წელს) და „ფილოსოფიური ობსკურანტიზმის წინააღმდეგ“. ობსკურანტიზმი, უცხო სიტყვათა დექსიკონში მოცემული განმარტების მიხედვით, გულისხმობს მეცნიერებისა და სწავლა-განათლებისადმი, კულტურული პროგრესისადმი მტრულ დამოკიდებულებას; ბნელეთისმოციქულობას... წიგნაკის ყდაზე მითითებულია, რომ დასაბეჭდად მზად არის და მალე გამოვა ამავე ავტორის „ლ. ფეიერბახის ანტროპოლოგიური მატერიალიზმის გონიგრაფიის ცდა“.

⁷¹ სცია, ბანბა-შაურკარის წმ. გიორგის ეკლესია, ფ. #489, ანაწ. #3, საქმე #127; ანაწ. #33, საქმე #130.

⁷² სცია, ფ. #489, ანაწ. #33, ს. #138.

XIX საუკუნის 90-იან წლებში გურია-სამეგრელოს ეპარქიაში ადრე არსებული ძველი ოლქების რაოდენობა შვიდი ოლქით გაიზარდა. ახალ საბლალობინო სასულიერო ოლქებში მთავარხუცესებად, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ბლალობინებად⁷³, დაინიშნენ არისტარქო კალანდარიშვილი (სენაკი), კონდრატე ჩახიბაია (ნაქალაქევი), ანტონ რევია (გორდი), ივანე გრიგოლია (საჭილაო), კაპიტონ გაწერელია (მარტვილი), ანტონ კეკელია (ბანბა), კლიმენტ ჭანტურაია (ხოსირი), სიმონ ქავთარაძე (ძველი სენაკი), დეკანოზი თედორე ხოშტარია (სუჯუნა) და დეკანოზი გიორგი ბერიძე (ალავერდი/ალერტი)⁷⁴. ზუგდიდს მაზრის სასულიერო ოლქებში მთავარხუცესებად განწესებულთა შორის იყვნენ: დეკანოზი მიხეილ მეუნარგია (ცაიში), ევგენი შენგელაია (მუხური), ნიკოლოზ თოლორაია (კოცხერი), ნესტორ ალშიბაია (წალენჯიხა), კონსტანტინე ბერიძე (მოდინახე), პეტრე გოშუა (კირცხი) და ალექსი ქვარცხავა (რედუტ-კალე)⁷⁵. „ყველა ისინი, - აღნიშნავს რევაზ ბერულავა, - საზოგადოებასა და მრევლში ავტორიტეტული, გავლენიანი და დამსახურებული მღვდელმსახურები იყვნენ და საეპარქიო ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ. ბევრი მათგანი ეპარქიის სასწავლო საბჭოსა და სხვადასხვა კომისიის წევრი იყო... პედაგოგიურ მოღვაწეობას საკუთარი ხარჯებით გახსნილ სამრევლო სკოლებში ეწეოდა და სოფლის მოზარდებს უსასყიდლოდ ასწავლიდა. ასეთი სკოლისათვის საკუთარი სახლებიც კი ჰქონდათ



მამა ანტონის სიმამრი, მუხურჩის
წმ. თეოდორე ტირონის
სახელობის ეკლესიის მოძღვარი
ოქროპირ რურუა

⁷³ბლალობინად იწოდებოდა მღვდელი, რომელიც განაგებდა რამდენიმე სამრევლოს საქმეებს რუსეთის იმპერიაში.

⁷⁴იხ. რ. გრიგოლავა, მოწამე მთავარხუცესი, დეკანოზი მამა არისტარქო (კალანდარიშვილი). თბ., 2012, გვ. 55.

⁷⁵რ. გრიგოლავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 56.

დათმობილი ჭალადიდის მთავარანგელოზის, საღვამიჩაო-ჭალადიდისა და ხორშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიების მღვდლებს - კალისტრატე კაჭარავას, ვასილ ხეცურიანს, სოფრომ ბერულავას, საბა გვასალიას და სხვებს. ისინი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის დაუცხომელი მებრძოლები და რუსული შოგინისტური პოლიტიკის დაუძინებელი მტრები იყვნენ, რის გამოც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ მრევლსა და საზოგადოებაში. მათ ბევრი რამ გააკეთეს ოლქის ეკლესიების განახლების, გაშენებისა და გაფართოებისათვის, აუცილებელი საეკლესიო ინვენტარითა და საგნებით მათი აღჭურვისათვის, ეკლესიებთან სამრევლო სკოლების გახსნისა და სოფლის ახალგაზრდობის იქფართოდ მოზიდვისათვის და, რაც მთავარია, საზოგადოების სულიერი და ზნეობრივ-ეთიკური აღზრდისათვის.

აღნიშნულ სასულიერო პირთა დიდი ბედნიერება იმაშიც იყო, რომ საბლადოჩინო ოლქების სამღვდელოებას თავიანთი ხანგრძლივი სასულიერო მოღვაწეობა უხდებოდათ გურია-სამეგრელოსა და, მოგვიანებით აღდგენილი ჭყონდიდის ეპარქიის ისეთი მღვდელმთავრების ლოცვა-კურთხევითა და ხელმძღვანელობით, როგორებიც იყვნენ: ეპისკოპოსი გრიგოლი (გიორგი ელიზბარის ძე დადიანი), წმინდა მღვდელმთავარი, ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), ეპისკოპოსი გიორგი (დავით ალადაშვილი), ეპისკოპოსი, შემდეგში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ლეონიდე (ოქროპირიძე) და ჭყონდიდელი ეპისკოპოსი, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმინდა ამბროსი აღმსარებელი (ხელაია), რომლებიც მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე ქართული ენის თავგამოდებული დამცველები, ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის დაუცხომელი მებრძოლები, საზოგადოებაში ჩამკვდარი ეროვნული ცნობიერების განახლებისა და ეპარქიის ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობისათვის დიდად მზრუნველი მწყემსმთავრები იყვნენ“⁷⁶.

1889 წელს სამეგრელოს სასწავლო ოლქის სამღვდელოების მიერ საბოლოოდ იქნა მიღებული სასწავლებლის ახალსენაკში დატოვებისა და მისთვის ახალი შენობის აგების გადაწყვეტილება. შე-

⁷⁶ რ. გრიგოლავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 56-57.

თანხმების მიღწევის შემდეგ კრებამ სასწავლებლისათვის ახალი შენობის მშენებლობის კომიტეტის წევრებს შორის (მთავარხუცესი დეკანოზები - მიხეილ მეუნარგია და სიმონ ელიავა, მღვდელი კაპიტონ გაწერელია, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე დავით ალაძაშვილი) მღვდელი **ანტონ კეკელიაც** იყო. მათ ახალსენაკის სასწავლებლისათვის შენობის დადგმის სამუშაოთა ტემპის დაჩქარება ევალებოდათ⁷⁷.



**ბლაფორჩინი ანტონ კეკელია სენაკის
სასულიერო სასწავლებლის
პედაგოგებთან**

სი), პედაგოგები - ვასილ და ევგენი მამულიძე, იოსებ მეკანაროვი, გრიგოლ სოკალსკი, ბესარიონ მიქაელი, სტეფანე ძიმისტარიშვილი და ალექსი ჭილაძე, ხოლო სამეგრელოს სამღვდელოებიდან - დეკანოზები ნიკოლოზ კალანდარიშვილი, მისი შვილი არისტარქო (შემდეგში წმინდანად შერაცხილი), ექიმი გიორგი კახიანი⁷⁸... რევაზ გრიგოლავას შეფასებით, „საზოგადოებაში მათი ავტორიტეტისა და გავლენის მაჩვენებელი იყო ისიც, რომ ბევრი მათგანი, კერძოდ კი, დავით ალაძაშვილი, კაპიტონ გა-

XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასწავლო საბჭოს რეკომენდაციით, ანტონ კეკელია სენაკის სასულიერო სასწავლებლის გამგეობის (მმართველობის) წევრადაც ითვლებოდა. ამ პერიოდისათვის გამგეობაში ასევე შედიოდნენ მოწაფეებსა და საზოგადოებაში ეროვნული პოზიციების გამო დიდი ავტორიტეტით მოსარგებლე პირები: სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე, ღვთისმეტყველების კანდიდატი დავით ალაძაშვილი (გურია-სამეგრელოს მომავალი ეპისკოპოსი) მამულიძე, ნიკო ჭარაია, ნიკო თუთბერიძე, იოსებ მეკანაროვი, გრიგოლ სოკალსკი, ბესარიონ მიქაელი, სტეფანე ძიმისტარიშვილი და ალექსი ჭილაძე, ხოლო სამეგრელოს სამღვდელოებიდან - დეკანოზები ნიკოლოზ კალანდარიშვილი, მისი შვილი არისტარქო (შემდეგში წმინდანად შერაცხილი), ექიმი გიორგი კახიანი⁷⁸... რევაზ გრიგოლავას შეფასებით, „საზოგადოებაში მათი ავტორიტეტისა და გავლენის მაჩვენებელი იყო ისიც, რომ ბევრი მათგანი, კერძოდ კი, დავით ალაძაშვილი, კაპიტონ გა-

⁷⁷რ. გრიგოლავა, მოწამე მთავარხუცესი, დეკანოზი მამა არისტარქო (კალანდარიშვილი), 2012, გვ. 63.

⁷⁸რ. გრიგოლავა, მოწამე მთავარხუცესი, დეკანოზი მამა არისტარქო (კალანდარიშვილი), გვ. 47-49.

წერელია, ნიკო ჭარაია, ბესარიონ მიქაძე, ანტონ კეკელია და სტეფანე ძიმისტარიშვილი, საეპარქიო სახურავლო საბჭოს ახალსენაკის სამაზრო განყოფილების წევრებიც იყვნენ... და დიდი წვლილი შექმნდათ მაზრაში სამრევლო-საეკლესიო სკოლების ქსელის გაფართოებისა და მასში მოწაფე ახალგაზრდობის ფართოდ მოზიდვის საქმეში”⁷⁹.

სასწავლებლის ადმინისტრაციაში იმ დროისათვის სამი კაცი შედიოდა: ზედამხედველი, მისი თანაშემწე და „ნადზირატელი“. მათი მოვალეობა სასწავლო პროცესების წარმართვა და სასწავლებლის გარეთ მოწაფეებისათვის თვალყურის დევნება იყო, რაც იოლ საქმეს როდი წარმოადგენდა. ქალაქის სხვადასხვა უბნებში, კერძო საცხოვრებელ სახლებში გაბნეულ მოწაფეთა შემოწმება და მათი კონტროლი დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა, მაგრამ სასწავლებლის ადმინისტრაცია შესანიშნავად ასრულებდა მოვალეობას და მტკიცედ იღვწოდა სასწავლებელში პედაგოგიური სიახლეების დასახურებად და საგნების სწავლების მეთოდების დასახვეწად, რაშიც მას აღნიშნული პედაგოგებიც ედგნენ მხარში⁸⁰.

სენაკის სასულიერო სასწავლებლის ყოფილი მოწაფე, შემდეგში გამოჩენილი პედაგოგი, კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე იპოლიტე ვართაგავა მოგონებებში თავის მასწავლებელს, დეკანოზ ანტონ კეკელიას ასე იგონებს: სასწავლებლის გამგეობაში სრულუფლებიანი სახით შედიოდა სამღვდელოების ერთი წარმომადგენელი. ის ესწრებოდა გამოცდებს და ნება ჰქონდა დასწრებოდა მასწავლებლებს გაკვეთილებზე. ჩვეულებრივ სამღვდელოება სასწავლებელში თავის წარმომადგენლად ირჩევდა ცნობილ და ავტორიტეტულ სასულიერო პირს, უმთავრესად დამსახურებულ დეკანოზს. ასეთ პირთა შორის ი. ვართაგავა ასახელებს სამღვდელოების სამ წარმომადგენელს: ნიკო კალანდარიშვილს, გიორგი ბერიძეს და ანტონ კეკელიას. ბლადოჩინი ანტონ კეკელია დარდიმანდი, თამამი და მხიარული ადამიანი იყო. ყველა საგანი ჩინებულად იცოდა. განსაკუთრებით არითემტიკა, ხოლო რუსულად ყველა ქართველ მასწავლებელზე კარგად ლაპარაკობდა. გამოცდების დროს სენაკში

⁷⁹ ოქმ, გვ. 49-50.

⁸⁰ ოქმ, გვ. 50.

მისი ჩამოსვლა პირდაპირ დღესასწაული იყო. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ანტონი გაჭირვებიდან დაიხსნიდა მოწაფეს. მართლაც, იგი ეხმარებოდა მოწაფეებს არითმეტიკული ამოცანების ამოხსნაში, ლათინური ტექსტის თარგმნაში, რუსულ გრამატიკაში. ანტონი შეუწყვეტლივ კარნახობდა და ეს იქამდე მიდიოდა, რომ საგნის მასწავლებელი იძულებული ხდებოდა, რომ სამდვდელოების წარმომადგენელი ზრდილობიანად შეეჩერებინა. ანტონი ჩვეულებრივ ჩაუცინებდა და კვლავ განაგრძობდა კარნახს, დახმარებას. ნიშნებსაც გულუხვად სვამდა და მასწავლებელსაც აიძულებდა, რომ მოწაფისთვის ნიშანი აეწია. ჩვენ კარგად ვგრძნობდით ანტონის დახმარების მნიშვნელობას, - აღნიშნავს იპოლიტე ვართაგავა. - მისი დახმარება ჩვენ გვამხნევებდა, გვათამამებდა. ჩვენ ბოროტად არ ვიყენებდით მის დახმარებას, პირიქით, გაორკეცებული ენერგიით ვამზადებდით სწორედ იმ საგანს, რომლის ჩაბარებაზე უნდა დასწრებოდა ანტონი, როგორც თავმჯდომარე⁸¹.

1897 წელს სენაკში ერთკლასიანი საქალებო სკოლის გახსნის ინიციატორი (სასწავლებელი სენაკის წმინდა გიორგის ეკლესიასთან ფუნქციონირებდა), ცნობილი სასულიერო პირი და საზოგადო მოღვაწე არისტარქო კალანდარიშვილი სკოლის გახსნის საქმეში მხარდაჭერისა და დახმარებისათვის დიდი სიყვარულითა და მაღლიერებით იხსენებდა ამ სასწავლო საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს, ფოთის საკათედრო ტაძრის დეკანზე - გრიგოლ მაჭაროვს (მაჭავარიანს) და ამავე საბჭოს ნამდვილ და საპატიო წევრებს - სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწეს - დავით ალადაშვილს, ფოთის ქალაქის თავს - ნიკო ნიკოლაძეს, ბანძის ოლქის მთავარხუცესს, მღვდელ ანტონ კეკელიას, სამრევლო სკოლების საეპარქიო ზედამხედველს - თედო ჟორდანიას, საეპარქიო კანცელარიის მდივანს, მწერალ სოფრომ მგალობლიშვილს, თავადებს - ოტია დადიანს, ვახტანგ გურიელსა და ვარლამ ერისთავს, ფოთის საკათედრო ტაძრის მღვდელს - ნიკოლოზ სამხარაძეს და სხვებს, რომლებმაც ამ საბჭოს რუსი ეროვნების ნამდვილი თუ საპატიო წევრების, მძაფრი წინააღმდეგობების მიუხედავად, მხურვალედ დაუჭირეს მხარი არა მარტო სამრევლო სკოლის გახ-

⁸¹ იხ. ი. ვართაგავა, მოგონებები, ნაწილი პირველი, თბ., 1956, გვ. 66-67.

სნას, არამედ ამ სკოლაში მშობლიური ენის გაძლიერებული სწავლების წარმართვასაც, რაც იმ პერიოდში არც თუ ისე იოლ საქმეს წარმოადგენდა⁸².



**გურია-სამეგრელოს
ეპისკოპოსი
გრიგოლი (დადიანი)**

გურია-სამეგრელოს პროგრესულად მოაზროვნე სასულიერო და საერო პირებთან ერთად მამა ანტონი შეყვანილი იყო იმ კომისიაში, რომელსაც სინოდის დავალებით უნდა განეხილა და გადაეწყვიტა საკითხი წმიდა ოთხთავის მეგრულად თარგმნის შესახებ. 1895 წლის მარტში, ქალაქ ფოთში გამართულ სამდვდელოების დეპუტატების ყრილობაზე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის თაოსნობით, კომისიამ დაადგინა, რომ სახარებისა და სხვა საეკლესიო წიგნების მეგრულად თარგმნა, ამასთანავე წირვა-ლოცვის მეგრულად ჩატარება, გამოიწვევდა ცარიზმის იმპერიული პოლიტიკის მორიგი მცდელობის განხორციელებას - საქართველოსგან სამეგრელოს ჩამოცილებას⁸³. ანტონ კეკელია აქტიურად იბრძოდა რუსეთის რეაქციული ძალებისა და საქართველოში რუსეთის ნების ბრმად აღმსრულებელი, უსულგულო კარიერისტების წინააღმდეგ.

1895 წლის 15 მაისს (2 ივნისს) გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის - გრიგოლის (დადიანი) განკარგულების საფუძველზე შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა განეხილა მეგრულ ენაზე სახარების თარგმნის მიზანშეწონილობის საკითხი. ამ კომისიის წევრები იყვნენ: ბლადოჩინი დეკანოზები - მიხეილ მეუნარგია⁸⁴ და გიორგი ბე-

⁸² იქვე, გვ. 96-97.

⁸³ ა. კეკელია, შ. აფრიდონიძე, საეკლესიო კრებაზე. გაზ. „მამა ანტონ კეკელია“, მარტი, 2000, გვ. 4.

⁸⁴ მიხეილ მეუნარგია (1827-1904 წწ.) - ცნობილი ხატმწერის, აზნაურ პეპუ მეუნარგიას შვილი და ცნობილი მწერლის, კრიტიკოსისა და პუბლიცისტის - იონა მეუნარგიას მამა. 1850

რიძე, ბლალოჩინი მღვდლები - ნესტორ ალშიბაია, კაპიტონ გაწერელია⁸⁵ და ანტონ კეკელია, და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი სტეფანე ძიმისტარიშვილი⁸⁶. კომისიის საქმიანობას თავმჯდომარეობდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი. კომისიაზე მოისმინეს ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორის 1894 წლის 9 მარტის #2132 ბრძანებულება: „...სინოდალურმა კანტორამ მოისმინა... ჩაბარებული #4 გამოხმაურება უწმინდეს ბესარიონისა, ალავერდის ეპისკოპოსისა, სემინარიის მასწავლებელ თევდორე ჟორდანიასი⁸⁷ და მღვდელ გიორგი ჩაგუნავასი⁸⁸, ამა წლის 28 (?) იანვრისა, ზოგიერთი ლოცვის მეგრულ ენაზე გადათარგმნის შესახებ“. განხილულ იქნა საგანგებო კომისიის მიერ წარმოდგენილი გამოხმაურება ზოგიერთი საყოველთაოდ გამოსაყენებელი ლოცვისა და ათი მცნების მეგრულ ენაზე თარგმნის ცდის შესახებ. კომისიამ დაადგინა, რომ მეგრულ ენაზე ამგვარ ლოცვათა და ათი მცნების განსაკუთრებული თარგმანის შედგენის აუცილებლობის არანაირი საფუძველი არ არსებობდა. საღვთისმსახურო წიგნთა ტექსტი სამეგ-

წლიდან იყო ცაიშის დვოთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძრის მდგდელი, 1851 წლიდან - ზუგდიდის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწე, 1855 წლიდან - ამავე ოლქის მთავარხუცესი. 1880 წელს მიენიჭა დეკანოზის წოდება. 1902 წელს დეკანოზ მიხეილ მეუნარგიას მოდგაწეობის 50 წლის იუბილეზე სიტყვით გამოსულმა ხობის მონასტრის წინამდღვარმა, არქიმანდრიტმა სვიმონმა (აფაქიძე) ასე დაახასიათა დვაწლმოსილი მოძღვარი: „როცა სამეგრელოს სამდვდელოება შეიკრიბებოდა საღმე და სჯა პქონდა საზოგადო საქმეზე, ყოველ კაცს ყური შენკენ პქონდა - რას იტყვის დეკანოზით და შენს სიტყვას ისმენდა და იჯერებდა კრება“-ო. მამა მიხეილი დაკრძალულია ცაიშის საკათედრო ტაძარში.

⁸⁵ კაპიტონ ლუკას ძე გაწერელია - სასულიერო პირი, პედაგოგი, გურია-სამეგრელოს საკათედრო ტაძრის მებჭე (1896 წ.). 1881 წლიდან მასწავლებლობდა სენაკის სასწავლებელში. მის შესახებ იხ. ნ. კირთაძე, კაპიტონ გაწერელია. უკრნ. „სათანო“, 2005; ი. კეკელია, ილიას ჯარისკაცები. ქიმ შრომები. კრ. XVII, ქუთ., 2007, გვ. 70-71.

⁸⁶ სტეფანე ძიმისტარიშვილი (1847-1912 წწ.) - მწერალი, პედაგოგი, პოეტი, ქურნალისტი. სწავლობდა მარტვილის სასულიერო სასწავლებელსა და ქუთაისის გიმნაზიაში. თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მარტვილში, სენაკსა და ქუთაისში. თავგამოდებით იცავდა სკოლებში ქართული ენის სწავლებას. ამის გამო არაერთხელ დაუსჯიათ სხვადასხვა ადგილზე გადაყვანით ან სამსახურიდან სრულიად მოხსნით. სტეფანე ძიმისტარიშვილმა ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მანილზე საკუთარი ინიციატივით და ენერგიით შეძლო, კულტურულ ცენტრს მოწყვეტილ და დაშორებულ მთელ რიგ სოფლებში დაგარსებინა სამრევლო სკოლები, სადაც ხერხდებოდა ქართული ენის სწავლება.

⁸⁷ თევდორე (თევდო) დავითის ძე ქორდანია (1854-1916 წწ.) - ცნობილი ისტორიკოსი, ფილოლოგი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. გამოირჩეოდა აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობითაც. იყო საეკლესიო-საარქეოლოგიო საბჭოს, საეკლესიო სიძღველეთა დაცვის მზრულებელი კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი.

⁸⁸ გიორგი ჩაგუნავა (1850-1907 წწ.) - თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგი, მღვდელი.

რელოს სკოლებისთვისაც ქართულ ენაზე იქნა დატოვებული.

ქართლ-იმპერიის სინოდალური კანტორის ბრძანებულების მოჰყვა ეპისკოპოს გრიგოლის 1894 წლის 30 მაისის რეზოლუცია. მისი შინაარსი ასეთია: „1894 წლის 30 მაისი. ვქმნი კომისიას შემდეგი დეკანოზების - მეუნარგიასა და ბერიძის, ბლალოჩინი მღვდლების - ალშიბაიას, კაპიტონ გაწერელიას, კეკელიასა და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ ძიმისტარიშვილის შემადგენლობით, რომელთაც ვავალებ, წარმოადგინონ ამ ბრძანებულების შინაარსთან დაკავშირებით თავიანთი შეხედულება და დასკვნა“⁸⁹.

სინოდალური კანტორის #2132 ბრძანებულების შინაარსთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები წარმოადგინეს აგრეთვე სამეგრელოს თავადებმა - დავით გიორგის ძე და ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანებმა, როგორც განსახილველ საკითხში ჩახედულმა და კომპეტენტურმა პირებმა⁹⁰.

საეკლესიო სხდომის მონაწილეებმა, ბლალოჩინმა მღვდლებმა - გ. ბერიძემ, პ. გოშუამ, ნ. თოლორაიამ, ი. გრიგოლიამ, ა. რევიამ, ს. ქავთარაძემ, კ. ჩაჩიბაიამ და ა. კეკელიამ თითქმის ერთნაირად უარყვეს მეგრულად ლოცვების თარგმნის შესაძლებლობა და ამგვარი თარგმანი მიიჩნიეს ხალხისათვის მავნედ, ზნეობრივ-რელიგიური თვალსაზრისით.

საკუთარი დასაბუთებული შეხედულებები სახარების მეგრულად თარგმნის წინააღმდეგ კომისიას წარუდგინეს კაპიტონ გაწერელიამ, კლიმენტი ჭანტურაიამ, მიხეილ მეუნარგიამ, ევგენი შენგელიამ, ნესტორ ალშიბაიამ, გიორგი ბერიძემ არისტარე (ალისტარე) კალანდარიშვილმა, ალექსი ქვარცხავამ, თავადმა ნიკოლოზ



დეკანოზი მიხეილ მეუნარგია

⁸⁹ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, უწმიდესი გრიგოლის განკარგულების საფუძველზე შექმნილი კომისიის დადგენილება მეგრულ ენაზე ლოცვათა თარგმანის მიზანშეწონილობის შესახებ (1895). „ქართველური მემკვიდრეობა“, XIV, ქუთ., 2010, გვ. 205.

⁹⁰ იქვე, გვ. 210.

ტარიელის ძე და დავით გიორგის ძე დადიანებმა.



დეკანოზი კაპიტონ
გაწერელია

მღვდელი კაპიტონ გაწერელია ასა-
ბუთებდა, რომ ლოცვათა ამჟამად წარ-
მოდგენილი მეგრული თარგმანი უბრალო
ხალხში გამოიწვევდა სიცილსა და
ზიზდს, ვინაიდან ამ თარგმანში არსებული
სიტყვების უმრავლესობა მეგრელისთვის
სრულიად გაუგებარია, ანდა ნაკლებად
გასაგებია, ვიდრე ქართული სიტყვები, მე-
ორე ნაწილი კი სიტყვებისა სულაც არ გა-
მოხატავს სინამდვილეში გადმოსაცემ
აზრს. ასეთებია, კაპიტონ გაწერელიას აზ-
რით, სიტყვები და გამონათქვამები მეგ-
რულ ენაზე თარგმნილ თითქმის ყველა
სიტყვაში, განსაკუთრებით კი ლოცვაში:

„სახელითა მამისათა და ძისათა“ (ოშინეთ ბაბაში დო ფსქიიშით),
„იესო“ (იოსე), „ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო“
(რჩქილაფუ, შური ბეჯითი), „საუნჯე“ (ქოდე), „წმიდა მყუენ ჩუენ“
(გობლურწყოლით), „ნეტარება“ (ჯგირობუა), „არსობისა“ (ოსქი-
ლედ), „მოგუიტევენ თანანადებნი ჩუენი“ (ქაამოტეთ გიდვალირი
ჩქინი), „წარსაწყმედად“ (ამორსებუშა), „ბოროტისაგან“ (ლვერდვუ-
შე), „შენ მოეც მათ საზრდელი“ (სი მეჩანქ თინეფს ოდიარეს), „ადა-
დებ შენ ხელსა და განაძლებ ყოველსა ცხოველსა ნებისაებრ შენი-
სა“ (ონჯარ გმოჯინქე ხე სქან დო იობშანქ იში სქილედს სქანი ჯგი-
რობუათ), „ნუ დამაკლებ ჩუენ ზეცისაცა შენსა სასუფეველესა“ (ნუმ
მემიოთანთ ჩქი უიცაში სქანი ოშურეთისთი), „ლმრთისმშობელო
ქალწულო, გიხაროდენ, მომადლებულო მარიამ“ (ლორონთოვუ უწი-
ფული, იხილი, ტიბინელი მარია), „კურთხეულ ხარ შენ დედათა
შორის“ (ხვამილი რექ სი ოსურეფიშე)... გაუგებარია ასევე თითქმის
ყველა სიტყვა „ლოცვისა სწავლის დამთავრების შემდეგ“, „ათი
მცნებისა“ (ვითი კინოჩინა), „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი“ (ვაღო-
ლუა სქანი ჯაკონია), „არა იმრუშო“ (ვეგნეჟოროვუეე), „არა გული
გითქუმიდეს ცოლისათვს მოყუასისა შენისა“ (ვადგენჯარას ჩილქ
მოჯგირე სქანიშიქ), „მოყუასი“ (მოჯგირე), „არცა მჯევლისა მისისა“
(ვართი მუში მუარხექ), „არცა კარაულისა მისისა“ (ვართ იშ ორინ-

ჯები და სხვ.⁹¹

სავარაუდოა, - აღნიშნავს კაპიტონ გაწერელია, - რომ ხალხს რელიგიურ თავზარს დასცემს „სიახლენი“ და მოქვენება, რომ ეს „სიახლენი“ მთელი რწმენის შერყევას გამოიწვევს... ამას მოჰყება რელიგიური კამათი, დაუნდობელი ბრძლა ცალკეულ დაჯგუფებებს სორის, „ჩამოყალიბდება განცალკევებული სექტები და ის სამეგრელო, რომელსაც მასში ქრისტიანობის გავრცელების დროიდან დღემდე თავის წიაღში არ უხილავს არც ერთი სექტანტი, არც ერთი განდგომილი, არც ერთი სხვაგვარად მოფიქრალი, ის სამეგრელო, რომელიც უკვე რამდენიმე საუკუნეა წმინდად, სუფთად და ხელუხლებლად იცავდა ქრისტეს რჯულს, ის სამეგრელო შემდგომში შეიძლება გადაიქცეს განდგომილთა ცემა-ტყეპის ადგილად, სხვაგვარად მოფიქრალთა ბუნაგად და თავშესაფრად... ვბედავ ვიფიქრო, რომ გასაოცარი არ იქნება, თუკი ასეთ მთარგმნელებს ხალხი ანტიქრისტეს შვილებს უწოდებს და დაასკვნის, რომ მოვიდა ანტიქრისტე და დადგა უამი მისი მეუფებისა“⁹²...

მღვდელი კლიმენტი ჭანტურაია თავის შეხედულებას ასე აყალიბებს: დვორისმსახურებისას ლოცვებისა და ათი მცნების მეგრულ ენაზე გამოყენება არავითარ კეთილისმყოფელ ზეგავლენას არ მოახდენს ხალხის რელიგიურ გრძნობებზე. შესაბამისად, მას უსარგებლოდ, არაპრაქტიკულად და უადგილოდ მიიჩნევდა⁹³.

დეკანოზმა გიორგი ბერიძემ შემდეგი ფაქტი მოიგონა: არცთუ დიდი ხნის წინ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა ხოქალაქევის 40 წამებულის ეკლესიაში (ჩემს ყოფილ საბლადოჩინოში) წარმოთქვა ქადაგება, რომელიც ითარგმნებოდა მეგრულ ენა-



თევდორე (თევდო) ჭორდანია

⁹¹ იქვე, გვ. 211-212.

⁹² იქვე, გვ. 214-215.

⁹³ იქვე, გვ. 220-221.

ზე (მთარგმნელი მე გახდდით). ქადაგების მეგრულად თარგმნამ მღოცველთა ისეთი აღშფოთება და მღელვარება გამოიწვია, რომ პოლიციამაც კი ვერ მოახერხა მათი დაშოშმინება, ხოლო ერთმა ცნობილმა თავადის ქალმა დადიანმა ისეთი ხმით შეჰყვირა, რომ უწმინდესი გაბრიელი იძულებული გახდა, ქადაგება შეეწყვიტა და ეპლესიდან გამოსულიყო. ასეთი თარგმანის მეშვეობით აუცილებლად გაჩნდება მკრეხელური გრძნობა, რაც გამოიწვევს მორწმუნეთა გონიების სახიფათო აღგზნებას და მწვალებლურ ცდუნებას⁹⁴.



წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი
(ქქოძე)

მღვდელი ალექსი ქვარცხავა⁹⁵ თავის გამოსვლაში ასაბუთებდა, რომ სამეგრელოში ქრისტიანობა ჯერ კიდევ I საუკუნეში გავრცელდა მოციქულების - ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის მიერ. იქიდან მოყოლებული, მართლმადიდებლურ ეკლესიებში საეკლესიო მსახურება აღესრულებოდა და აღესრულება საეკლესიო ქართულ ენაზე... მეგრელებმა ყველა ლოცვა საეკლესიო ქართულ ენაზე იციან. წმინდა ჭურჭლის, წიგნებისა და საეკლესიო ნივთების სახელები ყველას მიერ გამოიყენება და წარმოითქმის ქართულ ენაზე. არ არსებობს არავითარი საშუალება, ყოველივე ეს გადმოიცეს მეგრულ ენაზე... ხალხში ეს სიახლე გამოიწვევს მწვალებლობას და განხეთქილებას, რელიგიურ გულგრილობას, ეკლესიისადმი სრულ უპატივცემლობას და არეულობას საზოგადოებაში⁹⁶.

⁹⁴ იქვე, გვ. 223.

⁹⁵ ჯგალის წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზ ალექსი ქვარცხავას (1860-1949 წწ.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“, #38, 6-12 ნოემბერი, 2014, გვ. 17-20.

⁹⁶ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, უწმიდესი გრიგოლის განკარგულების საფუძველზე შექმნილი კომისიის დადგენილება მეგრულ ენაზე ლოცვათა თარგმანის მიზანშეწონილობის შესახებ (1895). „ქართველური მემკვიდრეობა“, XIV, ქუთ., 2010, გვ. 224.

თავად ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანის⁹⁷ შეხედულებით მეგრულ ენაზე ლოცვების თარგმნა გამოიწვევდა ანტიქრისტიანული აზრებისა და ლვორისმგმობელური დოქტრინების ხელოვნურ გაღვივებას, რელიგიურ ჭეშმარიტებათა სრულყოფილად შემეცნებისათვის ნიადაგის გამოცდას: ქრისტიანული ლვორისმეტყველების მიერ დაკანონებული ცნებების დამახინჯებას, ლვთაებრივი სამების ამაღლებული იდეის ტლანქი წარმართული ფეტიშიზმის დონემდე დაკნინებას, სარწმუნოების წმინდა საგნის მკრეხელურ შებილწვას ისეთი სიტყვებით, რომლებიც სახალხოდ არ წარმოითქმის არც ლვთის სახლში და არც სხვა წესიერ საზოგადოებაში. გაუგებარი, ახლადგამოგონილი სიტყვები გამოიწვევს აზრის გაბუნდოვანებას, რაც დაბადებს მცდარ აზროვნებას, ავადმყოფურ მიეთ-მოეთს, შუღლს, განხეთქილებას, მწვალებლობას, ხალხის ფსიქოსოციალურ გარყვნილებას და ბიწიერებას⁹⁸.

საეკლესიო კრებაზე თავადმა დავით გიორგის ძე დადიანმა განაცხადა: „....თუ სულ უბრალო საგანზეც კი მეგრულად შეუძლებელია სხვას ჩვენი სურვილი გავაცნოთ, როგორდა შევძლებო ისეთი მეგრული სიტყვების პოვნას, რომლებითაც ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე შეგვეძლებოდა საკუთარი აზრის ჩამოყალიბება, როგორიცაა ჩვენი სულიერი მისწრაფებების გამოხატვა ლვთის სახლებში. ეს არა მხოლოდ შეუძლებელია, არამედ ამის გაფიქრებასაც არა აქვს აზრი“⁹⁹.

მონაწილენი შეეხნენ საკითხის სოციალურ-ეთიკურ მხარესაც. კერძოდ, უბრალო ხალხისათვის, რომლის ყოველდღიური სალაპარაკო ენა მეგრული იყო, ეკლესიაში იმავე მეტყველების მოსმენას სასულიერო თემებთან დაკავშირებით შეიძლებოდა არასასურველი ეფექტი გამოეწვია. ამრიგად, ანტონ კეკელიასა და მის თანამოაზრეთა დიდი ძალისხმევით კიდევ ერთხელ იქნა მოგერიებული რუსეთის იმპერიის მორიგი შეტევა, „გათიშე და იბატონე“-ს ცნობილი პრინ-

⁹⁷ ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი (1844-1896 წწ.) იყო ქართველი მწერალი და მთარგმნელი; შალვა და მაშო დადიანების მამა.

⁹⁸ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, უწმიდესი გრიგოლის განკარგულების საფუძველზე შექმნილი კომისიის დადგენილება მეგრულ ენაზე ლოცვათა თარგმანის მიზანშეწონილობის შესახებ (1895). „ქართველური მემკვიდრეობა“, XIV, ქუთ., 2010, გვ. 229.

⁹⁹ იქვე, გვ. 230.

ციპით, ქართველთა უმთავრეს გამაერთიანებელ ძალაზე - ქართულ ენაზე, რომელზედაც შექმნილი იყო უძველესი და უმდიდრესი ლიტერატურა და რომელიც საქართველოს ეკლესიებში ღვთისმსახურების ენას წარმოადგენდა¹⁰⁰.

როგორც ცნობილია, საქართველოში ებრაელი პირველმოსახლენი 26 საუკუნის წინათ გამოჩნდნენ, ხოლო სოფელ ბანდაში XVIII საუკუნის II ნახევარში დასახლდნენ. მათ ჩამოსახლებას ხელი შეუწყვეს თავადმა ფალავებმა. ებრაელებს ბანდის ცენტრში მიეცათ საცხოვრებელი ადგილი, რომელსაც შემდეგ „ურიაკარი“ დაერქვა. ებრაელთა ჩამოსახლებისა და მათი აქ დამკავიდრების შემდეგ ბანდა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლის ცენტრად იქცა¹⁰¹. აქ იქმნებოდა სავაჭრო გაერთიანებები, რომელთა მიერ წარმოებული ნედ-

ლეული და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ზოგჯერ საერთაშორისო ბაზარზეც გადიოდა. ბანდიდან გატანილ აბრეშუმზე დიდი მოთხოვნილება ყოვილა ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ბაზრებზე¹⁰².



ბანდის სინაგოგა, ე.წ. აჯიაშვილების ბეით ქნესეთი. 1913 წ.

ბას განიცდიდნენ, საქართველოში კი მსგავს მოვლენებს ადგილი არასდროს ჰქონია. პირიქით, ძნელბედობის უამს ქართველები მუდამ ეხმარებოდნენ მათ. ჩვენს ხელთ არსებული რამდენიმე ფაქტიდან

¹⁰⁰ იხ. ა. კეკელია, შ. აფრიდონიძე, საეკლესიო კრებაზე. გაზ. „მამა ანტონ კეკელია“, მარტი, 2000, გვ. 4.

¹⁰¹ მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ი.კეკელია, სოფელ ბანდის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ისტორიიდან (XIX ს-ის I ნახევარი - XX ს-ის I ნახევარი). გაზ. „მენორა“, №7 (467), ივნისი, 2020, გვ.2.

¹⁰² გაზ. „კვალი“, #46, 1900.

ამჯერად ბანძელ ებრაელთა ისტორიის ორ ეპიზოდზე გავამახვილებთ უურადღებას, რითაც შევეცდებით წარმოვაჩინოთ ებრაელებისადმი სოფლის ქრისტიანი მოსახლეობისა და, პირადად ანტონ კაპელიას დამოკიდებულება.

XX საუკუნის დასაწყიში, განსაკუთრებით რევოლუციის ქარცეცხლიან დღეებში, ებრაელთა აკლებას მასშტაბური ხასიათი ჰქონდა რუსეთში. ასე, მაგალითად, რუსეთის ქალაქ ბელოსტოკში¹⁰³ მძარცველები ოთხი დღის განმავლობაში უველაფერს ანადგურებდნენ.

ებრაელთა მოსალოდნელი დარბევის შესახებ ხმა გავრცელდა საქართველოშიც. ბანძელ ებრაელებს ანტონ კეკელიასთვის დახმარება უთხოვიათ. მამა ანტონი უაღრესად კეთილი და გაჭირვებულთა გამკითხავი იყო. მან დახმარება აღუთქვა ებრაელებს. ეფრემ და დავით¹⁰⁴ აჯიაშვილებს ფართლეული მოაზიდვინა და ლექეპელეში, საკუთარი სახლის პირველ სართულზე, დიდ დარბაზში, საგულდაგულოდ შეანახვინა. თანაც, ქონებას დამცველად ებრაელთა თემიდან ერთი კაცი მიუჩინა, ბანძელ სამსონ დანელიასთან ერთად. მიუხედავად მოარული ხმებისა, ქართველი ებრაელები მაშინ ძარცვასა და რბევა-აწიოკებას გადარჩენილან¹⁰⁵.

მეორე ეპიზოდი 1911-1912 წლების ზამთრის დიდთოვლობასთანაა დაკავშირებული. თოვლის საფარს თურმე სამი მეტრისთვის მიუღწევია. ბანძელი ებრაელები, როგორც ითქვა, თავს ვაჭრობით ირჩენდნენ. დიდთოვლობის გამო გზები ჩაკეტილა. ამიტომ კვირა დღეს ბაზარში დგომა კი არა, გარეთ გამოსვლაც კი ჭირდა. ებრაელები მიწას არ ამუშავებდნენ. ვერც ერთი ებრაელის ოჯახში სასიმინდეს ვერ ნახავდით. საჭიროების შემთხვევაში ისინი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ბანძელი ქრისტიანებისგან ყიდულობდნენ. დიდთოვლობისას ებრაელებს ორი თუ სამი კვირის მარაგი შემოლევიათ და გზების ჩაკეტვის გამო ვერც ქუთაისში მოუხერხებიათ წასვლა,

¹⁰³ ამჟამად უდიდესი ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ პოლონეთში, პოლონეთ-ბელარუსის და პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფო საზღვრის სიახლოვეს.

¹⁰⁴ დავით იაკობის ძე აჯიაშვილი (18??-1946 წწ.) - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაცრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების ხამდვილი წევრი.

¹⁰⁵ ი. კეკელია, მამა ანტონ კეკელიას ცხოვრება და ლვაწლი (დაბადებიდან 160 წლისთავის გამო). გორის სახელმწიფო-სასაწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული, #11, 2016, გვ.156-157.

რომ იქ მაინც შეეძინათ პროდუქტები. ბანძელ ებრაელთა ათეულობით ოჯახი უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილა. ამიტომ იძულებულნი გამხდარან, რომ ბანძელი ქრისტიანებისთვის მიემართათ დახმარებისათვის. დავით აჯიაშვილი მამა ანტონთან მისულა და უთხოვია დახმარების გაწევა გაუსაძლის მდგომარეობაში ჩავარდნილი ებრაელებისათვის. იმანაც, როგორც სჩვეოდა, დახმარების ხელი გაუწოდა ბანძელ ებრაელებს - სამი ბეღელი სიმინდი დაუთმოდა თანასოფლელები შიმშილით დახოცვას გადაარჩინა¹⁰⁶. როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, მამა ანტონი შემწყნარებელი იყო სხვა რელიგიებისადმი. ეს კველაზე კარგად სწორედ ქართველი ებრაელებისადმი მის დამოკიდებულებაში გამოვლინდა. იგი ტოლერანტობის მაგალითს ადლევდა თანამემამულებებს, თუ როგორ უნდა აღმოეჩინათ მატერიალური და მორალური მხარდაჭერა განსაცდელის ჟამს სხვა რელიგიის მიმდევართათვის¹⁰⁷.

ებრაელებმა ეს პატივისცემა არ დაუვიწყეს დეკანოზს. მათ მთელი გულით შეიყვარეს მამა ანტონი და მისი ოჯახი. 1920 წელს, როცა იგი გარდაიცვალა, დავით აჯიაშვილმა, ბანძელ ებრაელთა თემის სახელით, გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც იმ დახმარებაზეც ისაუბრა, დეკანოზს რომ არაერთხელ აღმოუჩენია გაჭირვებაში ჩავარდნილი ებრაელობისთვის¹⁰⁸.

¹⁰⁶ ი. კუკულია, მამა ანტონ კუკულიას ცხოვრება და დვაწლი. გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული, #11, 2016, გვ. 157.

¹⁰⁷ ვ. როდონაია, მადლის გზით მავალი, გვ. 10.

¹⁰⁸ დავით აჯიაშვილი იყო ბანძელ ებრაელთა თემის თვალსაჩინო წარმომადგენელი. სხვათა შორის, 1946 წელს, მის საფლავზე გამოსათხოვარი სიტყვა წარმუთქვამს დეკანოზ ანტონ კუკულიას სიძეს, ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს - თედო სახორციას. ეს სიტყვა საუკუთხესო მაგალითია მოყვასის საყოველთაო სიყვარულისა. აქვე მკითხველს ვთავაზობთ ამ ტექსტს:

„კეთილშობილო ადამიანო და საყვარელო ძმაო დავით!

შენი ძვირფასი ცოლ-შვილი, შენი ნათესავები და შენი მეგობრები მწარედ დაგვაობლე და ხორციელად საუკუნოდ გვმორდები. მიგტირით ყველანი გულწრფელად, რომ სენს ვერ გაუძლო შენმა სხეულმა და ასე უნუგეშოდ გვტოვებ ყველას.

ციგმა სამარებ უნდა მიიბაროს წმიდა გვამი შენი, ჩემო საყვარელო დავით, უნდა მიიბაროს გვამი იმ ადამიანისა, რომელსაც თავის სიცოცხლის მიზნადა ჰქონდა სამსახური მოყვასისა, სამსახური საზოგადოებისა, რომლის თვალსაჩინო წევრად ის ითვლებოდა; მიზნადა ჰქონდა ყველა გაჭირვებულისათვის ეშველნა, ყველა დასაცემად გამზადებული ზეზე წამოეყენებინა და გზაზე დაეყენებინა. გვმორდება კაცი, რომლისათვის ეროვნული განსხვავება არ არსებობდა, რომლისათვის ყველა გაჭირვებული ადამიანი ერთი იყო; გვმორდება ადამიანი, რომელსაც თავის სალოცავ ხატად და ადამიანის მაშვენებლად მიაჩნდა პატიოსნება, პატიოსნება და კიდევ პატიოსნება.

ეს ორი ფაქტიც ნათლად მოწმობს იმას, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ ქართველები და ებრაელები ერთმანეთთან. ასეთმა მხარდაჭერამ კიდევ უფრო განუმტკიცა ბანძელ ებრაელებს ქართველი ხალხის სიყვარული.

მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „გამოვიდა მთესვარი თესვად... და რომელიმე დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა რომელიმე ასსა, რომელიმე სამეოცსა და რომელიმე ოცდაათსა“ (13, 3-8). ანტონ კეკელიაც იმ სახარებისეულ „მთესვარს“ გვაგონებს, რომელიც თავისი ხელით, „ქუეყანასა კეთილსა“ ზედა მიმოაბნევდა სიკეთის მარცვალს, რომელიც, ამის სანაცვლოდ, „მრავლად მოსცემდა ნაყოფსა“¹⁰⁹.

1917 წლის სექტემბერში გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოების კრების 81 დელეგატს შორის, სადაც აირჩიეს ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი, იყო დეკანოზი ანტონ კეკელიაც. კრების ოქმში, რომელიც საარქივო ფონდებში აღმოჩნდა, ვკითხულობთ: „1917 წლის 17 სექტემბერს, გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოების ყრილობის დელეგატებმა - მღვდლებმა, მედავითნეებმა და ერისკაცებმა, ვიქონიეთ მსჯელობა შესახებ არჩევის გურია-სამეგრელოს ეპარქიის მაგივრად დაარსებულის ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტისა და ერთხმად დავადგინეთ:

- ჭყონდიდის მიტროპოლიტად არჩეულ იქმნას არქიმანდრიტი

და ასა, შენიანებს და შენს მეგობრებს ნუგეშად ისა გვრჩება, რომ ჩვენს საზოგადოებაში, ვისთანაც კი შენ საქმე გქონია, არავინ გამოჩნდება ისეთი, რომ შენზე ძვირი სთქვას, შენს პატიოსნებას ოდნავიც არი ჩრდილი მიაყენოს.

და საიქიოში ისე მიღიხარ, რომ შენი სახელი შენს ნაცნობებში მუდამ კეთილად მოსახსენებელი დარჩება.

მაშინ ულხინოს შენს სულს და ნეტარხესენება აწ და მარადის შენს პიროვნებას, შენს გულს, რომელიც ეხოდენ გამთბარი იყო მოყვასის სიყვარულითა“. იხ. შ. აფრიდონიძე, თ. სახოკია, დ. სახოკია, მ. სახოკია, რ. გვარამია, მ. გურგენიძე, კ. ჯანდიქრი, ე. მაჩაბელი, ფხიზლად - საქართველოს დირსების დასაცავად. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 აპრილი, 1992, გვ. 3.

¹⁰⁹ ი. კეკელია, ბანძელ ებრაელთა ისტორიის ერთი ფურცელი. გაზ. „მარტვილი“, 10 სექტემბერი, 1999, გვ. 2; მისივე, „ოდეს კაცსა დაეჭირვოს...“ (ორი ეპიზოდი ბანძელ ებრაელთა ისტორიიდან). გაზ. „მამა ანტონ კეკელია“, მარტი, 2000, გვ. 2; მისივე, მამა ანტონ კეკელიას ცხოვრება და დგაწლი (დაბადებიდან 160 წლისთავის გამო). გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული, #11, 2016, გვ.158.

ამბროსი (ხელაია), რასაც შინა ხელს ვაწერთ:

თავმჯდომარე, დეკანოზი არისტარქო კალანდარიშვილი, **დეკანოზები - ანტონ კეკელია**, ტრიფონ ბობოხიძე, პიმენ თომაძე, კონდრატე ჩაჩიბაია, მღვდლები ტროფიმე ჯოხოდაბერიძე, მოსე ჯორბენაძე, ლაზარე შურდაია, დიაკონი ნიკოლოზ ოსიძე...^{“110”}.

ოქმის ხელისმომწერ დელეგატებს შორის ანტონ კეკელიას ხელმოწერაცაა. საეკლესიო კრების მიერ ჭყონდიდელ ეპისკოპოსად, ამ ოქმის საფუძველზე, დამტკიცებულ იქნა ამბროსი ხელაია¹¹¹.

ანტონ კეკელია, სხვა გამორჩეულ სასულიერო პირებთან ერთად, აქტიურად იბრძოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. საქართველოში ავტოკეფალისტური მოძრაობა განსაკუთრებით გააძტიურდა XX საუკუნის დასაწყისში, ამ მოძრაობაში, სასულიერო პირებთან (ეპისკოპოსი კირიონი, ლეონიდე, ამბროსი, კალისტრატე...) ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული საერო პირებიც, მათ შორის ქვეყნის პოლიტიკური და სამეცნიერო-კულტურული ელიტა. ქართველმა სასულიერო პირებმა ისარგებლეს რუსეთის მონარქიის დაცემით შექმნილი მდგომარეობით. 1917 წლის 8 მარტს დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ბინაზე შემდგარ საიდუმლო კრებას, რომელსაც ესწრებოდნენ ნოე ჟორდანია, ალ. ლომთათიძე, სოსიკო მერკვილაძე და ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე). კრებაზე გადაწყდა, რომ 12 მარტს სვეტიცხოველში გადაეხადათ სამშვიდობოპარაკლისი, ხოლო შემდეგ წაეკითხათ ავტოკეფალიის აღდგენის აქტი. 1917 წლის 12 მარტს, კვირას, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში შეიკრიბა ათასობით ადამიანი. დვოისმსახურება აღავლინა გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე). მსახურებაზე იყვნენ: იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი), გორის ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), ალავერდის ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე), არქიმანდრიტი ნაზარი (ლევაგა), თბილისის მთელი ქართული სამდგდელოება, საქართველოს საგუბერნიო და სამაზრო მარშლები, თავადაზნაურობა და წირვაზე მოსული მორწმუნე ხალხი. წირვისა და პარაკლისის ალ-

¹¹⁰რ. გრიგოლავა, მოწამე მთავარხუცესი, დეკანოზი მამა არისტარქო (კალანდარიშვილი), გვ. 159.

¹¹¹ იქვე, გვ. 160.

სრულების შემდეგ ეპისკოპოსმა ლეონიდე ოქროპირიძემ წაიკითხა უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება. მთავარი დოკუმენტის შინაარსი კი შემდეგნაირი იყო: „1917 წლის ამა მარტის 12 დღესა მცხეთის წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საყდარში, კვირა დღეს, შევიკრიბენით რაჩვენ, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარნი, სამდვდელოების კრებული და სამწყსოთა წარმომადგენლები, შევასრულეთ წირვა და სავედრებელი პარაკლისი. გავითვალისწინეთ რუსეთის სახელმწიფოში მომხდარნი ძირითადნი ცვლილებანი და ახალი მთავრობის დაფუძნება და მისი საყოველთაო საზოგადოდ სახელმძღვანელო დებულებანი და განსაკუთრებით სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლების მისგან აღსარება მივიღეთ რა მხედველობაში:

ა) ვინაიდან საქართველოს ეკლესია არსებობდა დამოუკიდებლად, თანახმად მსოფლიო კრებათა კანონებისა, რომლის მოსპობა ანუ გაუქმება არ ექვემდებარებოდა არავითარ ძალას, გარდა მსოფლიო კრებათა და სრულიად არაკანონიკურად შეაჩერეს მისი ავტოკაფალური მართვა-გამგეობა;

ბ) საჩქაროდ განგრძობილ იქნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკაფალიის მართვა-გამგეობა“.

აღნიშნული დოკუმენტის მიღება ავტოკაფალური მოძრაობის ლოგიკური დასასრული იყო, ამის შემდეგ ქართველმა სასულიერო პირებმა დაიწყეს აქტიური მუშაობა საქართველოს ეკლესიის ავტოკაფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის.

1917 წლის 17 სექტემბერს თბილისში, სიონის ტაძარში შედგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის - კირიონ II-ის (სამაგლიშვილის) არჩევა. ტაძრის ეზოში გადაღებულ ფოტოზე მეორე რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ, სხედან: მღვდელი მელქისედეკ ფხალაძე (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი), დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი), დეკანოზი კორნელი კეკელიძე (შემდგომში აკადემიკოსი, ხარისხგანდარცული), ალავერდელი ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე), ეპისკოპოსი ლეონიდე (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი), კირიონ II (შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქი), ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), არ-



1917 წელს ქართულმა მართლმადიდებელმა ეპლენიამ სრულად საქართველოს გათოლიკოს-პატრიარქად აირჩია გირიონ II
(სამაგილიშვილი) სურათზე, მეორე ზეს მიმდინარე მერჯვიდან მეორე ზე, მარჯვნიდან ანგოზი ილევაზია. თბილისი. სიონის ტაძრის ეზო. 17
სექტემბერი, 1917 წ.

ქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია; შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქი), იღუმენი ქრისტეფორე (ციცქიშვილი, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი), სამღვდელონი და საერონი. ამ რიგში მყოფ პირთაგან, მარჯვნიდან მეორე სწორედ ანტონ კეკელიაა¹¹².



პირველ რიგში მარცხნიდან მე-10 დგას დეკანოზი ანტონ კეკელია
თბილისი. სიონის ტაძრის ეზო. 17 სექტემბერი, 1917 წ.

¹¹² გაზ. „მამა ანტონ კეკელია“, მარტი, 2000, გვ. 3.

**სოფელ ბანძის სახალხო განათლებისა და
გულტურის ისტორიის
(XIX ს-ის უკანასკნელი მეოთხედი - XX ს-ის 10-იანი წლები)**

§ 1. ერთკლასიანი სასოფლო-სამინისტრო სკოლა

ანტონ კეკელიამ 65 წელი იცოცხელა (გარდაიცვალა 1920 წლის 12 ივლისს) და ასეთი ხანმოკლე დროის მანძილზე ბევრი კეთილი, საშვილიშვილო, დასაფასებელი საქმის გაკეთება მოასწრო. როგორც ზემოთ აღვნიშნე, იგი მეხუთე თაობის სასულიერო პირი იყო თავის საგვარეულოში. სწავლობდა მარტვილის სასულიერო სასწავლებელსა და ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. უმაღლესი სასულიერო განათლება არ მიუღია. ანტონი XIX საუკუნის 90-იან წლებში იწყებს აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ეს არის საქართველოსთვის განსაკუთრებით მშფოთვარე წლებისა და ისტორიული მოვლენების ხანა. ეს ის დროა, როცა რუსული მმართველობა საბოლოოდ გაბატონებულია კავკასიაში... გერცენის სიტყვებით რომ ითქვას, ამ დროს ჩვენს ქვეყანას ედგა „გარეგანი მონობისა და შინაგანი განთავისუფლების საკვირველი ეპოქა“.

ანტონ კეკელია, ნიკოლოზ (ნიკო) კალანდარიშვილი, კონდრატე ჩაჩიბაია, გიორგი ბერიძე, კაპიტონ გაწერელია, არისტარქო კალანდარიშვილი (შემდგომში მოწამე მთავარხელისი), იოსებ მაკალათია, ტროფიმე ჯოხოდებერიძე, კონდრატე თათარიშვილი და სხვანი იყვნენ ილიას ჯარისკაცები, რომელთაც მემკვიდრეობით გადაეცათ 60-იანელთა ძლიერი თაობის მიერ აღმართული ეროვნული თვითშეგნების დროშა. ამ პერიოდში უკვე მტკიცედ მოქმედებდა ჯერ კიდევ 1853 წლის 29 ოქტომბერს იმპერიის მიერ მიღებული დებულება, რაც ითვალისწინებდა კავკასიის ოლქის სასწავლებელთა წყობილების იმ წყობილებასთან დაახლოებას, რომელიც შემოღებული იყო შიდა გუბერნიების სათანადო სასწავლებელთათვის. დებულებით კავკასიაშიც სახალხო განათლების იგივე სისტემა უნდა შემოღებულიყო, რაც არსებობდა რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებში. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებდა ქართული ენის სასწავლო პროგრამებიდან ამოღებას და მის შესწავლას მხოლოდ, როგორც არასავალდებულო საგნისა. სწორედ ამიტომ უწოდებდა

XIX საუკუნის 40-50-იან წლებს დიდი ილია, დროს „მიძინებისა და ეროვნული მიმდინარებისა, მოქანცულობისა“¹¹³.

მეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად 1873 წლის დებულების საფუძველზე ქართულის სწავლება საერთოდ იქნა ამოღებული პროგრამებიდან. მას, როგორც არასავალდებულო საგანს, მხოლოდ პროგიმნაზიული კლასის მოწაფეები სწავლობდნენ.

სწორედ მიძინებული ერის გამოფხიზლება და ქვეყანაში გამეფებული „საყდრული მყუდროების“ დარღვევა იტვირთეს ილიას ჯარისკაცებმა, რომლებიც პირნათლად აღასრულებდნენ დიდი წინამორბედის სიტყვებს:

მას ნუდარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანოქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი“...

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს განათლების ისტორიას ყველაზე რეაქციული ხანა დაუდგა. 1878 წლიდან კავკასიაში სახალხო განათლების მზრუნველის მოვალეობას რუსეთის სატახტო ქალაქიდან მოვლინებული კირილე პეტრეს ძე იანოვსკი¹¹⁴ ასრულებდა. განათლების ახალი მესვეური ნიჭიერი და ენერგიული მუშაკის სახელით კი სარგებლობდა და თბილისის ინტელიგენციამაც თავიდან კეთილი განწყობით მიიღო იგი, მაგრამ სულ მალე თავი იჩინა მისმა ბნელმა ზრახვებმა და რეაქციულმა მიზნებმა. განათლების საკითხებზე მზრუნველი იანოვსკი შეეცადა საქართველოს სკოლებიდან არა მხოლოდ ქართული ენის გაკვეთილების ამოღებას, არამედ ქართული ანბანის საერთოდ განდევნას. თავისი მიზნის მისაღწევად თანამზრახველებიც კი გამოუჩნდა, გორში ვინმე ნათიევის, სამეგრელოში ლევიტსკისა და ზუგდიდის საქალაქო სკოლის მასწავლებლის - თადა აშორდიასა და სხვათა სახით.

¹¹³ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. პ. ინგოროვებას რედაქტორობით. ტ. III, თბ., 1952, გვ. 180.

¹¹⁴ კირილე იანოვსკი (1823-1902 წწ.) - პედაგოგი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი (1878-1899 წწ.).



დეკანოზი ანტონ ქეკელია (პირველ რიგში მარცხნიდან მეორე) საეკლესიო-სამრევლო
სკოლების ხელმძღვანელთა საქართველოს რესპუბლიკური ყრილობის დელეგატთა
შორის. თბილისი, 1911 წ.

სოფ. ბანძის შესახებ იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებულია ვრცელი წერილი, რომელიც გვამცნობს ბანძელთა სამეურნეო ყოფა-ცხოვრების, სწავლა-განათლების, სასოფლო აფთიაქის, ბიბლიოთეკისა და სხვა საკითხების შესახებ. ახალ-სენაკიდან 25 ვერსით დაცილებული სოფლის მკვიდრ მცხოვრებლებს შეადგენს თავადაზნაურთა და სასულიერო წოდების 200-მდე კომლი, ხუთასი კომლი საბატონო გლეხი და უხსოვარი დროიდან აქ სხვადასხვა ადგილიდან გადმოსახლებული ებრაელთა 50-მდე მოსახლე, რომლებიც თავად ფალაგას ყმები იყვნენ. ებრაელები უფრო ვაჭრობას ეტანებიან და ბევრი მათგანი საკმაოდ შეძლებულია, საზოგადოდ კი მთელი სამეგრელოს მოსახლეობა, განურჩევლად წოდებისა, უკიდურეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი... წერილის ავტორი აცხადებს, რომ სწავლა-განათლების საქმეში დიდს მხნეობას იჩენს სენაკის მაზრის უფროსი, რომელმაც სოფლის საზოგადოებებს ბევრი ძველი სკოლის შენობა ახლად გადააკეთებინა და რამდენიმე ახალი სკოლაც შესძინა მაზრას. ხალხს უშუამდგომლა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორთან, რათა ფულით დახმარებოდა. ისიც ბეჯითად ხელს უწყობს სკოლის საქმეებს. ასეთი მამობრივი ქცევით მაზრის უფროსმა ხალხში დიდი სიყვარული და პატივისცე-


მა მოიპოვა. სწავლა-განათლების საქმეში დიდი სამსახური მიუძღვის აგრეთვე სენაკის მაზრის სკოლებისადმი ახალსენაკის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველს, ბატონ ენუქიძეს, რომელიც მონდომებულია სკოლას და მასწავლებელს ხელი მოუმართოს. ამ მიზნით თავისი სკოლის ბალიდან უფასოდ უგზავნის მცენარეთა ნერგებს და სხვ.

წერილიდან ვიგებთ, რომ ბანქაში 1875 წლიდან არსებობს ერთკლასიანი სასოფლო-სამინისტრო სკოლა. 1895 წლის აპრილში მაზრის უფროსის განკარგულებით სოფლის საზოგადოებამ სკოლას მისცა საბადო ადგილი, რომელიც ნახევარ ფასად დაუთმია ადგილობრივ მღვდელს - რომანოზ ურიდიას. 1896 წელს სკოლას იალტის საიმპერატორო ნიკიტის სასწავლებლის ბალიდან გამოუწერია მცენარეები. „ამჟამად სკოლის ბალი წარმოადგენს სასიამოვნო სანახავს“¹¹⁵. იმოწმებს რა ამ სტრიქონებს, პროფ. სერგი დანელიას ცხოვრებისა და ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესწავლისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში, სოფელ ვედიდკარის მკვიდრი, პროფესორი ბორის ურიდია დასძენს, რომ სკოლის ბალი სასიამოვნო სანახავი იყო მისი მოწაფეობის დროსაც, სახელდობრ, 1931-1938 წლებში. „სკოლა და ბალის ტერიტორია ორ მეტრზე მეტი სიმაღლის აკაციის სარებით იყო შემოღობილი, შიგ იყო ვეებერთელა ძელქვის ხეები, მრავალი სხვადასხვა ჯიშის ხილი, იყო 500 ძირამდე ვენახიც. ბალს შვილივით უვლიდა საშუალო ტანის მუხლმაგარი და დაუღალავი, ხანში შესული წვერებიანი, სახელგანთქმული მებაღე დავით გაგუა.

სწორედ ზემოთ დასახელებული სკოლის შენობაში, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სკოლისათვის გამოყენებული, მაგრამ მშენებლობა დამთავრებული იყო, 1873 წელს საქართველოში პირველად დაიდგა შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“, რის შესახებაც იმავე წელს გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ვრცელი წერილი „შექსპირი ბანქაში“. უნდა ითქვას, რომ მოხდენილი ნაგებობა იყო სკოლის ორსართულიანი შენობაც; იგი რამდენიმე ცალკე შესასვლელის მქონე ოთახისგან შედგებოდა, ხოლო პირველი და მეორე სართულის ორი დარბაზი ცალ-ცალკე 100 m^2 მეტი ფართისა იყო თავისი დიდი დერეფნებით. ეს შენობა, სამწუხაროდ, ჩვენი საუკუნის 70-იანი წლების

¹¹⁵ „ცნობის ფურცელი“, #172, 1897.

დასაწყისში დაინგრა თუ დაანგრიეს“¹¹⁶.



დეკანოზ ანტონ ქვემლიას წერილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-სადმი. 1918 წ.

¹¹⁶ ბ. ურიდია, სერგი დანელია, თბ., 1990, გვ. 11-12.

მაშასადამე, პერიოდულ პრესაში იმ დროს მოხსენიებული, 1875 წელს დაარსებული ბანბის დაწყებითი ერთკლასიანი სასოფლო-სამინისტრო სკოლა ტერიტორიულად დღევანდელ ვედიდკარში არსებობდა. დიდი ორსართულიანი შენობა განკუთვნილი ყოფილა სკოლისა და ბანბის სათემო ადმინისტრაციისთვის. ამ სკოლაში სწავლა მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ქართულად არაფერს ასწავლიდნენ¹¹⁷. 1875 წელს ამ სკოლაში უსწავლია 62 მოსწავლეს, რომელთაგან ყველა ვაჟი იყო. ბ. ურიდიას აზრით, შესწავლას და დადგენას მოითხოვს, თუ სად მდებარეობდა ყულისკარი. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს უნდა ყოფილიყო ბანბის „ურიაკარი“, სადაც 1884 წელს სწავლობდა 29 ვაჟი და 3 ქალი, სულ 32 მოსწავლე¹¹⁸.

XIX ს-ის 70-80 იან წლებში სენაკის მაზრაში, კერძოდ, ამჟამინდელი მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რამდენიმე სასწავლებელი არსებობდა. ამათგან ყველაზე ძველი, 1830 წელს დაარსებული მარტვილის სასულიერო სასწავლებელი 1873 წელს დაიწვა, ხოლო შემდეგ ეს სკოლა ახალსენაკში გადაიტანეს. არსებობდა აგრეთვე პირველდაწყებითი სამინისტრო სასწავლებლები: ბანბისა (1875 წ.), მარტვილისა (1875 წ.), აბედათისა (1876 წ.) და ყულისკარისა (1884 წ.) სამრევლო სკოლები ამ პერიოდში არსებობდა სოფლებში: ლეხაინდრავო, გურძემი, კიშია, კურზუ, სალხინო და ჯოლევი.

თუ რა მდგომარეობა იყო XIX ს-ის 80-90-იან წლების სენაკის მაზრაში სწავლა-განათლების მხრივ, ამასთან დაკავშირებით მეტად საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის ნიკო დადიანის წერილი „სწავლა-განათლების მდგომარეობა გურია-სამეგრელოში ათიწლის (1889-1899) განმავლობაში“. ეს წერილი 1901 წელს გამოქვეყნდა.




საქართველოს ქათოლიკოს-პატრიარქი, წმ. მღვდელმოწამე კირილ II (სამაგლიშვილი)

¹¹⁷ ბ. ურიდია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 11.

¹¹⁸ ქვემ, გვ. 11.

ნდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“. ავტორი წერს, რომ 1889 წელს სენაკის მაზრაში იყო 17 პირველდაწყებითი, საერო უწყების სასწავლებელი და 1 ძველი სენაკის სათავადაზნაურო სასწავლებელი, სულ 18 სკოლა, 1165 მოსწავლით. ათი წლის შემდეგ, 1899 წელს ყოფილა სულ 24 სკოლა. ამათგან - 9 ორკლასიანი და 15 ერთკლასიანი პირველდაწყებითი სასწავლებელი. 24-ივე სკოლაში სწავლობდა 2144 ბავშვი, მ. შ. – 1957 ვაჟი და 184 ქალი. 1889 წელს სენაკის მაზრაში იყო 26 სასულიერო სამრევლო სკოლა, ხოლო 1897 წლისათვის - ერთი ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი, ორი მეორე ხარისხის ორკლასიანი და ერთი ორკლასიანი სკოლა, 33 ერთკლასიანი და 16 წერა-კითხვის სასწავლებელი. სასულიერო უწყების სკოლების რაოდენობა ამ დროისთვის (1897 წ.) სულ 53 ყოფილა. ამ სკოლებში სულ 2048 მოსწავლე, მ. შ. 1852 ვაჟი და 196 ქალი სწავლობდა. როგორც ვხედავთ, ათი წლის მანძილზე სენაკის მაზრაში სკოლების რიცხვი თანდაოთან მატულობდა. ორივე ტიპის სკოლა მაზრაში ყოფილა 77, 4188 მოსწავლით. თუმცა სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვების რაოდენობა საგრძნობლად დიდი ყოფილა.

XIX ს-ის 80-იან წლებში მიმდინარე დიდმნიშვნელოვანმა მოვლენებმა - რევოლუციური მოძრაობის გამოცოცხლებამ, სასწავლებლებში გახშირებულმა, იმპერიის რეაქციული ძალების წინააღმდეგ მიმართულმა მღელვარებამ ის შედეგი გამოიღო, რომ რუსეთის აფორიაქებული მმართველობა იძულებული გახდა ვაკანსიები შეეზღუდა სწავლის მსურველთათვის და, ამასთანავე, შეემცირებინა მოსწავლეთა კონტიგენტი. მეორე დიდ სადამსჯელო დონისძიებად კი, აღნიშნულ პერიოდში, შეიძლება ჩაითვალოს საქართველო-



ნიკოლოზ დადიანი – ცნობილი
მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე

ში არსებული სასწავლებლებიდან ქართული ენის გამოდევნა¹¹⁹.

მაშინდელ უნუგეშო მდგომარეობას კარგად ასახავს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული კორესპონდენცია, სადაც ვკითხულობთ: „უბედურება, ძველი უბედურება, რომელსაც მუდამ წელიწადს, ასე უნაყოფოდ უჩივის ყველა, ის არის, რომ სასწავლებელ ში, საცა მიიყვანს თავის შვილს მშობელი, ადგილი, ვაკანსია არ არის და თავის ხარჯითაც რომ უნდოდეს, მაინც არ იღებენ, - ადგილი არ არისო! ამ პასუხით ისტუმრებს სასწავლებლის მთავრობა ყმაწვილსა და იმის მშობელს. დაღონებული მამა მეორე სასწავლებელ ში მიდის, აქაც იგივე პასუხი, მესამე და მეოთხეში - იგივე. და, ამნაირად, როგორც ჩამოსულა, ისევ უკან მიდის უნუგეშოდ. ასევე მოელის იმას მეორე და მესამე წელიწადსაც“¹²⁰. მოწაფეთა პოლიტიკური განწყობით დამფრთხალმა განათლების უმაღლესმა უწყებამ - კავკასიის სასწავლო ოლქმა, 1887 წლის 17 ივლისის სპეციალური ცირკულიარით სკოლას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრალდება წაუყენა და მოწაფეთა მიღების წესები შემდეგი სახით განუსაზღვრა: „გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში აუცილებლად ჩაითვალოს ისეთი ბავშვების მიღება, რომლებსაც შინ ჰყავთ ისეთი მეთვალყურენი, რომლებიც სწორად წარმართავენ საოჯახო აღზრდას და შეუქმნიან სწავლისათვის ყველა საჭირო პირობას. ამგვარად, ამ წესის განუხრელი დაცვის წყალობით, გიმნაზიები და პროგიმნაზიები განთავისუფლდებიან მასში მეტყველების, მსახურების, მზარეულების, მრეცხავების, წვრილი ვაჭრებისა და მათი მსგავსი ადამიანების შვილების მიღებისაგან. მათი ბავშვები, განსაკუთრებული ნიჭის მქონეთა გარდა, არ უნდა გამოვიყვანოთ იმ წრიდან, რომელსაც ისინი ეკუთვნიან და რომელსაც, როგორც მრავალი წლის გამოცდილება გვიჩვენებს, მოსდევს მშობლებისადმი უპატივისმცემლობა, თავიანთი ცხოვრებით უკმაყოფილება და არსებულისა და აუცილებელის მიმართ ბოროტი დამოკიდებულება“¹²¹. განათლებისადმი ამგვარი დამოკიდებულებით სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი თითქმის არ იზრდებოდა და უმეტესობა საერთოდ ვერ ახერხებდა ცოდნის მიღებას. ამიტო-

¹¹⁹ გ. გაგუა, სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბ., 1974, გვ. 116.

¹²⁰ გაზ. „დროება“, #218, 1884.

¹²¹ კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულიარი, #8, 1887, გვ. 266-267.

მაც წერდა ნიკო დადიანი, რომ სენაკის მაზრაში მისაღები იყო ორი-
ვე სქესის დაახლოებით 17 400 ბავშვი, მაგრამ სკოლის გარეშე რჩე-
ბოდა 12551 ბავშვი!

§2. სამრევლო სკოლებისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება



მამა ანტონ კეპელიას მიერ ერთკლასიანი სამრევლო სკოლის ბაზაზე
დაარსებული ბანბის საჯარო სკოლა

რასაკვირველია, ბანბის დაწყებითი ერთკლასიანი სასოფლო-
სამინისტრო სკოლაც ვერ აქმაყოფილებდა სწავლა-განათლებისად-
მი გაზრდილ მოთხოვნილებას, რაზეც მიუთითებდა კიდეც ბანბის
შესახებ გაზეთ „ივერიაში“ 1891 წლის 9 მაისს (#97) დაბეჭდილი წე-
რილის ავტორი: აგერ თორმეტი წელიწადია ბანბის საზოგადოებაში
დაარსდა ერთკლასიანი სასწავლებელი (იგულისხმება 1875 წელს
დაარსებული ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა ვედიდკარის ტე-
რიტორიაზე, რომელიც ამ პერიოდისთვის ბანბის შემადგენლობაში
შედიოდა, ორქა-მუხურჩის ჩათვლით - ი. კ.). აქამდე სწავლის საქმე
კარგად მიდიოდა, ყმაწვილი უკან არავინ გაუბრუნებიათ, ვინც კი
მისაბარებლად მიუყვანიათ. ხოლო უკანასკნელს წლებში კი საქმე
ცოტა არ იყოს გაგვიჭირდა. ადგილის უქონლობის გამო მრავალი

უმაწვილი უკან დააბრუნეს¹²². ადგილობრივმა მღვდელმა ცალკე გახსნა სამრევლო სკოლა, რაკი დარწმუნდა, რომ ეს ერთკლასიანი სასწავლებელი არა კმაროდა. ბლალოჩინმა ანტონ კეკელიამ დაიწყო ზრუნვა სკოლის გასახსნელად. ამასთან დაკავშირებით 1892 წლის 17 დეკემბერს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილიდან ირკვევა, რომ ბანბა დიდი სოფელია, სადაც ბევრი თავად-აზნაური ცხოვრობს, მაგრამ სწავლა-განათლებასა და სკოლის დაარსებაზე არავინ ფიქრობს. გამოჩნდა სასულიერო წოდების კაცი, ბლალოჩინ ანტონ კეკელიას სახით, რომელმაც დაიწყო ზრუნვა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ამ მიზნით მან დადგა შენობა სკოლისთვის საკუთარი ხარჯით. ეს სკოლა მოკლე დროში კიდევაც აკურთხა და სწავლა საახალწლოდ დაიწყება. ჩვენს საზოგადოებას ბანბის სკოლაში თავისი შვილების გაზრდა ძალიან გაუადვილდება, რადგან ამ სკოლაში სწავლა ბევრ ხარჯს არ მოითხოვს¹²³.

როდის დაარსდა ბანბის ერთკლასიანი სამრევლო სკოლა? პროფესორი ბორის ურიდია სამრევლო სკოლის გახსნის თარიღად 1892 წელს მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ „მისი დაარსების მოთავე და გამგე იყო ანტონ კეკელია“¹²⁴. გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილს თუ დავეყრდნობით, რასაც პატივცემული მკვლევარიც იმოწმებს, ეს სკოლა არსებობდა 1892 წლამდეც. ადგილობრივი მღვდლის (იგულისხმება დეკანოზი ანტონ კეკელია – ი. კ.) მიერ ცალკე გახსნილ სამრევლო სკოლას 1891 წლის 9 მაისს, ანუ გაზეთში წერილის გამოქვეყნების დროისათვის, საფუძველი უკვე ჩაყრილი აქვს. ამასვე მოწმობს იმავე გაზეთის 1892 წლის ზემოთ დამოწმებული ნომერი, რომლის მიხედვით სამრევლო სკოლისთვის სასულიერო პირის მიერ საკუთარი ხარჯით შენობა უკვე დადგმულია.


¹²² ავტორი თეიმურაზ ჭიჭინაძე სკოლის შესახებ წერილში აღნიშნავს, რომ ერთკლასიანი სასწავლებელი ბანბის საზოგადოების მიერ 12 წლის წინ დაარსდა. წერილი, როგორც აღვნიშნეთ, 1891 წელს დაიბეჭდა „ივერიის“ ფურცლებზე. მაშასადამე, გამოდის, რომ თ. ჭიჭინაძე ბანბის ერთკლასიანი სამინისტრო სკოლის დაარსების თარიღად 1879 წელს მიიჩნევდა. ეს ცნობა სანდოდ მიიჩნია ისტორიკოსმა შალვა ჯდარკავამ და მარტვილის რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნა, რომ ბანბის სკოლის 90 წლისთვის აღნიშნა რაიონის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება. იხ. შ. ჯდარკავა, სახელოვანი წარსულის ისტორიიდან (ბანბის სკოლა 90 წლისაა). გაზ. „შრომის დროშა“, 4 ოქტომბერი, 1969.

¹²³ ე. ხოფერია, ბანბა (სამეგრელო). გაზ. „ცნობის ფურცელი“, #172, 1897.

¹²⁴ ბ. ურიდია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 13.

ამავე სოფელში 1896 წლის პირველი სექტემბრიდან სასულიერო მთავრობის განკარგულებით დაარსდა „მეორეხარისხოვანი სკოლა სამასწავლებლო კურსით, ომელშიაც, ბლაღოჩინის ანტ. კეკელიას მეცადინეობით, სწავლის საქმე რიგიანად მიდის“¹²⁵.

მამა ანტონის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ მისი ნამოწაფარი, შემდგომში ცნობილი პედაგოგი ივლიანე გაბუნია იგონებს: „ანტონ კეკელიას საბლადოჩინოში შედიოდა რამდენიმე საზოგადოება - დაწყებული ს. ონტოფოდან ს. აბედათამდე და მარტვილამდე. ამ საზოგადოების სოფლებში მანამდე არცერთი სკოლა არ იყო (ვედიდკარის ერთმასწავლებლიანი ფასიანი „სამინისტრო“ სკოლა სხვა სოფლებს ვერ სწვდებოდა). მის საბლადოჩინოში რამდენი ეკლესიაც იყო, იმდენი სამრევლო ერთკლასიანი სკოლა გაიხსნა ანტონ კეკელიას ინიციატივით. 1891 წელს ანტ. კეკელიამ გახსნა ბანძაში (შაურკარში) ერთკლასიანი სამრევლო სკოლა. შემდეგ წლებში მისივე ინიციატივით და მონაწილეობით გაიხსნა წერა-კითხვის სკოლები ნაჩილაჩაოში¹²⁶, ორქაში, ონოდიაში, ნაგიბერავოსა და ნაჯახაოში“¹²⁷.



ყველა სკოლა გაივსო მოწაფეებით... თუ „სამინისტრო“ სკოლებში (სამეცნიეროებრივი) ქართულის სწავლა აკრძალული იყო, ხო-

¹²⁶ „ნაჩილაჩაოს სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა სამოთხე-კარის სასაფლაოზე მდგარ წმ. გიორგის ეკლესიაში. სკოლის დაარსების საქმეში აქტიურობდნენ აგრეთვე დიაკვანი ექვთიმე გახანია და მისი ძმა უჩანია. სკოლის შენობა აუგია სამსონ უჩანიას ქედზე. გასაძლებელის შემდეგ, სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, „ეირბოგეფთან“ აუგიათ ფიცრული შენობა და სკოლაც იქ გადაუტანიათ. მოგვიანებით რვა ოჯახს შეუგროვებია თანხა და სკოლის შენობისთვის რამდენიმე ოთახი მიუშენებიათ. დურგალი პართე კვიტატიანი ყოფილა. აქ ასწავლიდა ძუკუ კალანდარიშვილი, რომელიც ძველი სენაკიდან დადიოდა ცხენით. ყველა საგნის მასწავლებელი კალანდარიშვილი იყო. როცა მოვიდოდა, მაშინ ირეკებოდა ზარი და იწყებოდა გაკეთილი“ (არქადი ალექსანდრეს ქედზე კვიტატიანის ნაამბობი).

¹²⁷ განვითარების „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულია ინფორმაცია ნაჯახოუს სამრევლო სკოლის შესახებ: „თოთქმის ორი წელიწადია მას აქეთ, რაც ჩვენს სოფელში ჩვენისავე ხარჯით გავმართეთ სამრევლო-საეკლესიო სკოლა, რომლის თაობაზე და ბეჭისაღებზე უნდა მოგახსენოთ რამოდენიმე სიტყვა...“ („ცნობის ფურცელი“, #304, 1897. სტატია - „სოფ. ნაჯახოუ (სამეგრელო). სამრევლო სკოლა და მისი ურიგო მზრუნველობა“).

ლო რუსულს ასწავლიდნენ „მუნჯური“ მეთოდით, ანტონ კეკელიას მიერ დაარსებულ სამრევლო სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა (რუსულსაც ასწავლიდნენ, როგორც სახელმწიფო ენას). ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ეს სკოლები გაივსო გლეხის შვილებით: სწავლა ამ სკოლებში უფასო იყო.

1896 წელს ანტონ კეკელიას ინიციატივით ს. ბანძაში გაიხსნა უფრო მაღალი საფეხურის სკოლა, ე. წ. მეორეკლასიანი სამასწავლებლო სკოლა, რომელიც შვიდწლიანი იყო - უკანასკნელ კლასში მოწაფეებს ასწავლიდნენ დიდაქტიკას, მეთოდიკას. მოწაფეები პრაქტიკულ გაკვეთილებს აძლევდნენ დაწყებით კლასებში. კურსდამთავრებულებს ეძლეოდათ ორწლიანი წერა-კითხვის სკოლების მასწავლებლის წოდება. ბანძის უბნისათვის ეს სკოლა შეიქმნა კულტურის ცენტრად¹²⁸.

ვახტანგ როდონაიას სავსებით სამართლიანი შეფასებით, „თუ გავითვალისწინებთ სკოლის გახსნასთან დაკავშირებულ სირთულეებს თვით ახლაც კი - განათლების სისტემის დღევანდელ საფეხურზე, ადვილი წარმოსადგენია, რა დაბრკოლებები უნდა შეხვედროდა არათუ ათეულზე მეტის, არამედ თუნდაც ერთი სკოლის გახსნას იმ დროს, როცა სოფლად სწავლა-განათლების საჭიროება ხშირად სადავოდაც კი იყო მიჩნეული. საზოგადოებაში, რომელიც დრომოჭმულ წარმოდგენათაგან ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულიყო, არც მოწინავე პიროვნების საქმიანობით აღძრულ-ნასაზრდოები შური გამოირიცხებოდა. დავუმატოთ ამას მატერიალური სახსრების პრობლემა და გავიხსენოთ სამოქმედო ასპარეზიც - რუსეთის ვრცელი იმპერიის პერიფერია, ადგილობრივ აყვავებული ბიუროკრატიული სისტემით“¹²⁹.

ბანძაში სკოლის შექმნის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ მას შემდეგ დაისვა, რაც მომავალმა დიაკვნებმა მარტვილის სასულიერო სასწავლებელს ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს. მამა ანტონს, თავისი ჩანაფიქრისთვის ხორცი რომ შეესხა, დიდი წინააღმდეგობების დაძლევა მოუხდა, მაგრამ უკან არ დაუხევია, თავგამოდებით იბ-

¹²⁸ ი. გაბუნია, ბანძელთა კეთილდღეობისთვის მოღვაწე. გაზ. „ჭყონდიდი“, #108, 1990.

¹²⁹ ვ. როდონია, მაღლის გზით მავალი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 5 ოქტომბერი, 1990.

რძოდა მიზნის მისაღწევად. მოძღვარმა სოფლის ცენტრში, შაურკარის ეკლესიის მახლობლად მდებარე მიწები შეისყიდა აზნაურებისგან და ასე მოუპოვა მომავალ სკოლას საჭირო და საკმარისი ტერიტორია¹³⁰. ამასთანავე, „მეცენატობის ხალისის გაღვივებით სასკოლო საქმეს ენთუზიასტები შესძინა... მოგვიანებით, როცა მოქიშპე-ებმა რევიზია აწვიეს ბანდას - ვითომდა სკოლის საქმის მიმდინარეო-

¹³⁰ მარტვილის მხარეთმცოდნების მუზეუმის ხელნაწერ მასალათა ფონდში დაცულია „შეწირულების პირობის წერილი“ ლუარსაბ და გიორგი მერაბის ძე გაბუნიებისა, რომლებმაც ბანდის ორკლასიან სკოლას შესწირეს კუთვნილი მიწის ნაკვეთი. დოკუმენტი ბანდის სკოლის ისტორიისათვის მეტად საგულისხმო ინფორმაციას შეიცავს, რის გამოც აქვე სრული სახით ვიმოწმებთ ტექსტი: „1896 წელსა აგვისტოს 25 დღესა. - ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი მცხოვრები სენაკის უეზდის სოფლის ბანდისა აზნაურნი: ლუარსაბ და გიორგი მერაბის ძე გაბუნიები ესრეთს შეწირულების პირობას გაძლევთ თქვენ გურია-მინგრელიის სამასწავლებლო რჩევის წევრს და ბანდის ნიკოლაევსკი ვტარო კლასნი შკოლის სამუდამო სახლის აღმაშენებელ კომიტეტის თავმჯდომარეს ბლადოჩინს მღვდელს ანტონ კეკელიას მას შნა, რომელ დღემანდელს რიცხვსა შინა ვისურვეთ და ერთის ხმით გარსავსწყვიტეთ ზემოაღნიშნულ გაბუნიებმან და შევსწირეთ მოხსენებულის შკოლის სამუდამო სახლის ას(ა)შენებლ)ად მემკიდრეობით კუთვნილი ჩვენდამი ზომით ოთხმოცდათი (ათასი?) კვადრატი საჟენი მიწა მდებარე სოფელს ბანდაში სახელდობ, ჩვენს ეზოში, რომელიც ისაძღვრება აღმოსავლეთით სამხრეთით და ჩრდილოეთით ისევლე ჩვენი მიწით, ხოლო დასავლეთით საზოგადო გზით. - სიმართლე გაქვსთ თქვენ კეკელიას, რომ ამა საძღვართა შვა მოხსენებული ადგილი მოახმაროთ დასადგმელად სამუდამო სახლისა გინდ საეზოოდ გინდ საბაღოდ, ვინაიდგან თქვენი და საზოგადოების მიერ იქმნა აღრეული ადგილი ესე და მთავრობისაგან ნებადართული. დღიდამ არ მოგედავებით ჩვენ და ძალად (?) ჩვენი შემდგომი ზემო ხსენებული მიწის ისეულე უკანვე დაბრუნებაზედ, არამედ დღიდამ ადგილი ესე შეადგენს მოხსენებული შკოლის საკუთრებას და უკეთუ თქვენ ბლადოჩინი კეკელია მოისურვებთ მოგბსთხოვთ ამ ადგილის კანონიერის წესით დამტკიცებას, იმ შემთხვევაშიდ ჩვენ გაბუნიები მოვალეობად ვიდგენთ მოთხოვნილებისათანავე თქვენისა წაგვეთ ნოტარიუსში თქვენის ხარჯით და დაგიმტკიცოთ შეწირულება ესე კანონიერის სიგელით, აგრეთვე ვკისრულობთ ვიდრე კანონიერად დამტკიცებამდე: მოგაშოროთ ყოველი უბრალოდ მოდავე და მიმთვისებელი ამ ადგილისა; ერთის სიტყვით დღიდან არავითარი შფოთი და რყევა უნდა მიეცეს ამ კეთილ შეწირულებას (და) მით არ მიეცეს საზოგადოება, აღმაშენებელი მოხსენებულის შკოლისა დაბრკოლება და ზარალს. - ვინცობაა უკეთუ, რომელიმე ჩვენთაგანმა დაგარდვიეთ პირობა ესე და ვერ დავიცევით აქ მისამებრ ზემო პუნკტები, იმ შემთხვევაშიდ დამნაშავე პირნი მოვალეობად ვიდგენთ გარდავინადოთ შტრაფად სასარგებლოდ მოხსენებულის შკოლისა თითოელად ასიორმოცდათი მანეთი, ესე იგი თუთხმეტი თუმანი, სულ სამასი მანეთი. ამასთან ეს ადგილი იქმნეს ცნობილი (?) შკოლისა და ყოველივე მაზედ მომხდარი ხარჯი და ზარალი. ვინიცობაა, უკეთუ დროთა ვითარებამ შესცვალოს არსებობა მოხსენებულის შკოლისა დანიშნულს ადგილზედ და იქმნეს გადატანილი ადგილზედ, იმ შემთხვევაშიდ თქვენ ბლადოჩინი კეკელია მოვალე იქმნებით ჩვენი ადგილი ისეულე დაგვიბრუნოთ ჩვენ კუთვნელობისამებრ. - დღიდან ამა პირობის დაწერისა დამტკიცებამდი ხება გეძლევათ შეხვიდეთ ყოველ გვარად მფლობელობაში და მიიღოთ ზომა აღშენებისათვის აღნიშნულის შკოლისა ამა ადგილზე, გინდ საბაღოთ დატოვოთ და გინდ საეზოორ იმა შკოლისა და უკეთუ რამე დაბრკოლება მოგეცათ, მაშინ ვინთ ზემო ხსენებული შტრაფსა და მასთან ყოველივე მაზედ მომხთარი ზარალზედ ვიქმნებით პასუხის მგებელი და მას შინა ხელს ვაწერო აზ(ნაუ)რ(ი) ლევარსა მერაბის ძე გაბუნია, აზ(ნაუ)რ(ი) გიორგი მერაბის ძე გაბუნია, რომელ აზ(ნაუ)რნი ლუარსაბ და გიორგი მერაბის ძე გაბუნიები საკუთარს ხელს აწერენ, სინამდვილესა ვამოწმებ ხელის მოწერითა ჩემითა და დასმითა სახელმწიფო ბეჭდისათ 1896 წელსა აგვისტოს 25 დღესა. - ბანდის საზოგადოების სოფლის მამასახლისის თანამდებობის აღმასრულებელი პომოშნიკი ივანე კეკელია“.

ბის შესამოწმებლად, ინფორმირებულმა ანტონმა ერთ დამეში მოაზიდვინა საბალავრო ქვა მდ. აბაშის პირიდან, რისთვისაც მთელი ხარჯი (900 მან.) ოვითონ გაიღო. ამასთანავე, მოსულ სტუმრებს გალობით შეაგება მოსწავლეთა და მასწავლებელთა გუნდი. ოვითონაც სიტყვით მიმართა. რევიზორი დარწმუნდა, რომ ბავშვებმა იცოდნენ ლოცვა, პირჯვრის წერა, რესულადაც ლაპარაკობდნენ. ბლადოჩინის დიპლომატიურმა სვლამ გაჭრა და რევიზორს საბოლოოდ გადააწყვეტინა საკითხი ბანძის სკოლის სასარგებლოდ. ეს სკოლა ანტონ კეკელიას განსაკუთრებულ უურადღებას სხვა მხრივაც იცყრობდა. ბანძა უმნიშვნელოვანესი სოფელი იყო არა მარტო თავისი ხელსაყრელი მდებარეობის გამო (მარტვილიდან სენაკისაკენ მიმავალი გზა მასზე გადიოდა), არამედ მოსახლეობის რაოდენობითა და შემადგენლობის მრავალფეროვნებითაც. ბუნებრივად წარმოქმნილი ტრადიციები კულტურისა და განათლების მხარდაჭერასაც საჭიროებდა... ბანძის სკოლის პრეცედენტი სამაგალითო შეიქნა ახლომახლო სოფლებისთვისაც და სასკოლო საქმეც იქ უფრო უმტკიცნეულოდ მოგვარდა. სულ ანტონ კეკელიამ 15-მდე სკოლა გახსნა - ლეხაინდრაო-ონოდით დაწყებული და საჭილაო-აბაშით გათავებული“¹³¹.

მამა ანტონის შვილიშვილმა, აწგარდაცვლილმა ოიდიპოს (ბოჩია) მიხეილის ძე კეკელიამ ბანძის ორკლასიანი სკოლის დაარსებასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ფაქტი გაიხსენა: „ბაბუაჩემს სკოლის გახსნის საქმეში ბევრი მოქიშპე ჰყოლია. სამდგრელოების ერთ ნაწილს სურდა, რომ სკოლა მარტვილში გახსნილიყო. მართალია, მარტვილში სასულიერო სასწავლებელი 1830 წლიდან არსებობდა, მაგრამ 1873 წლის 12 ოქტომბერს სკოლის შენობას ხანძარი გაუქმინეს და დაწვეს. 1876 წელს ახალი, რვაოთახიანი, ხის ყაზარმული შენობა აუგიათ, რომელიც გარედან გაჯით ყოფილა შელესილი. 1881 წელს მომავალ დიაკვნებს (ასე უწოდებდნენ მოსწავლეებს) ეს შენობაც დაუწვავთ, ამის მიზეზი სასწავლებლის სიშორე და სწავლების აუტანელი პირობები იყო¹³². შემდეგ მდეროდნენ კი-

¹³¹ ვ. როდონაია, დასახელებული სტატია.

¹³² სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის დაწვისა და მის გარშემო ატეხილი დავის შესახებ არაერთი წერილი დაიბეჭდა იმდროინდელ ქართულ პრესაში (გაზ. „შრომა“, 1881, #13, გვ. 1-2; #15, გვ. 2; გაზ. „დროება“, 1879, #61, გვ. 1-2; #62, გვ. 3; #63, გვ. 2; #64, გვ. 3-4; #66, გვ. 3-4; #104,

დეც: „ნიორი და ხახვის ფოჩი, მადლობა დმერთს, მარტვილს მოვ-რჩი“. მარტვილის სასწავლებლის ისტორია დაწვრილებით აქვს აღ-წერილი თედო სახოკიას, წიგნში - „როგორ ვიზრდებოდით ძვე-ლად“. დიდი ხნის მანძილზე დღის წესრიგში იდგა მარტვილში სასწავლებლის არსებობის საჭიროება. მარტვილელები ყოველ დონეს ხმარობდნენ, რომ სკოლის შენობა ბანძის ნაცვლად კვლავ მარტვილში აგებულიყო, მაგრამ ანტონმა იმდენი იარა თბილისში, რომ საბოლოოდ საქმე ბანძის სასარგებლოდ გადაწყდა. ერთხელ, თურ-მე, თბილისში უნდა წასულიყო. სკოლის საქმეებით იმდენად დაკა-ვებული ყოფილა, რომ დილით, სიჩქარის გამო, შარვლის ჩაცმა და-ვიწყებია და ასე, უშარვლოდ, მხოლოდ ანაფორით ჩასულა თბი-ლისში. იქ, ბანძიდან დიდი ხნის წინ თბილისში გადასახლებულ ნაცნობთან - ალექსანდრე (საშა) კეკელიასთნ მისულა და სახლის კარიდანვე შეუძახნია: „არიქა, შვილო, როგორმე ჩემი ზომის ძიქვა (შარვალი) მომიძებნე, თორემ მომეჭრა თავიო“.

მაინც არ მოისვენეს მოქიშპეებმა, - დეკანოზი სკოლის მშენებ-ლობის დაწყებას არ აპირებსო, და რევიზია გამოგზავნეს. ნიშან-დობლივია ის ფაქტიც, რომ მამა ანტონმა თავის მეუღლეს - ეპრაქ-სია ოქროპირის ასულ რურუას მზითვიც კი გაუყიდა და შეგროვილი თანხა სამრევლო სკოლისათვის შენობის დადგმას მოახმარა¹³³. უთუოდ ამ ფაქტის გამოძახილია გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებული წერილი ბანძაზე, რომლის ავტორიც, სხვა საკითხებთან ერთად, ყუ-რადღებას ამახვილებს სოფ. ბანძაში საგანმანათლებლო კერების მდგომარეობაზე. მოგვაქვს ვრცელი ამონარიდი აღნიშნული პუბლი-

გვ. 2-3; #259, გვ. 2-3; #255, გვ. 2...). საზოგადოების ერთი ნაწილი მხარს უჭერდა სასწავლებლის კვლავ მარტვილში დატოვებას, ზოგიერთები კი ზუგდიდში, ფოთში, ახალსენაქსა და ქუთა-ისში ითხოვდნენ გადატანას. „ყველანი დაფაცურდნენ, ყველანი ეცნენ ერთმანეთს: დაიძრა თავადი, შეფაცურდა აზნაური, გამოიფინენ მარტვილის ბაზარში რაც კი სოფელში გლეხე-ბი იყვნენ, დაიწყეს ჯგუფ-ჯგუფად კრება, მასლათი, რჩევა და განსჯა მასზე, თუ როგორ უშ-ველონ თავიანთ საქმეს, თავიანთ თავს, ე. ი. დაუშალონ გადატანა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელსა სხვა ალაგას“, - წერდა გაზეთი „დროება“ (1879, #61, გვ. 1).

¹³³ იხ. ი. კეპელია, ილია მართლის გზით. გაზ. „მახარია“, #3, 2005; მისივე, მწყემსნი კეთილნი. გაზ. „მახარია“, #7-8, 2005, გვ. 14; მისივე, მშობელი ქვეყნის უკვდავ-უბერებელი მეციონოვნე (მა-მა ანტონ კეკელიას დაბადების 150 წლისთავის გამო), ჟურნ. „ეგრისი“, #1, 25 დეკემბერი, 2005; მისივე, ილიას ჯარისკაცები. ქუთაისის სახელწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები. კრ. XVII, ქუთ., 2007, გვ. 72; მისივე, მამა ანტონ კეკელიას ცხოვრება და ღვაწლი (დაბადებიდან 160 წლისთავის გამო). გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული. #11, 2016, გვ. 154-155.

კაციიდან: „ამ დროებით ბანძას აქვს ორი სკოლა: სამინისტრო სკოლა ერთკლასიანია, სადაც ქართულს არ ასწავლიან, და სამრევლო სამასწავლებლო სასწავლებელი ორკლასიანი. უკანასკნელს მივაჭცევ მკითხველის ყურადღებას, რადგანაც მისი თავგადასავალი მეტათ საყურადღებოა და სასაცილოც. საქმე აი, რაში მდგომარეობს. პატივცემულ ბლადოჩინ ან. კეკელიას მეცადინეობით და მეოხებით სასულიერო მთავრობამ გადაწყვიტა, როგორც მახსოვს, 1896 წ., დაერსებია სამრევლო სასწავლებელი ს. ბანძაში, თუ საზოგადოება აღმოუჩენდა ერთუამიერათ დახმარებას 2900 მ. ახლომახლო სოფლებმა რომ გაიგეს ეს ამბავი, შემწეობას დაპირდნენ. მარტვილებლებმა „დიდი ვინმეს“ შეგონებით საშინელი პროტესტი განუცხადეს, თავი მეტად შეურაცხყოფილად სცნეს. მათდა სასახელოთ, მათი მხრით ბევრი ტყვია-წამალი დაიხარჯა, მხოლოთ გამარჯვება ბანძელებს დარჩა. მთავრობამ გამოუგზავნა კომისია სასწავლებლისათვის ადგილის ამოსარჩევათ. აი, აქ აირია მონასტერი!

ზოგიერთები ამხედრებულ იყო პირდაპირ ამ ბედკრულ სასწავლებლის წინააღმდეგ და ყოველ საშუალებას ჰქმარობდნენ საქმის შესაფერხებლად. ზოგი პირადი ანგარიშებით გაუდენოს, დაბრმავებული, ჩუმათ ჩაჩურჩულებდა ყურში დამსწრეს, ჭორს, ცილისწამებას მეთაურის დასამცირებლათ, დასამარცხებლათ. მარტვილის მოტრფიალე ბევრი გახლდათ. უკანასკნელთ მთელი დღის განმავლობაში წყლის ნაყვით, ყვირილ-ლრიალით დაღალული ხალხის დიდი უმრავლესობა დათანხმდა „შაურკარის“ ეკლესიის გვერდზე დასავლეთის მხრით შეესყიდათ ადგილი და ზედ გამოეჭიმათ ქვითკირის სასწავლებელი; დროებით კი ხის სახლებში უნდა მოეთავსებინათ შეგირდები. რასაკვირველია, ბევრი დაბრუნდა ყრილობიდან განრისხებული მუქარით და მუშტის ცემით გულში. ფული ხალხისაგან გროვდებოდა ლანძღვა-გინებით. სასწავლებელი დიდი ამბით და ვაი-უშველებით გაიხსნა; შეგირდებმა საკმარისათ მოიყარეს თავი. მასწავლებლები, შეძლების გვარათ, სინდისიერათ უძღვებოდნენ საქმეს. მხოლოთ ორი წლის შემდეგ პატარა „რევოლუცია“ მოხდა, რომელმაც გამოიწვია ორი მასწავლებლის პროტესტი და

„ატსტავკა“. მათი წასვლით ქვეყანა არ დაქცეულა¹³⁴. სასიხარულოთ, მოწვეულმა მასწავლებლებმა თავისი გულმოდგინეობით და მუყაითობით, თუ საზოგადოების არა, მშობლების ყურადღება მაინც დაიმსახურეს. ასე მიმდინარეობდა ამ სასწავლებლის საქმე. საძირკველი ჯერ არ არის ჩაყრილი სასწავლებლის შენობისა, თურმე საჭირო თანხის მესამედიც არ ყოფილა შეგროვილი. ხალხი, გინდ საზოგადოება, სდუმს. ხმა გავრცელდა, ვითომ სკოლა გურიაში უნდა გადაიტანონ. ეს თუ მოხდა, დიდი რისხვა იქნება ბანდისთვის. ეს ნათლათ დაამტკიცებს იმას, თუ რამდენათ გონება-ზნეობრივათ ჩამორჩენილია ის სხვა სოფლებს. ადვილი შესაძლებელია ეს ხმა გამართლდეს. ბანდელები ბევრს ინანებენ, მაგრამ გვიანდა იქნება“¹³⁵.

იმავე გაზეთის ფურცლებზე 1900 წელს დაიბეჭდა წერილი ბანდის სამრევლო სასწავლებლის შესახებ: ბანდელებისთვის საჭირბოროტო კითხვად იქცა სამრევლო სკოლის ბედი. სოფლის მოსახლეობას 2900 მანეთის შემ-



ცნობილი პედაგოგი
კირილე არველაძე

¹³⁴ ამ პატარა „რევოლუციის“ მონაწილეობა ვინაობა ირკვევა მამა ანტონის მიერ 1917 წელს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილით:

„ბ-ნო რედაქტორო, უმორჩილესადა გთხოვთ, „საქართველოში“ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს.“

მარტის 19 დღეს ახალსენაკში გაიმართა სენაკის მაზრის მასწავლებელთა საზოგადო კრებაზე, სხვათა შორის, ლაპარაკი ყოფილა იმის შესახებ, რომ სახალხო შკოლებს არასასურველი ელემენტი ჩამოაშორონ. არასასურველთა შორის მეც მოვყოლივარ, ადამიანი, რომელიც 43 წელიწადია სახალხო განათლებას ვემსახურები. ჩემს მოწინააღმდეგებად გამოსულან მასწავლებელი: ბ. კაჭარავა, ბ. კალანდარიშვილი და ო. ხუხუა. სამივე ერთს დროს ჩემს მიერ რწმუნებულ სასწავლებელში იყვნენ და სასწავლებლის ინტერესებმა იძულებულ მყო სასწავლებლისათვის სამივე მომეშორებინა. მასწავლებელთა კრების მიერ აღმასრულებელ კომისიის წევრებად მოჰყოლიან მასწავლებელი კაჭარავა და კალანდარიშვილი, ჩემნი ბრალმდებელნი და იმავე დროს გამსამართლებელნი.

უმორჩილესადა ვსოხოვ კომისიას, სანამ თავისს მსჯავრს რასმე გამოიტანდეს, საქმე გამოიძიოს. იმედი მაქას კომისიის პირუთვნელობისა და მაშინ შეიძლება როლები იცვალოს - დღევანდელნი ბრალმდებელნი ჩემნი იძულებულნი იქმნენ პასუხისმგებლად იქცნენ და ძალზედაც გაუჭირდესთ ეს პასუხისმგება“ („საქართველო“, #83, 18 აპრილი, 1917, გვ. 4).

¹³⁵ „პვალი“, 1899, #39, გვ. 673-674; მსჯელობისათვის იხ. ო. კეკელია, ილიას ჯარისკაცები, ქიმ შრომები, კრ. XVII, 2007, გვ. 73.

წეობა უნდა აღმოეჩინა სასწავლებლისთვის, მაგრამ მიუტევებელი გულცივობა გამოიჩინეს და ფულის შემგროვებლებს უარით ისტუმ-რებენ სახლიდან. ურცხვად გაიძახიან - არ გვინდა სკოლაო. უკეთე-სი მომავლის იმედი დაეკარგებოდა კაცს, ისეთ ველურ ამბავს ჩადი-ოდნენ. რამდენადაც ჯიუტობენ სოფლელები, იმდენად მეტი ენერ-გიით მოქმედებენ მეთაურნი, მაგრამ მიაყარე კედელს ცერცვი. მუდა-რით და მუქარით რომ ვერაფერს გახდნენ, საჭირო თანხა ისესხეს ერთი ვინმესგან და წარადგინეს დანიშნულებისამებრ. საქმე ამით დამთავრებული ეგონათ და გამარჯვებას დღესასწაულობდნენ, მაგ-რამ ამ დროს ისეთი თავზარდამცემი ამბავი მოვიდა სასწავლებლის შესახებ, რომ ყველა შეაშფოთა და გააკვირვა. დიდი თუ პატარა, მო-ხუცი თუ ახალგაზრდა ფეხზე დააყენა და აქამდე თუ ორ მანეთს ვერ გამოიმეტებდნენ, ახლა სამაგიეროდ თუმნობით გადადიოდნენ, თუ საქმით არა, სიტყვით მაინც, ოდონდ ქვეყნის თვალში არ შერცხვე-ნილიყვნენ. ამ სასწავლებლის სულიჩამდგმელი, მამა ანტონ კეკე-ლია ხომ საიმქვეყნოდ იყო გამზადებული, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. ამდენი შრომის, იმდენი ცილისწამება-დამცირე-ბის შემდეგ, ამ სასწავლებლის ხელიდან გამოგლეჯა მისთვის ჭეშ-მარიტად აუტანელი უნდა ყოფილიყო! საქმე იმაში გახლავთ, რომ ამნაირი ტიპის სასწავლებელი თურმე უნდა არსებობდეს მიუვალ, მიყრუებულ ადგილას, ხოლო ბანდა კი თურმე განათლებული სოფე-ლი ყოფილა! მაშასადამე, აქედან სასწავლებელი უნდა გადატანილ იქნას ჩამორჩენილ სოფელ კიწიაში, თუმცა თუ ჩამორჩენაზე მიდგა საქმე, შეიძლება უფრო დაქვეითებული კუთხეც მოინახოს. ბანდის გონებრივ-ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინება 1896 წელსაც შეიძლებოდა, როცა აქ, ამ სკოლის დაარსება გადაწყვიტეს და მას შემდეგ რომ ყარამანული ნაბიჯი წარმატებისკენ არ გადაუდგამს, ეს უბრალო მომაკვდავმაც კი უწყის, არათუ ყოვლისშემძლე პირებ-მა. წერილის ავტორი გაკვირვებით აცხადებს - ნუთუ თავიდანვე არ ჰქონიათ დასახელებული, ან განსაზღვრული, თუ სად უნდა დაარსე-ბულიყო ასეთი ტიპის სასწავლებელი, ან რისთვის უთუოდ აქ და არა ცხრა მთას იქით. ეს ყოველივე ბოროტი ენების გამოა, ან ამ საქ-მეში პირად ანგარიშს უჭირავს საპატიო ადგილი, თვარა შარშან

გურიაში რას მიარბენინებდნენ და წელს რად შეცვალეს მარშრუტით¹³⁶.

მოქიშპე და მოშურნე მომრავლებოდა მამა ანტონს, მაგრამ მაიც ვერაფერი დააკლეს, წელში ვერ გაწყვიტეს. მუყაითი, მოკრძალებული, მაგრამ, იმავდროულად, საკვირველი საქმეებით დღითიდღე იხვეჭდა საზოგადოების უზომო პატივისცემასა და სიყვარულს.

ბანდაში ორკლასიანი სკოლის გახსნის შესახებ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული წერილის ავტორი გვაუწყებს, რომ 1896 წლის 19 სექტემბერს ყოვლად უსამღვდელოესმა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) ბანდაში აკურთხა სასწავლებელი, ორკლასიანი სამასწავლებლო კურსით. სკოლის კურთხევას მრავალი ადგილობრივი სასულიერო და საერო პირი დასწრებია. სასწავლებლის გამგეს, ბლალოჩინ ანტონ კეკელიას უწმინდესის სინოდთან დაარსებული სამასწავლებლო საბჭოს თავმჯდომარის-გან მიუღია დეპეშა, რომ რწმუნებულს ამ სასწავლებლის შესანახად წლიურად დაუნიშნავდა 1500 მანეთს და გაუხსნიდა კრედიტს ერთ-ერთ ხაზინაში სასწავლებლის ახლოს. ბანდის ორკლასიანი სამრევლო სკოლის გამგეს - ანტ. კეკელიას საკუთარი სახსრებით აუშენებია ხუთოთახიანი შენობა და უფასოდ გადაუცია სკოლის-თვის¹³⁷.

1896 წელს გაზეთ „მწყემსში“ მღვდელ კ. დანელიას ავტორობით გამოქვეყნებული წერილი „გახსნა და კურთხევა სოფელ ბანდაში ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლისა“, მნიშვნელოვანი პირველწყაროა სასკოლო ცხოვრების ისტორიის შესასწავლად: „სექტემბრის თვის 19 მისი ყოვლად უსამღვდელოესობის, გურია სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგორის თანდასწრებით ბანდის წ. გიორგის ეკკლესიაში საღმრთო ლიტურღია შეასრულა მცირე აიაზმის გარდახდით ზემოხსენებული სასწავლებლის ხელმძღვანელმა, ბლალოჩინმა ან. კეკელიამ, იმავე და მახლობელ ეკკლესიათა სამღვდელოების თანმწირველობით და თანდასწრებით ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლათა მეთვალყურის უ. თ. დ. უორდანიას, სენაკის მაზრის სამასწავლებლო რჩევის განყოფილების წევრთა.

¹³⁶ გ. ა., ს. ბანდა (სამეგრელო). გაზ. „კვალი“, #46, 1900.

¹³⁷ „ცნობის ფურცელი“, #29, 17 ნოემბერი, 1896, გვ. 4.

შემდეგ საღმრთო ლიტურდიისა, რომელზედაც გალობდა ქართული გუნდი მგალობელთა და სადაც დაესწრო აღმატებულის სიხარულით აუარებელი ხალხი, მისმა ყოვლად უსამდვდელოესობამ, ყოვლის სამდვდელო გრიგორიმ შეასრულა ლიტანია სკოლის შენობაში „მეფის ლოცვის“ გალობით და გარდაიხადა დაწესებული სავერებელი გალობა „წინეთ სწავლის დაწყებისა“, რომლის შემდეგ წარმოთქმულ იქმნა მრავალ-უამიერობა სამეფო სახლისა, უწმინდესის სინოდისა, მასთან დაარსებულის სამასწავლებლო საბჭოისა, უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორის პ. კონსტანტინე პეტრეს ძის პობედონოსცემისა, მმართველთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის. შემდეგ ცერემონიისა ყოვლად სამდვდელო გრიგორიმ შეკრებილი შაგირდები აკურთხა ჯვრითა და მაცხოვრის ხატითა და სკოლის დროებით შენობის, შაგირდების და დამსწრეთა სხურების შემდეგ, წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განმარტა, თუ რას იგონებდნენ ხოლმე ყოველთვის მის სწავლას და ნიადაგ შეუსუსტებლად ასრულებდნენ მას. მასწავლებელთა და შაგირდების მშობელთა უთხრა აგრეთვე სიტყვა, რომელშიაც განმარტა ის აზრი, თუ რამდენათ ვალდებულ არიან ისინი დვთის წინაშე, იქონიონ მკაცრი მხედველობა თავიანთ შვილების ზნეობით აღზრდაზე და ამიტომ მშობელნი მოვალენი არიან შეაჩვიონ შვილები სკოლის გარეთაც ლოცვას, თავიანთ კეთილის მყოფელთა და განსაკუთრებით სახელმწიფო იმპერატორისათვის; რომ ქართველს ერს სწყურია სწავლა და ჰსურს, რომ ეს სწავლა იყოს „არა ამა ქვეყნისანი, არამედ ქრისტესმიერი“; ჰსურს, რომ ბავშვებს აძლიონ ნოყიერი საჭმელი და არა დამპალი და სხ. შემდეგ ამისა ბლადოჩინმა კეკელიამ მიიწვია ყველა საპატიო პირები თავის ბინაზე სადილად... სადილზედაც წარმოსთქვეს შემთხვევის შესაფერი სიტყვები უ. თ. დ. უორდანიამ, თ. მელქისედექ ფალავამ და სხვებმაც. როგორც დაგვარწმუნეს, თ. მელქისედეგ ფალავას¹³⁸ მეუღლე დარიას უკისრნია დააარსოს ამ სკოლასთან უფასო სამკითხველო და ფონდიც, ჯერ-ჯერობით, 300 მანეთამდის შეუდგენია. დმერთმა ინებოს, რომ ამ ჭეშმარიტად დვთისნიერის და სხვა საზოგადო საკეთილო საქმეშიაც გამოჩენილის პირი-

¹³⁸ მელქისედეგ (მექი) ფალავა – ნაფიცი ვექილი, საზოგადო მოღვაწე, მემამულე სოფელ ბანდაში, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის თაგმჯდომარე. გარდაიცვალა 1928 წელს. დაკრძალულია ქუთაისში.

სათვის წაებაძნოთ სხვებთაცა“¹³⁹. სკოლის გახსნას ესწრებოდნენ: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგორი, სასწავლებლის ხელმძღვანელი ანტ. კეკელია, ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურე თ. უორდანია, სენაკის მაზრის სამასწავლებლო განყოფილების თავმჯდომარე¹⁴⁰ და განყოფილების წევრები...



მელქისედექ (მექი) ფალავა



დარია ფალავა

დარია ფალავას სახელს უკავშირდება ბანდაში მეორე კულტურულ-საგანმანათლებლო კერის - ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნა 1897 წელს. პრესაში საინტერესო ცნობებს ვხვდებით ამ უმნიშვნელოვანესი კულტურული მოვლენის შესახებაც. კონსტანტინე ფალავა 1897 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციით მკითხველს აუწყებდა, რომ ბანდელებს ძლივს აუსრულდათ დიდი ხნის გულითადი ნატვრა. ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ კნეინა დარია ფალავას ძლივს მოუვიდა ბანდაში სამკითხველოს გახსნის შესახებ ნებართვა. „პატივცემულმა კნეინამ უკვე დაიქირავა სამკითხველოსთვის სახლი ურიების უბანში. ბიბლიოთეკის სასარგებლოდ 29 ოქტომბერს გამართულ იქნა ლატარია. ლატარიაში სათამაშოდ კნ. დ. ფალავამ შესწირა საკუთარი ცხენი. ამ ლატა-

¹³⁹ კ. დანელია, გახსნა და კურთხევა სოფელ ბანდაში ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლისა, „მწევემსი“, #20, 1896.

¹⁴⁰ 1896 წლის 14 ივლისიდან გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, ყოვლადუსამღვდელოესი გრიგოლის განკარგულებით, ახლადშექმნილი საეპარქიო სასწავლო საბჭოს ახალსენაკის სამაზრო განყოფილების თავმჯდომარედ დაინიშნა არისტარქო კალანდარიშვილი (შემდგომში მოწამე მთავარხუცესი) (იხ. რ. გრიგოლავა, მოწამე მთავარხუცესი, დეკანოზი მამა არისტარქო (კალანდარიშვილი), თბ., 2012, გვ. 92).

რიიდან შემოვიდა 71 მანეთი. სრული იმედი გვაქვს ჩვენში საზ-ბა ყოველსავე შემწეობას აღმოუჩენს კნ. დ. ფალავას ამ საქმეში. მართალია, თვითონ კნეინა დონესა და შრომას არა ზოგავს, რომ ამ ნორჩმა დაწესებულებამ სათანადო სარგებლობა მოუტანოს ადგილობრივს მცხოვრებლებს, მაგრამ ნათქვამია: „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო“. თუ საზ-ბამ არ თანაუგრძნო, მარტო, პატივცემულს მოთავეს წიგნთ-საცავისას გაუჭირდება მოქმედება, მით უფრო, რომ კნ. დ. ფალავა სულ მუდამ აქ არა ბრძანდება ხოლმე“¹⁴¹.

აქვე, ურიების უბანში არსებობს სასოფლო აფთიაქი, რომლის მეპატრონეც სერვეტნიკი ძლიერ კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. იგი შედავათს აძლევს თავისი აფთიაქიდან გაჭირვებულ ხალხს. ამასთანავე, დაწესებული აქვს, რომ სკოლის მოსწავლეებს თავისი აფთიაქიდან წამლები 10 %-ის ფასდაკლებით მისცეს. „ეხლა ცდილობს, რომ როგორმე ექიმი მოიწვიოს ბანძაში მუდმივ საცხოვრებლად, რაზედაც ხალხთან მოლაპარაკებაც აქვს“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ბიბლიოთეკის დაარსებაზეც და შენიშნავს, რომ ასეთ დიდ სოფელში დღემდე არ არსებობდა არც ბიბლიოთეკა და არც სამკითხველო, მაგრამ მისი დაარსება საკუთარ თავზე აუდია ცნობილ მოღვაწე ქალს, კნეინა დარია ფალავას, რომელიც თურმე ამასთან დაკავშირებით ხელმოწერებსაც აგროვებს ქალაქ ქუთაისში. „სრული იმედი გვაქვს, რომ პატივცემული კნეინა დაწესებულს საქმეს კეთილად დაამთავრებს და მით თავისს სოფელს შესძენს საუკუნოდ სახსოვარ განძს“, - ვკითხულობთ წერილში¹⁴².

გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა პ. ჭ-ძის წერილი „ს. მარტვილი (სამეგრელო). სკოლებისა და წიგნსაცავ-სამკითხველოს მდგომარეობა. დარია ფალავას მოღვაწეობა სოფ. ბანძაში)“. აღნიშნული ვრცელი წერილი მრავალ საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის სამეგრელოში სწავლა-განათლებისა და კულტურის მდგომარეობაზე. თუ სამეგრელოში ამ 10-15 წლის წინათ სკოლები იშვიათი მოვლენა იყო,

¹⁴¹ „ცნობის ფურცელი“, 2 ნოემბერი, #359, გვ. 3; მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ალ. კოკაია, ცოდნის ჩირადანი ბანძაში. გახ. „წიგნის სამყარო“, #18, 22 სექტემბერი, 1982, გვ. 2, 7; დარია ფალავას შესახებ იხ. ს. სხირტლაძე, მჭევრმეტყველი ქართველი ქალი. წგნ.: „გადანახული საგანძურიდან“, ობ., 1965, გვ. 43-67.

¹⁴² „ცნობის ფურცელი“, #623, 5 სექტემბერი, 1897, გვ. 3.

- წერს პ. ჭ-ძე, - სამაგიეროდ ახლა სკოლების რიცხვი ერთი-ორად გაიზარდა და ხალხიც მათ საჭიროებას მეტად გრძნობს და თითოეული მათგანის გახსნას აღტაცებით ეგებება. იშვიათია ამჟამად ჩვენში საზოგადოება, რომელშიც ორი-სამი სხვადასხვა ტიპის სკოლა არ იყოს გახსნილი. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ის კი არ ითქმის, რომ ეს სკოლები თავიანთ დანიშნულებას სავსებით ასრულებენ. პირველი, ჯერ იმიტომ, სამრევლო-საეკლესიო სკოლა ჯერ მატერიალურად უზრუნველყოფილი არ არის და ამის გამო უმეტეს წილად უვარგისი მასწავლებლები ჰყავდა, და მეორეც, თუმცა მეორე ტიპის სკოლები მატერიალურად დაკმაყოფილებულნი არიან, არსებული პროგრამით სახალხო სკოლის დედააზრს მაინც ვერ ახორციელებენ. იმედია, ამისათვის მთავრობა ამ მთავარ ნაკლს ჩვენი სკოლებისას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს, რომ სკოლა თავის დანიშნულებას სასარგებლოდ ემსახუროს.

თუკი სამეგრელოში სკოლების რიცხვი მატულობს, სამაგიეროდ სამკითხველო ძლიერ იშვიათია და მარტვილი ერთადერთი სოფელია, სადაც წიგნთსაცავ-სამკითხველო არსებობს¹⁴³. ამ მხრივ მარტვილმა მასზე მდიდარ დაბა-სოფლებს გაუსწრო და მაგალითი უჩვენა. თვით სამაზრო ქალაქი ახალსენაკიც კი არა ცდილა, სამკითხველო გაეხსნა და ამით ხალხისთვის გონებრივი საზრდო მიეცა, თუმცა ახალსენაკს ამისათვის საშუალება სრულიად არ აკლია. ავტორი მკითხველებს მოაგონებს, რომ თავად-აზნაურთა სოფელ ბანძაში, ოთხი წლის წინ ბლადოჩინ ანტონ კეკელიას და განსვენებულ დარია ფალავას თაოსნობით სამკითხველო უნდა გახსნილიყო და შემოწირულობაც გროვდებოდა წიგნებისა და ფულის სახით. მაგრამ ბანძაში სამკითხველოს ხენება დღესაც არ არის, მაგრამ არც მარტვილის სამკითხველოა ამჟამად შესაშურ მდგომარეობაში: სამი-ოთხი წლის განმავლობაში მარტვილის სამკითხველო სასურველ მდგომარეობაში იყო: მოსდიოდა ყველა უურნალ-გაზეთი და რამდენიმე რუსულიც კი, მაგრამ ამჟამად, ჩვენდა სამწუხაროდ, სამკითხველოს უფულობა აწუხებს და მისი საქმეც უკან-უკან მიდის, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ დღეს სამკითხველოს მხოლოდ ორიოდე გაზეთი აქვს გამოწერილი. შემოსავალმა ძალიან იკლო და

¹⁴³იხ. რ. ძიძიგური, მარტვილის ცენტრალური ბიბლიოთეკა 105 წლისაა. გაზ. „მარტვილის მაცნე“, 25 სექტემბერი, 2005, გვ. 6.

გასავალი კი იგივეა. ცხადია, თუ სამკითხველოს საქმე ასე წავიდა, დიდხანს ვერ იარსებებს და სულს დალევს. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა საწევრო გადასახადების დროულად შემოტანა და წარმოდგენების გამართვა... წერილის ავტორი სთხოვდა დაბა ნაოდალევის ვაჭრებს, მართალია, მათ სამკითხველოზე დიდი შრომა მიუქმდებოთ, ამ კეთილ საქმისთვის შემწეობა აღმოეჩინათ და სამკითხველო დახურვამდე არ მიეყვანათ¹⁴⁴. ცოდნისა და სწავლა-განათლებისადმი ლტოლვა ყოველთვის დიდი იყო. ბანძელი გლეხეცები, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ცდილობდნენ, რომ შვილებისთვის შესაფერისი განათლება მიეცათ. გაზეთ „კვალში“ 1899 წელს დაბეჭდილია წერილი, სადაც ნათქვამია, რომ „რაც შეეხება სწავლა-განათლების საქმეს, ბანძელი დიდი ინტერესით ეკიდება მას. რაც უნდა დარიბი იყოს მშობელი, შვილს სასწავლო ნივთებს უყიდის, ოღონდ კი რამე ისწავლოს“.

ბანძაზე გამოქვეყნებული ერთ-ერთი კორესპონდენციის ავტორი „უიმედოს“ ფსევდონიმით იუწყებოდა, რომ „აქაურის ორ-კლასიან სკოლის საქმე ჩინებულად მიდის: მოსწავლეებით გავსებულია და სწავლაც რიგიანად წარმოებს“-ო¹⁴⁵.

ვინმე გიგიტაშვილი იუწყებოდა სკოლების მეთვალყურე თ. დ. ჟორდანიას ბანძის სკოლაში სტუმრობას და მოსწავლეებისთვის გრამაფონის გაცნობის შესახებ: „დღეს, 9 ოქტომბერს, ბანძის ორკლასიანს სასწავლებელს სასიხარულო დღე გაუთენდა. აქ მობრძანდა გურია-სამეგრელოს სკოლების ეპარქიალური მეთვალყურე თეოდორე დავითის ძე ჟორდანია და მოიტანა გრამაფონი. ბ-ნმა მეთვალყურემ პირველად აუხსნა ბავშვებს... გრამაფონის დანიშნულება და გააცნო მისი უმთავრესი ნაწილები. მერე დააკ- გრევინა აქვე ბანძაში გადაღებული სიმღერები. მოწაფენი სმენად



თედო ჟორდანია

¹⁴⁴ „ივერია“, 27 ივნისი, #138, 1901, გვ. 3.

¹⁴⁵ „ივერია“, 31 იანვარი, #25, 1902 წ., გვ. 2.

გადაქცეულიყვნენ. სიმღერების გათავების შემდეგ ბავშვების აღტა-ცებას საზღვარი არა ჰქონდა: ბავშვებმა მორთეს ერთი უივილ-ხივი-ლი. ბ-ნმა მეთვალყურემ სამს მოწაფეს ჩაამდერებინა და მათი ნათ-ქვამი მკაფიოდ გამოვიდა.

დიდი მადლობის ღირსია თ. დ. ჟორდანია ამ გრამაფონის მო-ტანისათვის კი არა მარტო, არამედ იმისთვისაც, რომ მას ძალიან უყვარს შეგირდები და მათთვის არ იშურებს არც ხარჯს და არც გარჯა-შრომას: გრამაფონით ხელში გურია-სამეგრელოს ეპარხის ყველა სკოლებს ათვალიერებს“¹⁴⁶.

1898 წელს ბანბის სკოლაში ჩატარებული წლიური გამოცდის შესახებ ვრცელი ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“, 1898 წლის 1 ივლისს¹⁴⁷. კომისიის თავმჯდომარედ ზუგდიდის მაზრის სო-ფელ ხეთისა და სენაკის მაზრის სოფლების - კიშისა და ბანბის სკოლებში დანიშნული იყო გურია-სამეგრელოს საეპარქიო საეკ-ლესიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურე (შემდეგში ცნობილი ის-ტორიკოსი) თედო ჟორდანია. გამოცდების შედეგებით კომისია დარ-წმუნდა, რომ საღმრთო რჯულისა და რუსული ენის სწავლება სამი-ვე სკოლაშ წარჩინებულად მიღიოდა. დანარჩენი საგნები მეტ-ნაკ-ლებად კარგად ისწავლებოდა. მაგალითად, ბანბის სკოლაში განსა-კუთრებით კარგად ისწავლებოდა არითმეტიკა, ხეთაში - წერისა, ხოლო კიშიაში - გეოგრაფიისა და გალობისა. მეურნეობა მხოლოდ კიშის სკოლაში ისწავლებოდა. პროგრამის სისრულით კი ბანბის ორკლასიანი სკოლა ყველაზე წინ იყო, რის გამოც მარტო ამ სკო-ლაში იქნება მომავალ სამოსწავლო წელს სამასწავლებლო კურსი, დანარჩენებში კი - შემდეგ სამოსწავლო წელს.

1899 წელს გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებული ინფორმაციით, ბანბის ყველა სკოლაში სამასამდე მოსწავლე სწავლობდა¹⁴⁸.

აღნიშნულ სკოლას 1918 წლამდე ანტონ კეკელია განაგებდა. ასწავლიდა ფრანგულ ენას, საღმრთო რჯულს და არითმეტიკას. გარდაიცვალა 1920 წლის 12 ივლისს, თბილისში, სიძის, ცნობილი მწერლის, მთარგმნელის, ეთნოგრაფისა და ლექსიკოგრაფის - თედო

¹⁴⁶, „ივერია“, 1902 წლის 23 ოქტომბერი.

¹⁴⁷, „ივერიაში“, #138, 1898.

¹⁴⁸, „კვალი“, #47, 1899, გვ. 801.

სახოკიას (1868-1956 წწ.) სახლში, შუაფურის ანთებით. ოთხი დღე ეს-ვენა მისი ცხედარი მიხეილის სახელობის საავადმყოფოს ეკლესიაში. ივლიანე გაბუნია იგონებს, რომ თბილისიდან აბაშამდე მატარებლით, ხოლო აბაშიდან სეფიეთის ეკლესიამდე ეტლით ჩამოუსვენებიათ. სეფიეთში, სადაც მამა ანტონმა მოღვაწეობა დაიწყო, მას ათასობით ადამიანი დახვდა. ერის სამსახურში დამაშვრალი სულიერი მოძღვრის კუბო ხელით ატარეს სოფელ ბანძამდე და შაურკარის წმ. გიორგის ეკლესიაში მიაბარეს მიწას.

აქვე ორიოდე სიტყვით შევჩერდებით ანტონ კეკელიას საგანმანათლებლო მოღვაწეობაზე ბანძის მიმდებარე სოფლებში. ლეხაინდრავოს სამრევლო სკოლის დასაარსებლად გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა შეწირულობის ნუსხა: „თანახმად ჩვენის წერილისა 22 თებერვლიდგან, ამასთანავე ვაცნობებთ „ივერიის“ რედაქციას სიას იმ პირებთა, რომელნიც არიან დიდი მადლობის ღირსნი ჩვენში სკოლის დაარსებისა, და მასთან მათი ნივთიერი შეწირულობისათის: დავით ეგორალაშვილმა 5 მან., სტეფანე შიოს ძე ძიმისტარაშვილმა 5 მან., ბლადოჩინმა ა. კეკელიამ 5 მან., მღვდელი მ. დანელიამ 50 მან., მღვდელი კირ. დანელიამ 10 მან., მიხ. ი. ხაინდრავამ 30 მ., ტოტ. ბ. ქ. ხაინდრავამ 5 მან., ერისტო ი. გაბუნიამ 5 მან., მარიამ და ვასილ ხანდამიშვილებმა 8 მანეთი“¹⁴⁹.

სახალხო განათლების ამ მნიშვნელოვან კერას, დაარსებიდან დღემდე, სხვადასხვა დროს ეწოდებოდა: ერთკლასიანი სამრევლო სასწავლებელი, ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი, უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, შვიდწლიანი შრომის სკოლა, საშუალო სკოლა, სსიპ საჯარო სკოლა.

სკოლის პირველი, ხუთოთასიანი შენობა აუგიათ დამაარსებლის, დეკანოზ ანტონ კეკელიას ინიციატივით. გასული საუკუნის 30-იან წლებში სკოლისთვის ახალი, ერთსართულიანი შენობა აშენდა. საჯარო სკოლის ამჟამინდელი სამსართულიანი შენობა („მემკ-

¹⁴⁹ „ივერია“, #227, 1895.

ვიდრე“ ანტონ კეკელიას მიერ დაარსებული სამრევლო სკო-
ლისა) 1977 წელს არის აგებული.

დაარსებიდან სკოლის დირექტორები სხვადასხვა დროს იყვნენ: დეკანოზი ანტონ იოანეს ძე კეკელიძე (1890-1917 წწ.), მიხეილ (მიხა) ანტონის ძე კეკელიძე (1917-1922 წწ.), ივლიანე გვადას ძე გაბუნია (1922-1932 წწ.), არსენ ბერია, კალისტრატე ხურცილავა, ვასილ გაბუნია, ალექსანდრე ცანავა, ვლადიმერ (ვალოდია) ხაინდრავა, იოსებ ჯიქია (1940-1941 წწ.), გრიგოლ სურმავა, დიმიტრი ზარქუა, სიმონ გაბუნია (1947-1986 წწ.), დონალდ მაგანია (1986-1987 წწ., დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი), დევის კვანტალიანი (1987-1992 წწ.). 1992 წლიდან დღემდე სკოლას ხელმძღვანელობს დონალდ სანდროს ძე მაგანია.

ბანბის სკოლაში მამა ანტონის დროს მოღვაწეობდნენ მასწავლებლები - მიხეილ კაჭარავა, ბ. კალანდარიშვილი, ი. ხუხუა, გ. სოკოლოვსკი, პ. კუხალეიშვილი, გ. დიასამიძე, მელიტონ გაბუნია, ტროფიმე ჯოხთაბერიძე, კირილე არველაძე¹⁵⁰ და სხვები. მოგვიანე-

¹⁵⁰ კირილე ივანეს ძე არგელაძე დაიბადა 1873 წლის 2 ოქტომბერს, ქუთაისის მაზრის სოფელ ჭაგანში. 1897 წელს დაამთავრა სტავროპოლის სასულიერო სემინარია და იმავე წელს პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო ბანდის ორკლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლაში. ამ სკოლაში მუშაობდა 1906 წლამდე. შემდეგ ჩაირიცხა დერატის (ქალაქი ტარტუ, ესტონეთი) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1908 წელს უსახსრობის გამო იძულებული გახდა სწავლისთვის თავი დაენებებინა. 1908-1911 წლებში მუშაობდა „ქართველთა შორის წერა-კიონცის გამავრცელებელი საოზოგადოების“ კავკავის ოთხწლიანი დაწესებითი კურსების მასწავლებლად. 1911 წელს დაწერუნვდა უნივერსიტეტს და წარმატებით დაამთავრა 1912


ბით ამ სკოლაში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ ლეონტი ვასილის ძე სიორდია (1899-1983 წწ., სოფ. ნახურცილავოდან), ანტონ (უმცროსი), ოლია, მედეა, ელისაბედ (ციცუ), მიხეილ და დავით კეკელიები, ივლიანე და მელიტონ გაბუნიები, ალექსანდრე, ნოე და იროდი ცანავები, ლიდა საბახტარაშვილი, გაიანე კალანდარიშვილი, იოსებ ჯიქია, ბ. შამელაშვილი, ოლია და ბართლომე პატარაიები, ნადია სანიკიძე-კეკელიასი, ოლია ლაბახუა-კეკელიასი, ქეთევან იამანიძე, ოლდა პატარიძე, ნიკოლოზ და რაჟდენ ბახიები, ტონია ოდიშარია, რაჟდენ ქუთელია, ვლადიმერ (ვალოდია) ხაინდრავა, შალვა დანელია, სიმონ გაბუნია, ნორა ურიდია, მალი გაბუნია, ვარდიკო კეკელია, ვალერიან ჯიქია, ლუბა ალანია, ლამარა სიორდია, ნეოლინა კიკალიშვილი, გიორგი (ჯონდი) კეკელია, ნელი კონტუაძე, ტერენტი პატარაია და სხვები.

მამა ანტონის მიერ დაარსებულ სკოლას თითქოს დაარსების დღიდან დაებედა, რომ მის კედლებში დიდი ადამიანები აღზრდილიყვნენ. ამ სკოლაში უსწავლიათ შემდგომში ცნობილ მეცნიერებს, მწერლებს, ხელოვნების მოღვაწეებს...

სკოლის აღზრდილთა შორის არიან:

სერგი იოსების ძე დანელია (1888-1963 წწ.) - დიდი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე; ფილოსოფიისა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაიბადა სენაკის მაზრის სოფელ ნაჯახაოში (ახლანდელი მარტვილის რაიონი), დარიბი გლეხის ოჯახში. სულ მალე მისი ოჯახი ბანძაში გადმო-

წელს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის #1 ვაჟთა გიმნაზიაში, ქართული ენის მასწავლებლად. 1915 წელს დაინიშნა გორის სამასწავლებლო სემინარიის ქართული ენისა, არითმეტიკისა და არითმეტიკის სწავლების მეთოდიკის მასწავლებლად. 1918 წლიდან იყო ამავე სემინარიის დირექტორი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გორის სამასწავლებლო სემინარია გადაკეთდა პედაგოგიურ ტექნიკური. მისი ხელმძღვანელი 1931 წლამდე კირილე არველაძე იყო. ამავე დროს ხელმძღვანელობდა ქალაქის საბჭოს განათლების სექციას, იყო გორის სამსარეთმცოდნეო საზოგადოების თავმჯდომარე, კითხულობდა ლექციებს და მოხსენებებს. მის კალამს ეკუთვნის პედაგოგიურ უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული არაერთი წერილი. 1931 წელს თბილისში გადმოსული რუსულ ენას ასწავლიდა სხვადასხვა ტექნიკუმში. ჩაბმული იყო პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პედაგოგიკის სექციის მუშაობაში. აგროვებდა საქართველოს სკოლების ისტორიის მასალებს და ინსტიტუტს ჩაბარა შვიდი შრომა. 1919 წელს გამოსცა „არითმეტიკის პროგრამა პირველი სამი წლის კურსისა (33 ტიპიურის კონსპექტით და მეთოდურის შენიშვნებით)“. 1948 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. გარდაიცვალა 1950 წლის 20 აგვისტოს, 76 წლისა. მსჯელობისათვის ის. განმათლებლების საქართველოში: იდეები და მოღვაწეები: nateba. Websail.net; ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი: 1801-1952. ტ. I, თბ., 2018, გვ. 197.



პროფესორი სერგი დანელია

სახლდა. 1895 წელს ს. დანელია ბანძის ერთკლასიან სამრევლო სკოლაში შეიცვანეს, რომელიც 1896 წელს ორკლასიან საეკლესიო-სამასწავლებლო სკოლად გადაკეთდა. ეს სკოლა გურია-სამეგრელოს საეპარქიო უწყებას ექვემდებარებოდა, რომლის მეთვალყურეც შემდეგში ცნობილი ისტორიკოსი თედო ქორდანია იყო. მასწავლებლები (მ. გაბუნია, მ. სოკოლოვსკი, კ. კუხალევიშვილი, მ. დიასამიძე) გაკვირვებულნი იყვნენ მისი შრომისმოყვარეობით, ნიჭიერებით, განსაკუთრებით რუსული ენის შეთვისების უნარით. მისი მასწავლებელი რუსულ ენასა და ლიტერატურაში დეკანოზ ანტონ კეკელიას ქალიშვილი და ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის - თედო სახოკიას მეუღლე ნადევდა (ნადე) იყო, რომელიც უფასოდ, საკუთარ სახლში ამზადებდა ნიჭიერ მოწაფეს. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება ბანძის სკოლის ჟურნალი, სადაც სერგი დანელიას აკადემიური წარმატებანი პირველი კლასიდან სულ ფრიადებითაა აღნიშნული. ოქმში ვკითხულობთ: „იგი არის საოცრად ნიჭიერი ყმაწვილი, რომელსაც ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ძალ-ღონის დაძაბვის გარეშე შეუძლია აითვისოს ყველა სასწავლო დისციპლინა, გადაწყვიტოს ყველაზე რთული ამოცანა, დაიმახსოვროს უამრავი განსაზღვრული თარიღები; გასწიოს გონივრული ანალიზი წაკითხულისა, მოსმენილისა, ნანახისა“¹⁵¹.

აღნიშნული სკოლა სერგიმ წარჩინებით დაამთავრა და გამოცდებიც ბრწყინვალედ ჩააბარა. გამოცდებს ესწრებოდა ონოლიელი სილოვან გაბუნია, რომელიც ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე იყო. სილოვანი მისულა სერგის მამასთან და რჩევა მიუცია,

¹⁵¹ იხ. გ. ელიავა, გაზეთი „შრომის დროშა“, #73, 16 ივნისი, 1978, გვ. 3.

რომ ბავშვი გიმნაზიაში შეეყვანა. „ისეთი ნიჭიერი ბავშვი, როგორიც შენი შვილია, ცოდვაა სოფელში რომ დარჩეს. მას დიდი მომავალი აქვს, როგორმე გადაიყვანე გიმნაზიაში. ეს სკოლა რომ დაამთავროს, შემდეგ გიმნაზიაში არ მიიღებენ, რადგან გიმნაზიის პროგრამა და ამ სკოლის პროგრამა სხვადასხვა არისო“, - უთქვამს მას იოსებისთვის.

სერგის მამას, რომელიც დაინტერესებული იყო შვილის სწავლით, უსახსრობის გამო იმედი დაკარგული ჰქონდა. იგი ძლივს არჩენდა ოჯახს მეუნაგირეობით. სწორედ ამ დროს გამოიჩინა დიდი გულისხმიერება სერგის მასწავლებელმა, ბანძის წმ. გიორგის ეპლესის მოძღვარმა, დეკანოზმა ანტონ კეკელიამ, რომელსაც ბანძის ქრისტიან მოსახლეობასა და ებრაელ ვაჭრებში შეუგროვებია ფული, თვითონაც გაუდია გარკვეული რაოდენობის თანხა და ს. დანელია ქუთაისში გაუგზავნია. სერგის არასოდეს დავიწყებია მამა ანტონის უანგარო დახმარება მის მიმართ და ამის სანაცვლოდ ყოველთვის ცდილობდა, ყოფილიყო ხალხის რჩეული, მისი ჭირ-ვარამის მოზიარე, თავისი კუთხისა და ერის სახელოვანი შვილი. აკი ეს შეძლო კიდეც - ს. ი. დანელია XX აუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელია. თუ თვალს გადავავლებთ მე-20 საუკუნეს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ შალვა ნუცუბიძისა და სერგი დანელიას შემოქმედება ქართული ფილოსოფიის ორი ის უმაღლესი მწვერვალია, რომლებიც მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერულ ღირებულებებს შეიცავენ. მათზე მაღლა ჯერ ვერავინ შეძლო ასვლა. სხვა საქმეა, რას იტყვის XXI საუკუნე. ანტონ კური ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, შექმნა ქართულ ენაზე, ს. დანელიას დამსახურებაა.

რომ არა მამა ანტონ კეკელიას გულისხმიერი დამოკიდებულება საყვარელი და ნიჭიერი მოსწავლისადმი, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა დარიბი ახალგაზრდის ბედი¹⁵². ს. დანელია 1906 წელს

¹⁵² მსჯელობისათვის იხ. ბ. კარტოზია, ი. კეკელია, სიმაღლიდან. გაზ. „მარტვილის მაცნე“, მაისი-ივნისი, 2000, გვ. 2; ბ. კარტოზია, ი. კეკელია, ნათელი ნიმბით შემოსილი. გაზ. „მახარია“, #4 (9), 2001, გვ. 3; ბ. კარტოზია, ი. კეკელია, სერგი დანელიას ეროვნული მრწამსი, თბ., 2008; ი. კეკელია, პროფესორ სერგი დანელიას სახლს ისტორიული ძეგლის სტატუსი უნდა მიენიჭოს. გაზ. „მარტვილი“, #4, 31 მაისი, 2011, გვ. 5.

ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფა-
კულტეტზე; 1908 წელს სწავლა გააგრძელა მოსკოვის უნივერსი-
ტეტში, რომელიც დაამთავრა 1911 წელს. სხვადასხვა წლებში ეწოდა
პედაგოგიურ საქმიანობას. იყო ფოთის ვაჟთა გიმნაზიის დირექტო-
რი; 1919-1920 წლებში ეკავა საქართველოს უმაღლესი და საშუალო
სასწავლებლების მთავარი გამგის თანამდებობა. 1920 წლიდან თბი-
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეწეოდა პედაგოგიურ და სა-
მეცნიერო საქმიანობას. 1922 წელს მიენიჭა უნივერსიტეტის დოცენ-
ტის, 1930 წელს - პროფესორის, 1944 წელს - მეცნიერების დამსახუ-
რებული მოდვაწის წოდება. 1927 წელს დაიცვა სადოქტორო დისერ-
ტაცია. 1933 წლიდან თბილისის უნივერსიტეტის რუსული ლიტერა-
ტურის კათედრის გამგეა. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის
წევრი. ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოდვაწეობასთან
ერთად აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა. 1918 წლიდან
იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და
აქტიური მონაწილე ბოლშევიკური რუსეთის კლანჭებიდან საქარ-
თველოს განთავისუფლებისა.

ს. დანელიას კალამს ეკუთვნის სამეცნიერო შრომები პედაგო-
გიკის, ფილოსოფიის, ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ეთიკის,
ესთეტიკის, სოციოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც
გამოქვეყნებულია ქართულ და რუსულ ენებზე. მათ შორის: „საქარ-
თველოს ეკონომიური ვითარებისათვის“, „ჭეშმარიტების გვარი“,
„პარმენიდეს მეტაფიზიკისათვის“, „ანტიკური ფილოსოფია სოკრა-
ტის წინ“, „ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში“, „ანტი-
კური ფილოსოფია“, „სოკრატის ფილოსოფია“, „გაუაფშაველა და
ქართველი ერი“, „ნარკვევები XIX საუკუნის რუსული ლიტერატუ-
რის ისტორიიდან“ და სხვ. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას.
გარდაიცვალა 1963 წლის 20 მარტს. დაკრძალულია თბილისში, დი-
დუბის მწერალთა და საზოგადო მოდვაწეთა პანთეონში.

პარმენ იონას ძე რურუა (1888-1963 წწ.) - მწერალი, საქართვე-
ლოს მწერალთა კავშირის წევრი (1934 წლიდან). მუშაობდა აჭარის
სახელმწიფო გამომცემლობაში. თანამშრომლობდა ბათუმის და ქუ-
თაისის უურნალ-გაზეთებში. წერდა პ. ოდიშელის ფსევდონიმით.
პირველი წიგნი „ლექსები“ 1927 წელს გამოსცა. ავტორია წიგნებისა:
„მხედრული სიმღერები“ (1945 წ.), „ლექსების კრებული“, „ბუნება და

ბავშვები“ (1937, 1938 წწ.), „კუდაბზიკები“ (1939 წ.), „ნაცარქექია“ (1940 წ.), „ჩვენი თაიგული“ (1941 წ.), „მხატვრული სიმღერები“, „რჩეული ლექსები“, „წვეთები ზღვაში“ (თბ., 1965 წ; ბათ., 1989 წ.), „საბავშვო ლექსები“ (ბათ., 1952 წ.), „რჩეული ნაწერები“ (ბათ., 1948 წ.), „მზედა ყვავილები“ (ბათ., 1944 წ.), „ლექსები“ (ბათ., 1980 წ.) და ა. შ.



პროფესორი სერგი
მაკალათია

სერგი იოსების ძე მაკალათია (1893-

1974 წწ.) - გამოჩენილი ქართველი არქეოლოგი და ეთნოგრაფი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1948 წ.), პროფესორი (1950 წ.), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე¹⁵³; სწავლობდა ბანდისა და სენაკის სკოლებში, თბილისის სასულიერო სემინარიაში, თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე 1921-1935 წწ. მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-მუშაკად. 1926 წლიდან გარდაცვალებამდე შეისწავლიდა საქართველოს ცალკეული რეგიონებისა და ხეობების ისტორიულ ეთნოგრაფიას. მონაწილეობდა მესტიის, გორის, ცაგერის, სტეფანწმინდის, კასპის მუზეუმების დაარსებაში. 1937-1948 წწ. მუშაობდა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორად. მუზეუმი ამჟამად ს. მაკალათიას სახელობისაა. იკვლევდა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნებისა და ნუმიზმატიკის აქტუალურ საკითხებს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ავტორია წიგნებისა: „თუშეთი“ (ტფ., 1933 წ.), „მესხეთ-ჯავახეთი“ (თბ., 1938 წ.), მთის რაჭა“ (თბ., 1930 წ.), „მთიულეთი“ (ტფ., 1930 წ.), „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“ (თბ., 1941 წ.), „ფშავი“ (ტფ., 1934 წ.), „ხევი“ (ტფ., 1934 წ.), „ხევსურეთი“ (ტფ., 1935 წ.) და სხვ. ასევე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევებისა ატენის, ბორჯომის, თემის, კავთურის, ძამის, ფრონის, ლეხურის, ქსნისა და ლიახვის ხეობებზე.

¹⁵³ სწავლობდა ბანდის ორკლასიან სკოლასა და სენაკის სასულიერო სასწავლებელში.

ვასო ბართლომეს ძე პატარაია (1895-1969 წწ.) - მწერალი, დრა-
მატურგი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.
სწავლობდა ბანძის ორკლასიან საეკლესიო-სამასწავლებლო სკო-
ლაში. შემდეგ სწავლა გააგრძელა რუსეთში, დონის ოლქის ქალაქ
ალექსანდროვსკ-გრუშევსკის სასულიერო სემინარიაში, სადაც გა-
უგზავნია მის მასწავლებელს - დეკანოზ ანტონ კეკელიას. ვასო პა-
ტარაიას, ჯერ კიდევ ბავშვს, ფეხსაცმლის უქონლობის გამო, სკო-
ლაში სიარული რომ შეუწყვეტია, ხელმოკლე ოჯახს შეგირდის მი-
ერ მეცადინეობის შეწყვეტის მიზეზის დასადგენად მოღვაწი სწვე-
ვია. ვითარებაში გარკვეულს ფეხსაცმელი შეუძენია ნიჭიერი მოწა-
ფისთვის, ხოლო სკოლის დამთავრების შემდეგ სარეკომენდაციო
წერილით გაუგზავნია რუსეთში და ფულითაც დახმარებია¹⁵⁴. სამ-
შობლოში დაბრუნებული ვ. პატარაია ეწეოდა პედაგოგიურ საქმია-
ნობას. 1918 წელს ჩაირიცხა ახლხლადდაარსებულ თბილისის უნი-
ვერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. პირველი იუმო-
რისტული ლექსი დაბეჭდა გაზეთ „ტრიბუნაში“. ავტორია სატირუ-
ლი ნაწარმოებებისა, სკეჩებისა და ვოდევილებისა. სწავლობდა აკა-
კი ფადავას დრამატულ სტუდიაში. იყო ოპერის თეატრის რეჟისორი
(დადგა ოპერები: „ჯამბაზები“, „აიდა“, „ტრუბადური“), სიმფონიური
ორკესტრის დირექტორი. ვასო პატარაია სანდრო ინაშვილთან ერ-
თად ითვლება ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის დამაარსებ-
ლად. ამ თეატრს წლების მანძილზე ედგა სათავეში. 1939 წლიდან
იყო ქართული ესტრადის ხელმძღვანელი. ერთხანს განაგებდა კოტე
მარჯანიშვილის თეატრის სალიტერატურო ნაწილს. მისი პიესა „უ-
ჩა უჩარდია“ დაიდგა რუსთაველის თეატრში და რესპუბლიკის სხვა
თეატრების სცენებზე. ვ. პატარაიას ეკუთვნის კომედიები: „მელა და
მისი კუდი“, „ჭორი“, „ქალიშვილი ზღვის პირას“, „ის მებახის“,
„ხუმრობას ნუ ეხუმრებით“, პიესა „სანაპიროზე“... დაკრძალულია
დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ბართლომე პავლეს ძე პატარაია (1895-1958 წწ.) - მწერალი, პე-
დაგოგი. 1914 წელს დეკანოზ ანტონ კეკელიას რეკომენდაციით
სწავლა გააგრძელა დონის ოსტოვის სასულიერო სემინარიაში.

¹⁵⁴ იხ. ვ. კეკელია, „უკან პრჩეს კვალი განათლებული...“ გაზ. „მამა ანტონ კეკელია“, მარტი, 2000, გვ. 4.

თავის მასწავლებელს პირადად გაუცილებია დონის როსტოკში მი-
მავალი ყმაწვილი ქალაქ ფოთამდე. - ორთქლის გემზე ასულმა და-
ვინახე, თუ როგორ ტიროდა ნაპირზე დაჩოქილი დეკანოზი და პირ-
ჯვარს მსახავდა. მაშინ ვერ ვხვდებოდი, რა ატირებდა მას, მაგრამ
როსტოკში ჩასვლამდე თავს ათასი ფათერაკი გადამხდა. გზად
მგზავრობისას ფული მომპარეს. გემზე ზღვის ავადმყოფობამ ისე
დამრია ხელი, რომ ფეხზე ვერ ვდგებოდი, მშიერ-მწყურვალი ავად-
მყოფი ნაპირზე ძლივს გადამიყვანეს. აი, მაშინდა მივხვდი ანტონ
დეკანოზის ტირილის მიზეზს - ჩემი ბედი აღელვებდა და დარღობდა
იმაზე, თუ როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება უცხო ცისქვეშ, -
იგონებდა ბართლომე პატარაია. მწერალი 1918 წელს დაბრუნდა სა-
ქართველოში და იმავე წლის 17 ოქტომბერს მუშაობა დაიწყო აბა-
შის რაიონის სოფელ ტყვირის სკოლის გამგედ, სადაც ქართულ
ენასაც ასწავლიდა. 1919 წელს სწავლა დაიწყო თბილისის უნივერ-
სიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე, სიბრძნისმეტყველების გან-
ხრით. მუშაობდა თბილისის პოლიგრაფიულ სკოლაში, ქართული
ენის მასწავლებლად, პედაგოგიურ ტექნიკუმში (1924-1930 წწ.) კო-
რექტორად, თბილისის რკინიგზის ტექნიკუმში ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებლად, თბილისის 26-ე საშუალო სკოლა-
ში, რკინიგზის #1 მოზრდილთა სკოლაში. 1949 წლიდან მუშაობდა
#7 რკინიგზის საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ, 1952
წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო რკინიგზის მუშა ახალგაზ-
რდობის #1 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე. მუშაობდა
აგრეთვე ამიერკავკასიის სკოლების სამმართველოში, უფროს მე-
თოდისტად. 1958 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მას-
წავლებლის წოდება. ლექსების წერა 1919 წელს დაიწყო. ნაწარმოე-
ბებს ბეჭდავდა „მარცხის“ ფსევდონიმით. ლექსების პირველი კრე-
ბული „სისხლი“ გამოსცა 1925 წელს. 1929 წელს გამოაქვეყნა რომა-
ნი „ნონა“, 1941 წელს - „ერეკლე მეორე“. ავტორია აგრეთვე წიგნისა:
„პროექტების მეთოდისათვის“ (ტფ., 1931 წ.). მის პირად არქივში ინა-
ხება გამოუქვეყნებელი ნაწარმოებებიც (რომანი „ადა“, ლექსების
კრებული „სიმღერა“, , პოემა „ასპინძის ომი“, რომანი „ერეკლე მეო-
რე“ - მეორე ნაწილი)...). დაკრძალულია ბანძაში¹⁵⁵.

¹⁵⁵ იხ. იხ. შ. ამინაშვილი, ბართლომე პატარაია. გაზ. „ჭყონდიდი“, #73, 27 ივნისი, 1991, გვ. 2; ვ.
98



შალვა მიხეილის ძე კეკელია (1905-1986 წწ.) - პირველდაწყებითი განათლება ბანძის ორკლასიან სკოლაში მიიღო. 14 წლისა თბილისში წავიდა და ბიძის, ცნობილი ექიმის - ალექსანდრე კეკელიას დახმარებით, სწავლა გააგრძელა თბილისის #2 ვაჟთა საშუალო სკოლაში. 1935 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში (შემდგომში პედაგოგიკური ისტიტუტი), სადაც იღვწოდა სიცოცხლის ბოლომდე. ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში, სხვა

დასხვა დროს, იყო ქართული ენის კათედრის მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, ფაკულტეტის დეკანი, სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგე, კათედრის დოცენტი, პროფესორი, დირექტორის მოად-

გილე სასწავლო-სამეცნიერო დარგში, ინსტიტუტისა და ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. 1947 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1976 წლიდან პროფესორი¹⁵⁶.

ტატო ფადავა - მარტვილის თეატრალური დასის აქტიური წევრი, მხატვარი, მსახიობი)¹⁵⁷; დაკრძალულია ბანძაში.



გარლამ ნიკოლოზის ძე ქაჯაია (1906-1970 წწ.) - ცნობილი პედაგოგი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა ონოღიაში. 1914 წელს სწავლა დაიწყო

პატარაია, ნ. პატარაია, ბართლომე პატარაია. გაზ. „მახარია“, #7, 2001, გვ. 7, 12.

¹⁵⁶ იხ. ი. კეკელია, ნ. ბუღაძე, გულისხმიერი მეცნიერი და მოქალაქე. გაზ. „ეგრისის მაცნე“, #27, 4-11 დეკემბერი, 2006, გვ. 8.

¹⁵⁷ დაკრძალულია ბანძაში, შაურკარის სასაფლაოზე. ტატო ფადავას შესახებ იხ. ვალიუტა ხელაია, „ხომ არ დაგავიწყდით?..“ ც. გაბუნია-დოლონაძე, ტატო ფადავა ჩემს ხსოვნაში; მ. გაბუნია, „ვაი, როგორ გაფრენილა ჩემი ქდალი მიმინო!..“ (ტატო ფადავას ხსოვნის საღამო). სამივე წერილი იხ. გაზ. „ჭყონდიდის ზარი“, #6 (13), 23 ოქტომბერი, 2003.

ბანძის ე. წ. მთლიანი შრომის სკოლაში. 1923 წელს საქართველოს განათლების კომისარიატის მიერ გაცემულ მოწმობაში აღნიშნულია: „მიეცა ესე ბანძის მთლიანი შრომის სკოლის მოწაფეს ვარლამ ნიკოლოზის ძე ქაჯაიას დაბადებულს 1906 წლის 15 დეკემბერს მას შინა, რომ ის სწავლობდა ზემოხსნებულ შრომის სკოლაში 1919 წლიდან 1923 წლის 9 ივნისის თვემდე, როდესაც მან დაამთავრა 8 წლიანი მთლიანი შრომის სრული კურსი და შესწავლილი აქვს შემდეგი საგნები: 1. ქართული ენა და სიტყვიერება; 2. რუსული ენა; 3. გერმანული ენა; 4. ფრანგული ენა - არა აქვს შესწავლილი; 5 არითმეტიკა; 6. გეომეტრია; 7. ბუნების მეტყველება; 8. ფიზიკა; 9. ისტორია; 10. გეოგრაფია; 11. ხატვა-ხაზვა; 12. მუსიკა-გალობა - არა აქვს შესწავლილი; 13. ხელგარჯილობა.

ამის გამო მთლიანი შრომის სკოლის დებულების ძალით ვარლამ ქაჯაიას ენიჭება შემდეგი საფეხურის სკოლაში შესვლის უფლება“¹⁵⁸. 1923 წელს სწავლა გააგრძელა ქუთაისის II პუმანიგარულ ტექნიკუმში, რომელიც 1924 წლიდან გადაკეთდა ქუთაისის II ცხრაწლიან შრომის სკოლად. ეს სკოლა ვარლამ ქაჯაიამ 1925 წელს დაამთავრა. 1926 წელს ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა ოზურგეთის განათლების განყოფილების გამგედ და პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორად. 1934 წლიდან მუშაობას იწყებს თბილისის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად. მოდვაწეობდა საქართველოს სსრ განსახკომსა და უმაღლესი სკოლის სამმართველოს უფროსის მოადგილედ. პარალელურად ლექციებს კითხულობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში. 1938-1952 წლებში პედაგოგიკისა და პედაგოგიკის ისტორიის კურსი მიჰყავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1943-1947 წლებში განაგებდა საქართველოს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმს. 1948 წლიდან მუშაობდა საქართველოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, დირექტორის მოადგილედ. 1949 წლის 26 სექტემბერს დაიცვა დისერტაცია თემაზე:

¹⁵⁸ქუთაისის საქალაქო არქივი, ფონდი 367/379, საქმე 680; ციტირება იხ. ნ. გიორგობიანი, კეთილი ნაკვალევი, თბ., 1986, გვ. 10.

„ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში“. მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ პედაგოგიკურ მეცნიერებაში. ეწეოდა ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ავტორია მონოგრაფიებისა: „ალექსი ჭიჭინაძე“ (1946 წ.), „ნიკო ცხვედაძე“ (1946 წ.), „ივანე გომელაური“ (1947 წ.), „გამოჩენილი ქართველი პედაგოგი შიო ჩიტაძე“ (1948 წ.). 1955 წელს გამოიცა ვ. ქაჯაიას წიგნი „ქართველი პედაგოგები“, ხოლო 1974 წელს გ. სიხარულიძის, ს. სიგუას, დ. ლორთქიფანიძისა და გ. სარიშვილის თანაავტორობით წიგნი - „ქართული პედაგოგიკის ისტორია“. 1990 წელს დაიბეჭდა „მარად ცოცხალი მემკვიდრეობა“. მან ტიტანური შრომა გასწია იაკობ გოგებაშვილის შესწავლისა და მისი შრომების გამოცემისათვის. ვ. ქაჯაიამ შეადგინა, კომენტარები დაურთო და გამოსცა იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ათტომეული (დ. ლორთქიფანიძის თანარედაქტორობით). 1977 წელს ონოღიის საშუალო სკოლას ვარლამ ქაჯაიას სახელი მიენიჭა¹⁵⁹.

ოთარ ბუხუტის ძე დიხამინჯია (1911-1997 წწ.) საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თვითმოქმედი კომპოზიტორი, მომღერალი, ლოტბარი, ექიმი. სწავლობდა ბანდის შვიდწლიან შრომის სკოლაში, სადაც დაამთავრა ოთხი კლასი და V კლასიდან სწავლა გააგრძელა სოხუმის ქართულ საშუალო სკოლაში. მან აღადგინა ძველი ქართული სიმღერები („ალილო“, „სიძე მოდის ნაბდიანი“, „სურამის ციხე“...). განსაკუთრებით პოპულარულია ოთარ დიხამინჯიას შემდეგი სიმღერები: „მერცხალი“, „გახსოვს მერი“, „ჩემთან მოდი“, „სულის ყვავილო“, „თამარს ვაქებდეთ მეფესა“, „გაზაფხული“, „ბულბული“, „ზუბოვკიდან“, „გაუბედავი სიყვარული“, „მიმღერე ტურფავ“, „ჩემო თამარ“, „მაფშალია“, „საღამო თბილისის ზღვაზე“, „ახლოს ხარ“, „მოგიახლოვდი“, „ნაძის ხეო“ და სხვ. მის სიმღერებს მღეროდნენ დები იშხნელები, ჰამლეტ გონაშვილი, ბათუ კრავეიშვილი, ანსამბლები - „თაიგული“, „ჰარმონია“, ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი, თბილისის უნივერსიტეტის გოგონათა ტრიო და სხვ. გამოცემული აქვს სიმღერების ორი კრებული. დაკრძალულია ბანძაში.

გრიგოლ ნიკოს ძე პატარაია (1911-2000 წწ.) - მეცნიერი, პედაგო-

¹⁵⁹ ნ. გიორგობიანი, კეთილი ნაკვალევი, 1986.

გი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი. სწავლობდა ბანბის სკოლაში. შემდეგ სწავლა გააგრძელა სენაკის პედაგოგიურ ტექნიკუმში. სხვადასხვა სკოლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი დაამთავრა 1938 წელს და სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში. იყო II მსოფლიო ომის მონაწილე. მოღვაწეობდა თსუ-ში. ლექციებს კითხულობდა აგრეთვე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში. 1951 წელს დააპატიმრეს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, და ურალში გადაასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნდა 1955 წელს. 1994 წლამდე კითხულობდა ფილოსოფიის კურსს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი. დაკრძალულია თბილისში, დიდმის სასაფლაოზე.

ბორის ეპიფანეს ძე ყურაშვილი (1912-2007 წწ.) - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979 წ.); 1964-1989 წლებში - ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი; 1957 წლიდან - თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტის ზოოლოგიის კათედრის პროფესორი; ჯორჯ სოროსის საერთაშორისო ფონდის პროფესორი; საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და უკრაინის პარაზიტოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრი (1974-, 1984-, 1995); რუსეთის ჰელმინთოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი (1984 წ.).



ვლადიმერ სარდიონის ძე კეკელია ვლადიმერ სარდიონის ძე კეკელია (1916-1980 წწ.), ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახალხო არტისტი, ცნობილი ტენორი. სწავლობდა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, მასწავლებელ ვალერიან ქაშაკაშვილის კლასში, ვოკალის განხრით. მოღვაწეობდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრსა და

ფილარმონიაში. მას ჰქონდა იტალიური ბელკანტო (ლირიულ-დრა-მატული ტენორი), რაც არაერთხელ აღუნიშნავს ქართული საოპერო ხელოვნების მშვენებას - ზურაბ ანჯაფარიძეს, რომელიც თავა-დაც ხშირად სტუმრობდა ბანძას. გამოკვეთილად ცნობილი იყო ვლადიმერ კეკელიას მიერ შესრულებული აბესალომის პარტია, ზა-ქარია ფალიაშვილის ოპერიდან - „დაისი“, მალხაზის პარტია, ფა-ლიაშვილის ოპერიდან - „დაისი“, რადამესის პარტია, ჯუზეპე ვერ-დის ოპერიდან - „აიდა“, მანრიკოს პარტია, ვერდის ოპერიდან - „ტრუბადური“. გ. კეკელია დაკრძალულია თბილისში, მუხათგვერ-დის სასაფლაოზე.




აკადემიკოსი იური კაჭარავა

იური კაჭარავა (1913-1994 წწ.) - ის-ტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პრო-ფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1965 წ.), სა-ქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1988 წ.); 1958 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტო-რიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი. მუშაობ-და XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკუ-რი მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზ-რის ისტორიის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, ეროვნული საკითხის თეორიისა და ისტორიის და ქართული ისტორიოგრაფიის საკითხებზე. ავტორია წიგნებისა: „ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები: დასკვნები და განზოგადებანი“ (თბ., 1966 წ.), „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“ (თბ., 1977 წ.), „ქართული ისტო-რიოგრაფიის აქტუალური პრობლემები“ (თბ., 1986 წ.), „ისტორია და თანამედროვეობა“ (თბ., 1986 წ.) და სხვ.

მელენტი ეპიფანეს ძე ურაშვილი (1917 წ.) - ექიმი-პიგიენისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1940 წელს დაამ-თავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატ-რიული ფაკულტეტი. 1958 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია,

თემაზე: „მეტეოროლოგიური პირობებისა და სასმელი რეჟიმის ჰი-გიენური დახასიათება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში“. სადოქტორო დისერტაციის თემა იყო „ამიერკავკასიის შავი მეტა-ლურგიის საწარმოების ცხელი სამქროების მიკროკლიმატის ჰიგი-ენის ძირითადი საკითხები“ (დაიცვა 1970 წელს). 1971-1973 წწ. მუშა-ობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა კათედრის გამგედ. 1991 წლიდან ამავე კათედრის პროფესორია. არის პროფილაქტიკური მე-დიცინისა და ადამიანის ეკოლოგიის აკადემიის (1997 წ.), საქართვე-ლოს მედიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიისა და ჰიგიენის-ტა სამეცნიერო საზოგადოების წევრი, II მსოფლიო ომის ვეტერან-თა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი... 1982 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება; 1997 წელს დაჯილდოვდა ლირ-სების ორდენით. ავტორია 130 -ზე მეტი ნაშრომისა პროფესიული ჰი-გიენის აქტუალურ საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფი-ები: „უსაფრთხოების წესები შახტებში მომუშავეთათვის“ (1955 წ.), „მეტეოროლოგიური პირობების ჰიგიენური დახასიათება ზესტაფო-ნის ფეროშენადნობთა ქარხანაში“ (1957 წ.), „ჩაისა და ციტრუსების ფუმიგაციაზე მომუშავეთა ციანოვანი შენაერთებით მოწამვლის კლინიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა“ (1966 წ.), „რა უნდა იცო-დეს ცხელი საამქროს მუშამ შრომის ჰიგიენაში“ (1955 წ.), „მეთოდუ-რი სახელმძღვანელო შრომის ჰიგიენაში“ (1989 წ.), „ადამიანის ჯან-საღი სიცოცხლის საიდუმლოებანი“ (თბ., 2001 წ.)¹⁶⁰.

ანტონ (მუცუ) გრიგოლის ძე კეპელია (1921-2005 წწ.) - ცნობილი მათემატიკოსი, ქარ-თული სამეცნიერო ინტელიგენციის დირსეუ-ლი წარმომადგენელი, შესანიშნავი პედაგო-გი, მამა ანტონ კეპელიას შვილიშვილი. სწავ-ლობდა ბანბის საშუალო სკოლაში. 1938 წელს აღნიშნული სკოლა დაამთავრა, რო-გორც ფრიადოსანმა და იმავე წელს ჩაირი-ცხა უგამოცდოდ თბილისის უნივერსიტეტის



¹⁶⁰ ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ სამედიცინო მეცნიერებაში: თანამედროვე ქართველ მე-დიკოსთა ბიოგრაფიული ენციკლოპედია. თბ., 2000, გვ. 302.

ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1949 წელს დაინიშნა აღნიშნული ფაკულტეტის დეპარტამენტის მოადგილედ. 1950 წლიდან იყო თეორიული მექანიკის კათედრის ასისტენტი, 1951 წლიდან ჯერ თსუ დიფერენციალური და ინტეგრალური კათედრის ასისტენტი, შემდეგ - ამავე კათედრის მდივანი. 1968 წლიდან პენსიაზე გასვლამდე (1995 წლის 1 აპრილამდე) მუშაობდა უფროს მასწავლებლად. ასწავლიდა თეორიულ მექანიკას, დიფერენციალური განტოლებებისა და მათემატიკურ ფიზიკას, უმაღლესი მათემატიკის პრაქტიკუმს (გეოფიზიკოსებისათვის), მათემატიკური ფიზიკის კურსს, საღამოს დასწრებულ განყოფილებაზე. ა. კეკელიას სამეცნიერო მუშაობას პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი ლევან (ლეო) მაღნარაძე. მან შეისწავლა სინგულარული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება, კერძოდ, თვითმფრინავის დრეკადი ფრთის განტოლება. ადრე ცნობილი იყო ე. წ. ბრანტლის განტოლება, რომელიც ხისტი ფრთის თეორიის შესწავლას გულისხმობდა. გამოქვეყნებული აქვს ოთხი სამეცნიერო ნაშრომი. დაწერა საკან-დიდატო დისერტაცია, მაგრამ არ დაუცავს¹⁶¹.

ბორის ურიდია (1922-1998 წწ.) - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ავტორია წიგნებისა: „განსაზღვრების თანამედროვე თეორიები“ (თბ., 1972 წ.), „შემეცნების თეორიის პრობლემები ქართულ ფილოსოფიაში“ (თბ., 1975 წ.), „შალვა ნუცუბიძე შემეცნების თეორიისა და ლოგიკის პრობლემების შესახებ“ (თბ., 1976 წ.), „კოტე ბაქრაძე შემეცნების თეორიისა და ლოგიკის პრობლემების შესახებ“ (თბ., 1978 წ.), „განსაზღვრების თეორიის პრობლემები“ (თბ., 1979 წ.), „მოსე გოგიძერიძე - ფილოსოფიური მემკვიდრეობა“ (თბ., 1982 წ.), „სერგი დანელია - ფილოსოფიური მემკვიდრეობა“ (თბ., 1983 წ.), „მეოცე საუკუნის ქართული ფილოსოფიის ისტორია-დან“ (თბ., 1986 წ.), „კატეგორიის თეორიის პრობლემები“ (თბ., 1986 წ.), „შალვა ნუცუბიძე“ (თბ., 1988 წ.), „სერგი დანელია“ (თბ., 1990 წ.), „თეორიები ქართულ ფილოსოფიაში“ (თბ., 1994 წ.) და სხვ.

რაფიელ მიხეილის ძე შამელაშვილი (1922-1994 წწ.), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. წლების მანძილზე

¹⁶¹ იხ. ქ. კეკელია, ლირს მოძღვართა დარი მოძღვარი. გაზ. „ჭყონდიდის ზარი“, #3, 14 აგვისტო-14 სექტემბერი, 2001, გვ. 3; ი. კეკელია, სიკეთითა და სიყვარულით გარემოსილი. გაზ. „ეგრისის მაცნე“, #38, 25-31 დეკემბერი, 2005, გვ. 7.

მოღვაწეობდა ქუთაისისა და ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტებში. 1970 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1972 წლიდან მუშაობა გააგრძელა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის დოცენტად, 1973 წლიდან კი – პროფესორად 1994 წლამდე (გარდაცვალებამდე).

პროფ. რ. შამელაშვილი 1982 წელს დაჯილდოვდა მედლით „შრომის ვეტერანი“, იყო სსრკ უმაღლესი სკოლის წარჩინებული მუშაკი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის ა. ს. პუშკინის (შემდეგ ს.-ს. ორბელიანის) სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპეციალიზებული სამეცნიერო (სადისერტაციო) საბჭოს წევრი, საქართველოს უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებული მეთოდური საბჭოს წევრი.

პროფ. რ. შამელაშვილმა სიცოცხლის ბოლო წუთამდე უერთგულა მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელს. 1994 წლის 8 ივნისს, გამოცდის ჩატარებისას, იგრძნო თავი ცუდად და იმავე დღეს გარდაიცვალა. დაკრძალულია ქუთაისში, საფიჩხიის ებრაელთა სასაფლაოზე.

პროფ. რ. შამელაშვილი ნაყოფიერი მოღვაწე იყო. იკვლევდა ქართული ენის სწავლების მეთოდიკას, ქართული ენის ლექსიკას, ლექსიკოლოგიას, მწერლის ენას (შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ლეო ქიაჩელის, შალვა დადიანის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანისა და სხვათა ენასა და სტილს), მეტყველების კულტურის, დიალექტოლოგიის, ტერმინოლოგიისა და ონომასტიკის საკითხებს, ქართულ-ებრაულ ლიტერატურულ და ენობრივ ურთიერთობებს და სხვ.

გამოქვეყნებული ჰქონდა 19 წიგნი, თანასახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიები, სამეცნიერო-პოპულარული გამოკვლევები, 1500-მდე საჟურნალო და საგაზეთო სტატია თუ რეცენზია. დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ქუთაისისა და საქართველოს კულტურული ცხოვრების სიახლეებსაც. ის აქვეყნებდა სტატიებს ჟურნალებში: „ცისკარი“, „განთიადი“, „სკოლა და ცხოვრება“, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, „უცხოური ენები სკოლაში“, „რიწა“, „ფილიურაგი“, „ჭოროხი“, „დროშა“, „კრიტიკა“, „საქართველოს ქალი“,

„საქართველოს ბუნება“, ალმანახი „მნათობი“, „პარტიული სიტყვა“, „Литературная Грузия“, „Русский язык в национальной школе“, „Русский язык в грузинской школе“, „Вопросы языковедения“ და ა. შ. იუმ საქართველოს თითქმის ყველა იმდროინდელი გაზეთის აქტიური კორესპონდენტი („ქუთაისი“, „ლიტერატურული საქართველო“, „თბილისი“, „სახალხო განათლება“, „სოფლის ცხოვრება“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და სხვ.).

ავტორია წიგნებისა: „განკურძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდიკა“ (თბ., 1958 წ.), „აკაკი წერეთლის ენის შესწავლა სკოლაში“ (თბ., 1962 წ.), „თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა“ (ოთხ ნაკვეთად, 1972, 1974, 1978, 1988 წწ.), „ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი“ (თბ., 1975 წ.), „გეონისტებისნის“ ენის საკითხები“ (თბ., 1977 წ.), „არ გავცვლი სალსა კლდეებსა...“ (თბ., 1983 წ.), „მეტყველების კულტურის ზოგიერთი საკითხი“ (თბ., 1988 წ.), „მეთოდური მითითებანი ქართულ ენაში (სახელმწიფო გამოცდებისათვის)“ (თბ., 1984 წ.), „მეტყველების განვითარების საკითხები რვაწლიან სკოლაში“ (თბ., 1986 წ.) და სხვ. გამოუქვეყნებელი დარჩა „საენათმეცნიერო ცნობარი“ (ქართველ, რუს და უცხოელ ენათმეცნიერთა ენციკლოპედია-ბიობიბლიოგრაფია), სხვა საინტერესო ნაშრომები: „ქართული ენის მეთოდიკის სწავლების საკითხები“, „ენათმეცნიერების შესავლის საკითხები“, „სადიპლომო ნაშრომები თანამედროვე ქართულ ენაში“.

ოთარ მიხეილის ძე ქაჯაია (1923-2018 წწ.) - ქართველი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი. 1929-1939 წლებში სწავლობდა ბანძის საშუალო სკოლაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა: ენათმეცნიერების ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად, დოცენტად, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგედ, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დაკანად (1972-1975 წწ.), პრორექტორად სასწავლო დარგში (1975-1984 წწ.), პრორექტორად სამეცნიერო მუშაობის დარგში (1984 წლიდან). 1954 წლის აპრილში დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო

ხარისხის მოსაპოვებლად. 1961 წლიდან იყო დოცენტი, 2006 წლიდან - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. ავტორია „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ ოთხტომეულისა. 2001 წელს პაინც ფენისთან ერთად გამოსცა „Mingrelisch-Georgisches Wörterbuch“, ხოლო 2013 წელს - ცნობილ ქართველოლოგთან, გიორგი კლიმოვთან ერთად - „მეგრულ-რუსულ-ქართული ლექსიკონი“¹⁶².

დავით გიორგის ძე გაბუნია (1923 წ.) - პოეტი. 1993 წლამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სოხუმში, შემდეგ ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში. 1997 წლიდან ქალაქ მოსკოვშია. ავტორია წიგნებისა: „იალქანი ქარში“, „მთვარის ხეივანი“, „ასე ირხევა სიმი ყოველი“, „როცა ხეები ჩამოთოვს ფოთოლს“, „ლურჯი მდინარე“, „სიჩუმის აფრები“, „სიშორის ნათელი“, „გაზაფხულის საგალობელი“, „ზარები ნიუარებში“, „ფოთოლცვენის ლანდები“.

ბონდონ ნიკოლოზის ძე კარტოზია (1924-1999 წწ.) - ქართველი ფილოსოფოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ-უის პროფესორი (1992 წ.). ავტორია წიგნებისა: „კლასობრივი ბრძოლის ლენიმური თეორია და თანამედროვეობა“ (თბ., 1969 წ.), „დიმიტრი უზნაძის სოციოლოგიური შეხედულებანი“ (1910-1920 წწ.) (თბ., 1980 წ.), „სერგი დანელია“ (თბ., 1970 წ.), „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ქართული ფილოსოფიური აზრი“ (თბ., 1971 წ.), „ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან“ (თბ., 1977; 1986 წწ.), „სერგი დანელიას ეროვნული მრწამსი“ (თბ., 2008 წ., თანაავტორი იგორ კეკელია), „ერი და ეროვნული მოძრაობა“ (თბ., 2011 წ., თანაავტორი იგორ კეკელია) და სხვ. დაკრძალულია ბანძაში.

აბელ პატარაია - ცნობილი უურნალისტი და პედაგოგი. დაიბადა 1924 წელს, სოფელ ბანძაში. 1948 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის“ ლიტმუშაკად, ქუთაისის საოლქო გაზეთ „სტალინელის“ კორესპონდენტად, გაზეთ „კომუნისტის“ საკურარ კორესპონდენტად სენაკისა და მარტვილის რაიონებში. 1958 წლიდან აბელის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ მუშა-

¹⁶² იხ. ნ. ბუღაძე, ქ. ჩაკვეტაძე, ი. კეკელია, გზა განვლილი და გზა გასავლელი. გაზ. „ჭყონდიდის ზარი“, #3, 26 მაისი, 2003, გვ. 3; ზ. ჭუმბურიძე, ოთარ ქაჯაია - 80. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, #7, 2003, გვ. 58-62; დვაწლმოსილი მეცნიერი ოთარ ქაჯაია. ჟურნ. „აია“, #18, 2014, გვ. 36-51.

ობდა, ხოლო 1959 წლიდან გარდაცვალებამდე - მუხურჩის საშუალო სკოლის დირექტორად

გიორგი მიხეილის ძე ხუხაშვილი (1925-2004 წწ.) - დრამატურგი, კრიტიკოსი, პოეტი, ქართული მწერლობისა და კულტურის მუხლაუხერელი მსახური. დამთავრა ბანძის საშუალო სკოლა, 1947 წელს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა შურნალების - „ნიანგისა“ და „ცისკრის“ რედაქციებში, თბილისის სახელმწიფო გამომცემლობაში, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირში, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. იყო კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროსი რედაქტორი, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის უფროსი რედაქტორი, კინოსტუდიის დრამატურგთა გაერთიანების წევრი, თეატრალური საზოგადოების დრამატურგიისა და სოციოლოგიის კაბინეტის გამგე... პირველი ლექსი 1945 წელს გამოაქვეყნდა, პირველი წიგნი - 1956 წელს. გ. ხუხაშვილი იყო საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი (1965 წ.). 1988 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება; 1996 წელს დაჯილდოვდა ლირსების ორდენით. ავტორია რამდენიმე ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების კრებულისა: „მწერალი და ცხოვრება“, „ლიტერატურული წერილები“ (თბ., 1970 წ.), „დრო და თანამედროვენი“... გიორგი ხუხაშვილის პიესები შესულია მისივე კრებულებში: „ზღვის შვილები“, „დღიურები ჩემი ქალაქიდან, „ოთხი პიესა“, „ოცი წლის შემდეგ, ანუ ცხრა მორალი ადამიანურ სინდისზე“, „პიესები“ (თბ., 1975 წ.). მისი პიესისათვის - „მთაწმინდის მთვარე“ კომპოზიტორმა გიორგი ცაბაძემ დაწერა სიმღერა გ. ხუხაშვილისავე ლექსზე - „სიმღერა თბილისზე“. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თბილისის თემას. თბილისისადმი მიძღვნილი პიესები სხვადასხვა დროს დაიდგა დედაქალაქის თეატრებში. ასევე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ წარმატებით იდგმებოდა მისი პიესები: „ცხოვრება კაცისა“, „მოსამართლე“, „ამბავი წუთისოფლისა, ომისა და ჯარისკაც ჭიპილიასი“, „მთაწმინდის



გიორგი ხუხაშვილი

ფილმში“. იყო კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროსი რედაქტორი, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის უფროსი რედაქტორი, კინოსტუდიის დრამატურგთა გაერთიანების წევრი, თეატრალური საზოგადოების დრამატურგიისა და სოციოლოგიის კაბინეტის გამგე... პირველი ლექსი 1945 წელს გამოაქვეყნდა, პირველი წიგნი - 1956 წელს. გ. ხუხაშვილი იყო საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი (1965 წ.). 1988 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება; 1996 წელს დაჯილდოვდა ლირსების ორდენით. ავტორია რამდენიმე ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების კრებულისა: „მწერალი და ცხოვრება“, „ლიტერატურული წერილები“ (თბ., 1970 წ.), „დრო და თანამედროვენი“... გიორგი ხუხაშვილის პიესები შესულია მისივე კრებულებში: „ზღვის შვილები“, „დღიურები ჩემი ქალაქიდან, „ოთხი პიესა“, „ოცი წლის შემდეგ, ანუ ცხრა მორალი ადამიანურ სინდისზე“, „პიესები“ (თბ., 1975 წ.). მისი პიესისათვის - „მთაწმინდის მთვარე“ კომპოზიტორმა გიორგი ცაბაძემ დაწერა სიმღერა გ. ხუხაშვილისავე ლექსზე - „სიმღერა თბილისზე“. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თბილისის თემას. თბილისისადმი მიძღვნილი პიესები სხვადასხვა დროს დაიდგა დედაქალაქის თეატრებში. ასევე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ წარმატებით იდგმებოდა მისი პიესები: „ცხოვრება კაცისა“, „მოსამართლე“, „ამბავი წუთისოფლისა, ომისა და ჯარისკაც ჭიპილიასი“, „მთაწმინდის

მთვარე“, „მიდიოდნენ ჯარისკაცები უდელტეხილზე“, „დედა, მამა და შვილები“, „დაბრუნება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, „დაბრუნება ნიკო ფიროსმანისა“; აგრეთვე ინსცენირებები: ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალნი“, ლეო ქიაჩელის „პაკი აძბა“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“... მისი კინოსცენარების მიხედვით შექმნილია სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმები: „ზღვის შვილები“, „მოლოდინი“, „მთვარის მოტაცება“, „ნოდარ დუმბაძე“, „გრიგოლ აბაშიძე“... ავტორია წიგნებისა: „ცხოვრება კაცისა“ (სახალხო დრამა, თბ., 1970 წ.), „ლურჯი ფანჯრები“ (პოემა; თბ., 1980 წ.), „ბიბლიური მოტივები“ (თბ., 1992 წ.), „სონეტები. ქებათა ქება იერუსალიმს. ავტოპორტრეტი. დღიურები“ (თბ., 1998 წ.), „მთების სიმღერა“, „მშვიდობის სიმღერა“, „ფიქრები ხმამაღლა“, „მომღერალი ბიჭი“...


ემელიან კაპიტონის ძე ქურდიანი (1927-1970 წწ.) - პოეტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. პირველი ლექსი თვრამეტი წლისამ დაბეჭდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“, ხოლო პირველი წიგნი, ლექსთა კრებული „ვარდობისთვე“ 1949 წელს გამოსცა. ავტორია პოეტური კრებულებისა: „სიცოცხლის გადარჩენა“ (1953 წ.), „მანანას წიგნი“ (1957 წ.), „თბილისური“ (1959 წ.), „როცა გიგონებ“ (1960 წ.), „დედა გაუხარებია“ (1965 წ.), „ლექსები“ (1967; 1992 წწ.), „გულთაქება“ (1975 წ.).¹⁶³ მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე წიგნები: „დახურული ხვრელებიდან მცირე მენჯის ღრუზე ოპერაციული მიდგომა და ანესთეზია“ (თბ., 1957 წ.), „ეგნატე ფიფია“ (1964 წ.).

ნათელა ტერენტის ასული ხურცილავა (1931-2010 წწ.) - ფილოსოფოსი. 1949 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ბანდის საშუალო სკოლა. სწავლობდა თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტზე. მოღვაწეობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრაზე; საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში კითხულობდა ფილოსოფიის კურსს.

ჯუდუ ბართლომეს ძე პატარაია (1931-1995 წწ.) - სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. მუშაობდა საგარეჯოს რაიონის სოფელ შრომის

¹⁶³ იხ. ი. კეკელია, „ლექსს მივუწერე დრო დაბადების, გარდაცვალების - მე არ მეხება...“ ემელიან (ოთარ) ქურდიანის დაბადების 80 წლისთვის აღსანიშნავად. გაზ. „მარტვილი“, #12, დეკემბერი, 2007, გვ. 4.

სკოლის დირექტორად. 30 წელი მოღვაწეობდა თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. დაიცვა დისერტაცია. იყო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის დოცენტი.



ნოდარ წულეისკირი

ნოდარ ალექსანდრეს ძე წულეისკირი (1932-2015 წწ.) - მწერალი. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1956 წლიდან. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში უფროს რედაქტორად, ჟურნალ „დილას“ პასუხიმგებელ მდივნად, „ცისკრის“, „მნათობის“ განყოფილების გამგედ, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ რედაქტორად, საქართველოს რეაპუბლიკის კულტურის მინისტრად (1990 წ.), საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორად, წერაქვის საჯარო სკოლის დირექტორად, ქართული ენისა და ლიტერატურის

მასწავლებლად. 1990-1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფო ებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ავტორია წიგნებისა: „მტკვრის პირას გათეთრებული კაცები“ (მხატვრული ნარკვევების კრებული), „თეთრი მთა“ (მოთხოვები; თბ., 1964 წ.), „შეჩვევა“ (მოთხოვები, თბ., 1967 წ.), „ორი უძილო დამე“ (თბ., 1967 წ.), „თუთარჩელა“ (რომანი, თბ., 1971 წ.), „რომანი და მოთხოვები“ (თბ., 1973 წ.), „მუხა, ვაზი და საქონელი“ (მხატვრული ნარკვევი; თბ., 1974 წ.), „ზესნახე“ (თბ., 1976 წ.), „სისატურა“ (მოთხოვები, ნოველები; თბ., 1983 წ.), „წიაქას და თავხანხალას საკვირველი ამბავი“ (თბ., 1984 წ.), „ზესნახესადა ბუბურიას სიყვარულის ამბავი“ (რომანი, თბ., 1985 წ.), „მთისა და ბარისა“ (წერილები და ნარკვევები; თბ., 1987 წ.), „მურიკელა ღრრრ“ (მოთხოვები, თბ., 1987 წ.), „ძველი სამრეკლო“ (მოთხოვები, რომანი; თბ., 1987 წ.), „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ (ისტორიული მოთხოვება; თბ., 1988 წ.), „დავით აღმაშენებლის ქვა“ (მოთხოვები და რომანი; თბ., 1990 წ.), „ბრძოლა სატანასთან“ (წერილები,

სიტყვები, პოლემიკა; თბ., 1990 წ.), „აფთრები“ (რომანი; თბ., 1995 წ.), „ოცი წელი წერაქვში“ (ჩანაწერები; თბ., 2013 წ.).

ჯანსუდ იოსების ძე კეკელია (1935-2013 წწ.) - გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1996 წ.). მუშაობდა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეომორფოლოგიის კათედრის ტექნიკოს-კარტოგრაფად. 1971 წელს დაიცვა გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დიერტაცია, თემაზე: „აღმოსავლეთ-ცენტრალური ეკონომიკური რაიონის მოსახლეობისა და განსახლების ეკონომიკურ-გეოგრაფიული ანალიზი რაიონული დაგეგმარების მიზნებისათვის“, ხოლო 1995 წელს სადოქტორო დისერტაცია, თემაზე - „კარტოსემიოტიკა“. 1973 წლიდან კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრის დოცენტია. 1976-1977 წწ. იყო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. 1996 წლიდან მუშაობდა აგრეთვე ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში კარტოგრაფიისა და აეროკოსმოსური კვლევების მეთოდების განყოფილების გამგედ. ავტორია 160 სამეცნიერო ნაშრომისა კარტოგრაფიულ ნიშანთა ზოგადი თეორიის (კარტოსემიოტიკის), კარტოგრაფიის ენის ცნებობრივ-ტერმინოლოგიური სისტემისა და სხვა საკითხებზე. კითხულობდა ლექციებს გეოდეზიაში, მათემატიკურ კარტოგრაფიაში, კარტომეტრიაში. იყო მისი თაოსნობით შექმნილი საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის წევრი. იგი წლების მანძილზე იყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრების სადელიმიტაციო კომისიის აქტიური წევრი. 2000 წელს პანვერის უნივერსიტეტმა ჯანსუდ კეკელია დააჯილდოვა სიგელით, როგორც წარმატებული მეცნიერ-კარტოგრაფი. პროფესორი ჯ. კეკელია საერთაშორისო კარტოგრაფიულმა ასოციაციამ მსოფლიოს პირველ ხუთეულში შეიყვანა „კარტოსემიოტიკის“ მიმართულებით. ავტორია წიგნებისა: „კარტომეტრია“ (თბ., 1985 წ.), „საქართველოს ტერიტორია და საზღვრები“ (თბ., 1996 წ.) „კარტოსემიოტიკა“ (თბ., 1998 წ.), „მათემატიკური კარტოგრაფიის ზოგადი კურსი“ (თბ., 2004 წ.), „გეოგრაფია. მე-6 კლასი“ (სახელმძღვანელო) (თბ., 2004 წ.), „დრო და კალენდარი“ 9თბ., 2007 წ.), „საქართველოს საზღვრები“ (თბ., 2009 წ.) და სხვ.

ვარლამ ლეონტის ძე კეკელია (1936-2013 წწ.), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, პროზაიკოსი. ავტორია

რომანისა - „ამაღლებამდე“ (თბ., 1998 წ.).

ზურაბ თარასხანის ძე ზედანია (1937 წ.) - ექიმი-თერაპევტი, მე-დიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თერაპიული საზოგადოების წევრი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, 1961 წელს. ამავე წელს მუშაობდა გაგრის რაიონულ საავადმყოფოში ექიმ-პედიატრად; 1964-1970 წწ. იყო თბილისის #1 საავადმყოფოს ბავშვთა თერაპიული განყოფილების მორიგე ექიმი; 1970-1989 წწ. - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრის ასისტენტი; 1989 წლიდან კათედრის დოცენტია. გა-მოქვეყნებული აქვს 35 სამეცნიერო ნაშრომი. საკანდიდატო დისერ-ტაცია დაიცვა თემაზე: „დვიძლის ცილოვანი ცვლის მოშლილობი-სას სისხლის შრატისა და შარდის ცილების საექტრის შესწავ-ლა“¹⁶⁴.

ელგუჯა რაჟდენის ძე ქუთელია (1941 წ.) - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მამა - რაჟდენ ქუთელია ის-ტორიას, დედა - ანგონინა (ტონია) ბიოლოგიას ასწავლიდა ბანბის საშუალო სკოლაში. 1970 წელს მოსკოვში წარმატებით დაიცვა სა-კანდიდატო, ხოლო 1988 წელს უკრაინაში - სადოქტორო დისერტა-ციები. 1989 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. ავტორია 200-ზე მე-ტი სამეცნიერო ნაშრომისა. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართვე-ლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად ტექნიკური უნივერსი-ტეტის) ზოგადი ფიზიკის კათედრაზე, ლაბორანტად, კათედრასთან არსებულ რადიოქიმიურ პრობლემურ ლაბორატორიაში, უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1972 წლიდან საინჟინრო-ფიზიკური ფა-კულტეტის მყარი ტანის ფიზიკის და ელექტრონიკის კათედრის დო-ცენტრია. ელგუჯა ქუთელია ელექტრონული მიკროსკოპიის მეთო-დების გამოყენების პიონერი და დიფრაქტიული ექსპერიმენტის უბადლო სპეციალისტია საქართველოში.

მურთაზ კალისტრატეს ძე ხურცილავა (1943 წ.) - ფეხბურთის ლეგენდა. დაიბადა ბანბაში. სწავლობდა ბანბის საშუალო სკოლა-ში. შემდეგ სწავლა გააგრძელა აბედათის საშუალო სკოლაში. თა-

¹⁶⁴ ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ სამედიცინო მეცნიერებაში: თანამედროვე ქართველ მე-დიკოსთა ბიოგრაფიული ენციკლოპედია. თბ., 2000, გვ. 109.



მურთაზ ხურცილავა

მაშობდა მცველის პოზიციაზე. იცავდა თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოს“ და საბჭოთა კავშირის ეროვნული ნაკრების ღირსებას. 1972 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონია საბჭოთა კავშირის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. 1966 წელს მონაწილეობდა ინგლისის, 1970 წელს - მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატებში. არის ევროპის ჩემპიონატის (1972 წ.) ვერცხლისა და XX ოლიმპიური თამაშების (1972 წ.) ბრინჯაოს მედლის მფლობელი, სსრკ ნაკრების კაპიტანი (1972-1973 წწ.). თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში ჩატარებული აქვს 292 მატჩი, სსრკ ნაკრებში - 70. 1969 წელს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. არის ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი; არის აგრეთვე ღირსების ორდენის კავალერი. ათჯერ იყო დასახელებული საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში, აქედან შვიდჯერ - პირველ ნომრად. 2013 წელს მიიღო სპორტის რაინდის წოდება. ითვლება ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ფეხბურთელად, ერთ-ერთ საუკეთესო სტოპერად. 2003 წლის ნოემბერში მურთაზ ხურცილავა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს „ოქროს ფეხბურთელად“, როგორც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ქვეყნის ყველაზე გამოჩენილი ფეხბურთელი.

შორენა აკაკის ასული კეკელია (1944 წ.) – 1961 წელს დაამთავრა ბანდის საშუალო სკოლა. სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტზე. 1971 წელს ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია (ხელმძღვანელი პროფ. დიმიტრი ერისთავი). გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

ზურაბ გაბუნია (1948 წ.) - მხატვარი. სწავლობდა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელსა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, ფერწერის ფაკულტეტზე. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1976-), საქართველოს

მხატვართა კავშირის თანათავმჯდომარე (2007-2012 წწ.), ასოციაცია „ფიროსმანის“ საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე. არაერთი საერთაშორისო გამოფენის მონაწილეა მოსკოვში, მიუნხენში, ვერონაში, თეირანში, ნიუ-იორკსა და ლოს-ანჟელესში. 1991 წელს ტალინში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა. 1996 წელს მონაწილეობდა დიუონში, ბურბონების სასახლეში გამართულ გამოფენაში. გასული საუკუნის 90-იან წლებში ზ. გაბუნიამ ბერძნული მითოლოგის სიუჟეტებით მოხატა თბილისის კლასიკური გიმნაზიის ისტორიული დარბაზი. ხელმძღვანელობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის მუზეუმს. არაერთი კონკურსის გამარჯვებულია.

ეს სია, რა თქმა უნდა, სრული არ არის. ბანბის საჯარო სკოლის ასეულობით წარჩინებულმა კურსდამთავრებულებმა – მეცნიერებმა, მწერლებმა, მასწავლებლებმა, ექიმებმა, ინჟინრებმა, აგრონომებმა, ხელოვნებისა და სპორტის მოდვაწეებმა ნიჭით, შრომისმოყვარეობითა და ქვეყნის ერთგული მსახურებით გამოიჩინეს თავი.

მშობლებად, ბებია-ბაბუებად ქცეულ მოწაფეებსა და მშობლიურ სკოლას შორის გაბმულ სიყვარულის უხილავ ძაფს დროის დინება ვერაფერს აკლებს...

ბოლოთში ნაცვლად

ღირსი და ღმერთშემოსილი მამა ანტონი დიდი (250-356 წწ.) გვასწავლის: მხოლოდ ერთი რამ არ ძალუბს ადამიანს - რომ სიკვდილი აიცილოს თავიდან, უკვდავი იყოს ამქვეყნად თავის სხეულში. ღმერთთან ზიარება მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი გულისხმაყოფს, როგორ და რა გზით არის შესაძლებელი ამის მიღწევა. დიდი სურვილის შემთხვევაში, თუკი გულისხმისყოფასაც შეიძენს რწმენითა და სიყვარულით, მაშინ ადამიანს შეუძლია ღმერთის თანამოსაუბრე გახდეს.

დრო-ჟამის დინების კვალი ატყვია ჩვენს გარშემო საგნებს, მოვლენებს... დროთა ვითარებაში ბზარი უჩნდება მკვიდრად ნაგები შენობის კედელს. საძირკველი, როგორც მთლიანი შენობის საყრდენი ნაწილი, შეიძლება დაიშალოს... დროის განუწყვეტელი, მედინი დინება წალეკავს ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას... მაგრამ თანაარსებობს მარადისობაც, როგორც დრო-ჟამის დაუსრულებელი, დაუბოლოებელი დინება... „ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს, და ქუეყანა უკუნისამდე ჰგიეს“ („ძველი აღთქმა“, ეკლესიას-ტე)...

165 წელი გვაშორებს მამა ანტონ კეკელიას დაბადებიდან, ერთი საუკუნე - გარდაცვალებიდან... მოძღვრის დრო-ჟამის ასპარეზმა გაუძლო თავად დროს, როგორც ყოფიერების არსეს... დიდნი საქმენი მისნი ჰგიეს დღემდე უცვალებლად...

გაცრეცილ ფოტოებზე აღბეჭდილა დრო-ჟამის საზღვრებს გადაცილებული, ამქვეყნიური ცოდვა-მადლის გამრჩევი მზერა ილიას ჯარისკაცისა.


მშობელი ქვეყნის უკვდავ-უბერებელ მეციხოვნეს სრული უფლება ჰქონდა, სიცოცხლეშივე, ერისა და ქვეყნის გასაგონად ეთქვა:

-მე უკვე შევსვი უკვდავების წყაროს წყალი, ქართველებო, ალავერდს თქვენთანა ვარო.

მოძღვრის ბიოგრაფიას კარგად ასახავს ეს მცირე ზომის წიგნი, როგორც წარსულის – უკვე ჩავლილისა და განცდილის, ერთგვარი გახსენება, აწმყოში სიფხიზლისათვის.

ანტონ კეკელია კრისტალური სიწმინდით, ერთგულად ემსახურებოდა ადამიანის სულის თვისებების გადარჩენისა და სიწმინდის

დამკვიდრების ურთულეს საქმეს. ცხოვრების მიზანდასახულობად ამაზე ფიქრი მიაჩნდა და გარდაცვალებამდე ტანჯავდა. 1920 წლის 12 ივლისს ჩუმად, უხმაუროდ გაეცალა წუთისოფელს... მაშინ სულ რაღაც 65 წლისა იყო.



გაზ. „ერთობა“, №158, 16 ივლისი, 1920 წ.

ნიშნავს: „მისი მოღვაწეობა უდავოდ იმსახურებს იმას, რომ ქართველმა მკითხველმა, თუნდაც დიდი დაგვიანებით, გაიხსენოს იგი, ხოლო მისი ნამოღვაწარი გააცნობიეროს, როგორც მშობლიური კულტურის ისტორიის მცირე ნაწილი“. ანტონ კეკელიას ნამოღვაწარს გზა-კვალი არ დაუკარგავს... თუმცა, ურიგო არ იქნებოდა, ჩვენს თაობას თავისი მადლიერება მისი სახელის უკვდავყოფით და-ედასტურებინაო, -- დანანებით დაწერს მკვლევარი.

ურიგო არ იქნებოდაო...

მოძღვრის გარდაცვალებიდან საუკუნის შემდეგაც დედო-ზარივით ზრიალებს ეს სიტყვები.

და ვდგავარ ახლა მშვითვარე, სხივნათელი და სევდიანი ქორონიკონებით აღსავსე ბანდის საჯარო სკოლის შენობის წინ და ვფიქრობ - რა იქნებოდა, რომ ეს სკოლა ატარებდეს იმ კეთილშობილი და თავდადებული მოღვაწის სახელს, ვინც 130 წლის წინ დიდი რუდუნებით, გატაცებითა და სიყვარულით აფუძნებდა აქ განათლე-

საბედნიეროდ, დროისა და გემოვნების დისტანციუ-რობის წყალობით უფრო მე-ტად შევიგრძნობთ აუმ-დვრეველი სინათლის იმ ნა-კადს, რაც ასე უხვად მოედი-ნება ლირსეული მამულიშ-ვილის „მადლით, მადლით სავსე, ჩაფიქრებული თვა-ლებიდან“ (ილია).

ცნობილი ლიტერატუ-რაომცოდნე და პედაგოგი ვახტანგ როდონაია (1938-2012 წწ.) მამა ანტონის ცხოვრების გზისადმი მიძლ-ვნილ ვრცელ წერილში აღ-

ბის კერას, მეუღლის მზითვის ფულით თხრიდა ამ შენობისთვის საბალავრო მიწას...

რა იქნებოდა, სკოლაში შესული პატარა გოგონები და ბიჭები თავაწეულნი კითხულობდნენ შენობის წინკარში, მარმარილოს დაფაზე ამოკვეთილ წარწერას: „ამ სკოლაში თაობებს ასწავლიდა და ადამიანებად ზრდიდა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, დეკანოზი ანტონ კეკელია“.

რა იქნებოდა, ამ სოფელში ერთი პატარა, გარეგნულ ბრწყინვალებას და ხმაურს მოკლებული ქუჩა ატარებდეს ანტონ კეკელიას სახელს...

აკი ამ ოცდაათიოდე წლის წინ კიდეც შეგვახსენებდა თავადაც დირსეული პედაგოგი - ურიგო არ იქნებოდაო...

ნათელში რჩება საქმე თავდადებული მოღვაწისა, რომლის მიერ აღზრდილმა ქართველებმა და არა მხოლოდ ქართველებმა, წარუშლელი კვალი დატოვეს საქართველოს ისტორიაში.

იგორ კეკელია
12-22 აგვისტო, 2020 წ.



„ძმაო ანტონ! ბოდიშს ვიხდი, რომ ყაზბეგის მიღება ასე დაგიგვიანე, მაგრამ სულ ჩემი ბრალიც არ არის. ჯერ ერთი, მეყდემ დააგვიანა დაპირებულ ვადაზე, მეორეთ, როინაშვილმაც სურათის მოცემა ამ დროისათვის არ ინება, მაგრამ, რაც უნდა იყოს, დაგვიანდა...

წარსულ კვირას სასწავლებელში წაველ ნადიას სანახავად. მისვლა გვიან მომიხდა. გამოკითხვა ვერაფრის ვერ მოვასწარ. მხოლოდ „ჯეჯილის“ უკანასკნელი ნომერი გადავეცი და პირობა მივეც,

მომავალ კვირას გნახავ მეთქი.

გუშინ უქმე იყო და დროზე წავედი, მორიგ ქალმა მკითხა, თქვენი ნათესავი ხომ არ არისო? - ჰო მეთქი. - მაშ ვერ გაჩვენებთო. - ბიჭოს, თუ ნათესავია, მით უფრო უნდა მაჩვენოთ მეთქი. უცხო რომ ვიყო, ვალდებული ხართ არც კი შამომიშვათ მეთქი. როგორც იყო გამოიხმო. გამოვკითხე სასწავლებლის ყოფა-ცხოვრებაზე. ჯერჯერობით კმაყოფილი ვარო, კარგადაც ვსწავლობო. „ჯეჯილის“ ლექსები ყველა წავიკითხეო, შინაარსიც მითხრა, მოთხოვობები დამრჩაო და იმასაც სადაც არის გავათავებო. ერთი პატარა წიგნიც მივეცი, რომელსაც იქავე, ლაპარაკის დროს, სულმა ვერ მოუთმინა და, ჩვეულებისამებრ, კითხვა დაუწყო. 20-ოდე წუთი დავრჩი. ვკითხე ანტონთან ხო არას დამაბარებ მეთქი. სასწავლებლის მგალობელთა დასში მიმიღესო. მეორეჯერ როცა მოხვიდეთ, ფოსტის ქაღალდი მომიტანეთ და წერილს ანტონს მე მივსწერო. სიამოვნებით მეთქი, გამოვემშვიდობე და წამოველ. ამ თვის გასულს ანტონი აქ უნდა ჩამოვიდეს, ბოლოს მითხრა; არ ვიცი, რამდენად მართალია, თუ ჩამოხვალ, ქალაქი დიდია, შენს გამასპინძლებას ავუვალთ.

სხვა, მე კარგად ვარ, რასაც შენ გისურვებ სულით და გულით.

ამ მოკლე ხანში ერთ მშვენიერ მოთხოვობას ვბეჭდავთ, სახე-

ლად „ბნელო“. „ივერიაში“ იბეჭდებოდა, თუ გახსოვს. მღვდლის ნაწარმოებია. ვერა ხედამ, წინანდელი ჩვენი მღვდლების აღდგენის ქვეყნის სასარგებლოდ მოღვაწეობისათვის ხანა დადგა... დმერთმა ქნას...

სხვების არა ვიცი, და ეს ავტორი კი დიდ იმედებს იძლევა. აი თვითონაც ნახამ.

მეორე გამომასლაათებამდე! მარად შენი თედო სახოკია“¹⁶⁵.


¹⁶⁵თედო სახოკიას საოჯახო არქივი. ავტოგრაფი. იხ. თ. სახოკია, თედო სახოკიას მიმოწერა საზოგადო მოღვაწეებთან. „საისტორიო მოამბე“, გ. 31-32, თბ., 1975, გვ. 142-143.

ამბროსი ხელაია

გამოსათხოვარი სიტყვა^{*166}

თქმული თედო სახოკიას მეუღლის - ნადე კეკელიას**¹⁶⁷ კუბოსთან,
1918 წლის 22 მარტს

„ნეტარ არიან მკუდარნი იგი, რომელნი
უფლისა მიერ მოკუდენ ამიერითგან“
(განც. 14, 13)



გაზაფხულის ნიავმა შემოგვბერა. ბუნება იღვიძებს, მკვდრეთით დგება, სიცოცხლის ნიშნებს უკვე იჩენს, აჟყვავდება გარემო, ფრინველნი და ყოველნი ცხოველნი ჰქარობენ, სიცოცხლის, ახალი სიცოცხლის წარმოშობა-გაგრძელებისათვის ემზადებიან, - წმიდა ეკლესია მოახლოვებული უუდიდესი დღესასწაულით გვეუბნება ქრისტეს აღდგომასთან ჩვენს აღდგომაზედაც მომავლის დაუსრულებელი ცხოვრებისათვის. აქ კი, ჩვენ წინ, კუბოა და სიკვდილია თავის შეუბრალებლობით. აქ რაღაც ჩვენთვის გაუგებარი ერთმანეთის წინააღმდეგი მოვლენათა შეხამებაა; გაუგებარი და ამ გაუგებრობით მწუხარება-უიმედობის მომგვრელია ჩვენთვის საზოგადოთ ადამიანის და კერძოდ და მით უმეტეს ახლობელ მოსიყვარულე და სასიყვარულო ადამიანის სიკვდილი. მაგრამ ეს ასეა მხოლოდ პირველ შეხედვით, ხოლო, როდესაც ჩვენ ჩაუკვირდებით მას, სულ სხვაში დავრწმუნდებით. იმ წინააღმდეგ მოვლენათა შეხამება ამ ცხედართან რაღაც სიმბოლურია და გვასწავლის იმას, რომ სიკვდილი არ

უბრალებლობით. აქ რაღაც ჩვენთვის გაუგებარი ერთმანეთის წინააღმდეგი მოვლენათა შეხამებაა; გაუგებარი და ამ გაუგებრობით მწუხარება-უიმედობის მომგვრელია ჩვენთვის საზოგადოთ ადამიანის და კერძოდ და მით უმეტეს ახლობელ მოსიყვარულე და სასიყვარულო ადამიანის სიკვდილი. მაგრამ ეს ასეა მხოლოდ პირველ შეხედვით, ხოლო, როდესაც ჩვენ ჩაუკვირდებით მას, სულ სხვაში დავრწმუნდებით. იმ წინააღმდეგ მოვლენათა შეხამება ამ ცხედართან რაღაც სიმბოლურია და გვასწავლის იმას, რომ სიკვდილი არ

¹⁶⁶ ეს სიტყვა ამბროსი ხელაიამ წარმოთქვა ჭყონდიდის მიტროპოლიტად ყოფნის დროს. სამი წლის შემდეგ (1921 წელს) იგი გახდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ორავორის ორთოგრაფია უცვლელადა დატოვებული.

¹⁶⁷ თედო სახოკიას მეუღლე - ნადე კეკელია მასწავლებლობდა სოფ. ბანძის სკოლაში, რომელიც დააარსა მამამისმა - დეკანოზმა ანტონ კეკელიამ (მისი მოღვაწეობის შესახებ იხილეთ ვრცელი წერილი „მადლის გზით მავალი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, 5 ოქტომბერი). სხვათა შორის, პროფესორ სერგი დანელიას პირველდაწყებითი განათლება რუსულ ენასა და ლიტერატურაში სწორედ ნადე კეკელიამ მიაღებინა, რომელიც დიდი ნიჭო და ჯილდოებულ ემაწვილს ცალკე ამეცადინებდა თავის ოჯახში.

არის ჩვენი არსების მოსპობა, არამედ ადგილის და მდგომარეობის გამოცვლა, ის არის მხოლოდ გარდაცვალება სიკვდილისაგან ცხოვრებად.

მწუხარება და ჭმუნვის მომგვრელია ჩვენთვის, როდესაც ჩვენ შემოდგომას შევყურებთ ბუნების სიკვდილის პროცესს, როდესაც ხეებზე ფოთლები ყვითლდებიან და ცვივიან, როდესაც ცა უმეტეს ნაწილად მოღრუბლულია, მზეს აკლდება ცხოველმყოფელი ძალა და ბალახეულება ჭკნება. მაგრამ ეს მწუხარება გვეცვლება სიხარულით, როდესაც წარმოვიდგენთ, რომ ეს სამუდამო არ არის, მხოლოდ დროებითია, გაივლის რამოდენიმე თვე, დადგება გაზაფხული, მზეს უბრუნდება ცხოველმყოფელი ძალა, მოჰყენს ის თავის მაცოხლებელ სითბოს და გაცოცხლდება ბუნება. სამწუხარო და უაზრობა იქნებოდა თესლის მიწაში ყრა, თესვა, მიბარება მიწისთვის, სადაც ის ლპება, რომ მთესველი დარწმუნებული არ იყოს, რომ თესლი გაცოცხლდება, აღმოცენდება, ამწვანილდება და რამოდენიმე ხნის შემდეგ მრავლად გამოიდებს ნაყოფს. აი სად არის ნუგეში მორწმუნე ქრისტიანისათვის. როდესაც ის ისტუმრებს თავის მეგობარს, ძას, ცოლს, შილს ან სხვა მოკეთე და სასიყვარულო არსებას საუკუნო ცხოვრებისათვის. „სამუდამოთ არ მშორდებიან, - ამბობს მორწმუნე, - არც მე სამუდამოთ ვრჩები აქ. მოვა დრო, მეც გავემგზავრები იმ გზით საიქიოსკენ, დადგება წამი მიცვალებულთა აღდგომისა. აღსდგა ქრისტე, აღვსდგები მეც. მეც ვნახავ იქ ჩემს მოკეთეებს, განვიხარებთ და მაშინ კი სამუდამოთ, განუყრელად ერთად ვიქნებით. ამ რიგათ აზროვნებს მორწმუნე და ვის არ ანუგეშებს აამნაირი მსჯელობა, რომელიც, როგორც სახარების სწავლაზე დაფუძნებული, ჭეშმარიტი და შეურყეველია.

„ნეტარ არიან მკუდარნი იგი, რომელნი უფლისა მიერ მოკუდნენ ამიერითგან“. ამნაირთათვის არ არის საშიში სიკვდილი, ის მხოლოდ ბოროტ არს ცოდვილთათვის. ღვთისა მიერ მომაკუდავთათვის სიკვდილი არის სასურველი დასასრული ამქვეყნიური მოგზაურობისა. ამ მიმართულების ადამიანს ღმერთი ნუგეშს სცემს, როდესაც ეუბნება, რომ „სიკვდილი მორწმუნისათვის მოსვენებააო“. ან მოციქული პავლე ამბობს: „სიკუდილი შესაძენელ არს“ (ფილ. 1, 21). ამ ქვეყნად ბედნიერება გარეშე იმისა, რაც ჩვენ გვაკავშირებს დაუსრულებელ ცხოვრებასთან, არ არსებობს, ის მხოლოდ იმაშია,

რასაც მივყევართ მომავალ ბედნიერებისაკენ. ბედნიერებას კი შეიძლება მიაღწიოს კაცმა იმ გზით, სადაც ტანჯვა და გამუდმებული შრომაა; ისინი ერთმანეთთან განუყრელნი არიან, ამისთვის ნამდვილი ბედნიერება ამქვეყნიური ცხოვრების გარეშეა.

ძველი ფილოსოფოსი პლატონის ერთ ნაწარმოებში, სახელდობრ, „ფედონში“, არის მოთხოვობილი: როდესაც ფილოსოფოსი სოკრატი გაათავისუფლეს ტყვეობიდან მხოლოდ იმისთვის, რომ მომზადებულიყო სიკვდილისათვის, რომელიც მას მისჯილი ჰქონდა, ის ჯდება თავის სარეცელზე, ხელს უსობს თავის ფეხების იმ ადგილებს, რომელიც გასიებული ჰქონდა რკინის ბორკილებისაგან, სრულიად დაწყნარებულად რამდენიმე წამით სიკვდილის წინ ეუბნება თავის მოწაფეებს:

„მეგობრებო! რა გაუგებარი რამ არის ის, რასაც ხალხი ეძახის ბედნიერებას, და რამდენათ გასაკვირია, რომ ის დაკავშირებულია მასთან, რასაც კაცი გაურბის და რასაც ეძახიან ტანჯვას და მწუხარებას. ეს ორი მოვლენა ერთად, განუყრელად არასდროს არ ეწვევა კაცს, ხოლო ბედნიერებისათვის აუცილებელია მწუხარების გავლა. და თუ აქ არ ვიდებთ ამ წვალება-მწუხარების ნაყოფს, ის უსათუოდ უნდა მივიღოთ მეორე ცხოვრებაში, რომელიც მკვიდრდება სიკვდილის შემდეგ.

ამ ქვეყნად ბედნიერება მიუწვდომელია. როდესაც ჰფიქრობ მივაღწიე მასო, ის გარბის შორს შენგან. კაცი ელტვის ბედნიერებას, ის მას ხედავს, აღწევს, მაგრამ ეს ბედნიერება არ ყოფილა, ის მოტყუებულია. მას რჩება მხოლოდ დაუკმაყოფილებლობა. კაცობრიული ბედნიერება ტყუილი და უსაფუძვლოა, თუ ის არ არის საფეხური მომავალი, გარდუგალი და დაუსრულებელი ბედნიერებისა.

მაში რაში გამოიხატება ამქვეყნიური ბედნიერება? რაშია ჩვენი ცხოვრების აზრი? კაცი, რომელიც ბედნიერებას ეძებს თვის არსების გარეშე, ის ვერ იხილავს მას. მას ავიწყდება, რომ, ქრისტეს სიტყვით, „სასუფეველი ცათა ჩვენშია“. ის სხვაგან ამქვეყნიურ ცხოვრებაში არ არსებობს: არც სიმდიდრეში, არც სასახლეებში, არც დიდებაში. ის, როგორც ამბობს ტურგენევი ერთ თავის თხზულების გმირის პირით, არის მხოლოდ მოვალეობის ასრულებაში: რომელშიაც გამოიხატება სიყვარული მოძმეთადმი: მხოლოდ ეს აძლევს ჩვენს ცხოვრებას ნამდვილ აზრს და მნიშვნელობას.


აი, რას გვასწავლის ის, ვინც ახლა ჩვენ წინ ამ კუბოში განის-
ვენებს.

შენ, განსვენებულო, პირადათ ვერ გიცნობდი, მაგრამ ძალიან
ბევრთაგან მსმენია, რომ იყავი კეთილი ადამიანი, მატარებელი მოძ-
მეთადმი სიყვარულისა, რომ იყავი მორწმუნე შვილი ეკლესიისა; შენ
იყავი ღირსეული შილი ღირსეულის მშბლებისა, ასრულებდი მო-
სიყვარულე შვილის მოვალეობას, შენ იყავი აღმასრულებელი მოვა-
ლეობისა, როგორც მასწავლებელი მოზარდ თაობისა. აღზრდის
საქმე არ არის ადვილი, ის თხოულობს დიდ შრომას, მაგრამ შენ
იცოდი, რომ ეს არის წმიდა საქმე და მას შესწირე თავის ძალ-დონე.
ამან კი მოამზადა ნიადაგი შენი ავათმყოფობისათვის. შენ იყავი მო-
ვალეობის აღმსრულებელი, როგორც ღირსეული მეუღლე ღირსეუ-
ლის ქმრისა, რომელმაც სავსებით განიცადა სიმძმე ამქვეყნიური
უსამართლობა-ძალმომრეობისა, განიცადა დევნა-ექსორიობა მხო-
ლოდ იმისთვის, რომ ის პირნათლად ასრულებდა მოვალეობას თა-
ვის სამშობლოს კეთილდღეობისათვის სამსახურისას. ხოლო შენ,
განსვენებულო, არ გიდალატნია მოვალეობისათვის, როგორც მე-
უღლეს, როგორც დედას. მხნეთ იტანდი სიყვარულის და მოსიყვა-
რულე მეუღლის დიდი ხნით მოშრებას, თუმცა კი სულით იტანჯე-
ბოდი და ამ ტანჯვამ უკურნებლად აქცია მოვალეობის აღსრულე-
ბის დროს მიღებული სენი.

ნეტარი ხარ შენ, განსვენებულო, რადგან შენ აასრულე შენი
მოვალეობა, რადგან შენ, მიუხედავად შენის უკურნებელის სენისა,
მოესწარი სიცოცხლეში გეხილა არამც თუ დაბრუნებული მეუღლე,
არამედ ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა მოესწრო იმ დღეებს, როდესაც ის
დგება განთავისუფლების გზაზე, რასაც შეჰეროდი და ემსახურე-
ბოდი შენც და მეტადრე შენი ღირსეული ქმარიც.

აი, მორწმუნენო, რას გვეუბნება ეს კუბო: აქიდან უსიტყვოდ,
მაგრამ ყოველ სიტყვაზე უფრო საგულისხმიეროდ და გასაგებათ
გვეუბნება განსვენებული, რომ ჩვენ მუდამ უნდა ვასრულოთ ჩვენი
მოვალეობა სარწმუნოების, ეკლესიის და მამულის წინაშე, რომ ამა-
შია აზრი ჩვენის ამ ქვეყნიერის ცხოვრებისა. გვეძახის აქიდან, ამ
კუბოდან, „მობაძავ ჩემდა იყავითო“, და ამაში იქნება თქვენი ბედნიუ-
რება, რადგანაც ჩემი ახლანდელი მდგომარეობა თქვენც არ აგცდე-
ბათო. ეს არის ჩემი უკანასკნელი ანდერძიო.

შევავედროთ სარწმუნოებით, მოვალეობის აღსრულებით და მრავალ ტანჯვათაგან განწმენდილი სული მიცვალებულისა, ამის დმერთს, რათა განუსვენოს მას და დაამკვიდროს იქ, სადაც მართალზე განისვენებენ. საუკუნოდ იყოს ხენება შენი, კეთილო ადამიანო!¹⁶⁸



¹⁶⁸ გვ. „არილი“, 21 სექტემბერი, 1994, გვ. 8.

შინაარსი

შინათქმა	3
ზოგი რამ ბანძის ვარსულიდან	6
ცხოვრება და დვაწლი დეპარტმ ანტონ კეპელიასი	15
სოფელ ბანძის სახალხო განათლებისა და კულტურის ისტორიიდან (XIX ს-ის უკანასკნელი მეოთხედი - XX ს-ის 10-იანი წლები)	65
§1. ერთკლასიანი სასოფლო-სამინისტრო სკოლა	65
§2. სამრევლო სკოლებისა და ბიბლიოთეკა-სამკითხვე- ლოს დაარსება	73
გოლოთქმის ნაცვლად	116
თედო სახოვიას წერილი ანტონ კეპელიასადმი	119
ამბორისი ხელაია - ბამოსათხოვარი სიტყვა	121

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დაკაბადონება
ლეგან იობაძე

ქადალდის ზომა 1/16
ნაბეჭდი თაბახი 8
ტირაჟი 150

დაიბეჭდა ი.მ მარიამ იობაძის მიერ
ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 25-ა
ტელ.: 599 18 20 98; 592 02 25 55; 579 10 13 23
ელ-ფოსტა: levanistamba@mail.ru; iobadze13@mail.ru

